# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა-ორშაბათი, 7-8 ივნისი, 1998 წელი.

№139-140 (2840)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 50 თეთრი, თბილისს გარეთ – 55 თეთრი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრეზიდენტი

### ამერიკელი სტუმრები

6 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი ამერიკელი პროფესორი, 1992 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში გერი ბეკერი და ამერიკული სადაზღვევო კომპანია „მარმონის" პრეზიდენტი რობერტ პრიცკერი.

საუბარი გაიმართა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებსა და ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური –საქინფორმი.**

# შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები გამოხატავენ მზადყოფნას, შემდგომში იმოქმედონ მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით, განამტკიცონ ურთიერთნდობა და თანამშრომლობა



იალტა. 1998 წლის 5 ივნისი. ბისეკის დროშის აღმართვის ცერემონიალი.

5 ივნისს, ქალაქ იალტაში შეკრებილი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ბისეკის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით გამართულ მეოთხე, რიგგარეშე სამიტზე მიღებულ იქნა ბისეკის სრულფასოვან რეგიონულ ორგანიზაციად ჩამოყალიბების დამადასტურებელი აქტი – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდება. სამიტის მონაწილე პრეზიდენტებმა და მთავრობათა ხელმძღვანელებმა ერთსულოვნად მიიღეს იალტის სამიტის დეკლარაცია.

დოკუმენტების მიღებამდე სხდომის მონაწილე ყველა ქვეყნის დელეგაციათა მეთაურებმა ხაზგასმით

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

**თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის თანამშრომლები:

**ღირსების ორდენით:**

**ოთარ ქაჯაია** – სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების უფროსი, ქართული ენის კათედრის დოცენტი.

**ღირსების მედლით:**

**მიხეილ ბაკურაძე** – სამოქალაქო თავდაცვის უფროსი მასწავლებელი

**დომენტი თოლორაია** – გეოგრაფიის კათედრის დოცენტი

**ფიდო ნადიბაიძე** – ფილოსოფიის კათედრის გამგე, პროფესორი.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

**ა. კოტორაშვილის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში ფოტოჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გაზეთ „ლელოს" ფოტოკორესპონდენტი, საერთაშორისო სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი ალექსანდრე კოტორაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების 1998 წლის 5 ივნისის იალტის შეხვედრაზე

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

პატივცემულო კოლეგებო,

ბატონებო,

დღეს ჩვენ გვმასპინძლობს უკრაინა – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის – ბისეკის ერთ-ერთი დამაარსებელი. ჩემი ქვეყნისა და პირადად ჩემთვის ეს არის კიდევ ერთი საგულისხმო საბაბი, გამოვხატო ჩვენი სიყვარული და პატივისცემა, აგრეთვე, მადლობა ვუთხრა პრეზიდენტ კუჩმასა და მის კოლეგებს გულითადობისა და სტუმართმოყვარეობის, ჭეშმარიტად უკრაინული ატმოსფეროსათვის, ჩვენი შეხვედრის საუცხოო ორგანიზაციისათვის.

ეს შეხვედრა, რომელიც სათვალავით მეოთხეა, გარკვეულწილად შეიძლება პირველად ჩაითვალოს, ვინაიდან დღეიდან ბისეკი თავისი ისტორიის ახალ ფაზაში შედის.

ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვა ვთქვა მის დასაწყისზე.

ექვსი წლის წინათ, სტამბოლში ჩვენს პირველ შეხვედრაზე, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ბატონი სულეიმან დემირელი, ჩემი გამოსვლა დავასრულე ჰელასა და ფრიქსის ლეგენდით. ისინი ხსნას ეძებდნენ კოლხეთში, ანუ საქართველოში. „ახლა საქართველო, – ვთქვი მაშინ, – თავად ეძებს ხსნას შავი ზღვის კავშირში".

ჩემთვის ის დილა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ ცნობის მიღებით დაიწყო, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ კი, დაგომისში, პრეზიდენტ ელცინთან ერთად ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაზე მოგვიხდა მუშაობა.

იხ. მე-3 გვ.

## ინფორმაცია

### არ ეშინიათ კაპიტალის დაბანდება

„მე არ შემხვედრია ამერიკელი ბიზნესმენი, რომელიც საქართველოში საქმის დაწყებით უკმაყოფილო იყოს", – განაცხადა აშშ კომერციის დეპარტამენტის მრჩეველმა იან კალიცკიმ. მისი შეფასებით, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ნორმალური პირობებია, თუმცა, არსებობს პრობლემებიც, რაც, უმთავრესად, ზოგიერთ დარგში პრივატიზაციის პროცესის განუხორციელებლობას უკავშირდება. კალიცკის თქმით, აშშ მთავრობა უკვე ახორციელებს სერიოზულ პროგრამებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის და მომავალშიც გეგმავს ამ სფეროში დახმარებას.

### ნავთობსადენმა საქართველოზე უნდა გაიაროს

აზერბაიჯანის ელჩმა რუსეთში მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს განვითარებული მოვლენები დაღესტანში, კერძოდ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და შეიარაღებული შეტაკებები ადასტურებს, რომ დიდი ნავთობსადენის გატარება გაცილებით უფრო უსაფრთხო და მიზანშეწონილია საქართველოს გავლით პორტ ჯეიხანამდე, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის გავლით.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: „ბეამ" და „იბერიამ".**

## კულუარები

# შეხვედრა წარსულთან და განმუხტვის რისკიანი წუთი

მოგზაურობა წარსულში, თითქოს შეუმჩნეველი, თითქოს არც იყო. ისეთი არა – გადავაბიჯე საზღვარს და აღმოვჩნდი სსრ კავშირში.

მაგრამ ის ძველი, რომელსაც ჩვენ გადავეჩვიეთ, აქ არის და არა იმდენად გარეგნულ ატავიზმში – ქუჩების სახელწოდებები თუ ცენტრში აღმართული ლენინის ძეგლი, – უფრო მეტად მენტალიტეტში, რომელიც ყოფითს ურთიერთობებსაც განსაზღვრავს, შემთხვევითსაც.

ამ ურთიერთობებს არ გასცილებია ჩვენი გაცნობა ქალაქის და მაინც გამოჩნდა, უფრო სწორად, იგრძნო დელეგაციის ყველა წევრმა. რომელიღაც მეექვსე გრძნობით აღიქვა ყველამ და შეწუხდა.

პატარ-პატარა დეტალებით – ურთიერთობიდან, აღქმიდან, დამოკიდებულებიდან.

უფროსი თაობისთვის ეს უფრო მეტად იყო შესამჩნევი, და ლოდივით დააწვა განწყობილებას. აი, რით სურთ გააბრუნონ ხალხი ძალათ-კომუნისტებმა, ძალათ-მაცხონეებმა, რომლებსაც, რა თქმა უნდა, თავადაც არ სჯერათ ქადაგებულ იდეათა თვისთა, მაგრამ რა ქნან, – ხელისუფლებაში რომ სურთ მოსვლა?

თეთრი ძაფით ნაკერი პოლიტიკაა, რომელიც (ძაფზე მოგახსენებთ) იმდენად დაძველდა, რომ ერთი ხელის გაკვრა და დაირღვევა სხვის თარგზე მისით შეკერილი ნებისმიერი უტოპია, მით უფრო, პოპულისტური სირეგვენე.

იხ. მე-4 გვ.

№139-140, კვირა-ორშაბათი, 7-8 ივნისი, 1998 წელი.

## სამიტი

# შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები გამოხატავენ მზადყოფნას, შემდგომში იმოქმედონ მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით, განამტკიცონ ურთიერთნდობა და თანამშრომლობა

(პირველი გვერდიდან)

აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის, უშიშროების ჩამოყალიბების, ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთხელსაყრელი პროექტების განხორციელებაში. ამასთან, ითქვა, რომ „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ შექმნილი პირველი რეგიონალური ალიანსი, რომელიც ესწრაფვის ევრაზიის სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობას, კოორდინირებულად უნდა მოქმედებდეს ახალი მსოფლიო წყობის ფუნდამენტის ძირითადი ელემენტების – უშიშროებისა და ინტეგრაციის ჩამოყალიბებისათვის, ამ საერთო მიზნების საფუძვლიანი რეალიზაციისათვის.

– **ბისეკი** მრავალ მიზანს ემსახურება, რაც, ძირითადად, გამოიხატება ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარებით, წევრი ქვეყნების დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებით, რაც ასევე წარმოადგენს XXI საუკუნის გაერთიანებულ ევროპაში ინტეგრაციის მოსამზადებელ საფუძველს. ყველაფერი ეს გამოხატავს ისტორიულ შესაძლებლობას, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ შეიქმნას ჩვენი საერთო მომავალი მრავალმხრივი თანამშრომლობის ყველა დონეზე – სახელმწიფოებს, რეგიონებს და ხალხებს შორის. მომავალ საუკუნეში ბისეკის რეგიონი გახდება ინვესტიციების მოზიდვის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი ეკონომიკური ზონა“, – აღნიშნულია იალტის სამიტის დეკლარაციაში.

– იალტაში გამართული შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების სამიტი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, რადგან მასთან იქნება დაკავშირებული ახალი საერთაშორისო სტრუქტურის – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაარსება, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ 5 ივნისს ბისეკის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სამიტის პლენარული სხდომის გახსნისას.

უკრაინა პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს ბისეკის ფარგლებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას ორი მიმართულებით. პირველი მათგანია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთიან სატრანსპორტო სისტემაში გაერთიანება.

– მწამს, რომ ამ ამბიციური პროექტის რეალიზაცია, ყველაფრის მიუხედავად სავსებით რეალურია, გააუმჯობესებს საერთაშორისო ტვირთზიდვას გიგანტურ სივრცეში ჩინეთიდან ცენტრალური აზიის, ამიერკავკასიის გავლით, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის მიმართულებით, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. მისი თქმით, უკრაინას ასევე სურს, რომ ყურადღება მიაპყროს შავ ზღვაში წრიული საბორნე გადაზიდვების სისტემის ჩამოყალიბებას.

შეეხო რა კასპიის ადრეული და დიდი ნავთობის ტრანსპორტირების საკითხებს, ლეონიდ კუჩმამ აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა სთავაზობს ნავთობის ტრანსპორტირების შემდეგ სქემას – შავი ზღვის გავლით, უკრაინის ტერიტორიის მეშვეობით ევროპის მიმართულებით. ამასთან, უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის აზრით, აუცილებელია შავი ზღვის შელფზე არსებული ნავთობის რესურსების ათვისებაც.

– უკრაინა მომავალშიც ყოველმხრივ და თანამიმდევრულად დაუჭერს მხარს შავი ზღვის რეგიონში თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბების ინიციატივის რეალიზაციას, – აღნიშნა ლეონიდ კუჩმამ ბისეკის სამიტზე და დასძინა, რომ დღეს, ბისეკი თანდათან ხდება ახალი ევროპული უშიშროების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რაც ეკონომიკურ საფუძველს ემყარება.

ბულგარეთის პრეზიდენტმა პეტერ სტოიანოვმა, რუმინეთის პრეზიდენტმა ემილ კონსტანტინესკუმ, მოლდოვას პრეზიდენტმა პეტრუ ლუჩინსკიმ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა, თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა, ალბანეთის პრეზიდენტმა რეჯებ მეიდანიმ, ასევე საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კონსტანტინოს სიმიტისმა და რუსეთის მთავრობის თავმჯდომარემ სერგეი კირიენკომ საკითხთა ფართო სპექტრს მიაპყრეს ყურადღება, რომელთაგან უმთავრესი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

**ბისეკი** უნდა გახდეს რეგიონული სტაბილურობის და უსაფრთხოების მტკიცე გარანტი, საერთო გლობალური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი; ამ თვალსაზრისით, რეგიონული უშიშროება უნდა ითვალისწინებდეს როგორც, უწინარესად, არსებული კონფლიქტების მოწესრიგებას, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების ჩამოყალიბებისათვის კოორდინირებულ მოქმედებას, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის, ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანსპორტირებისა და უკანონო მიგრაციის აღმკვეთი ღონისძიებების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას;

ევრაზიის დერეფნის პროექტების მნიშვნელობა და ამ პროექტების რეალიზაციაში რეგიონის ყველა სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა;

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ჰარმონიზაცია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების აუცილებლობა;

ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და, საერთოდ, საერთაშორისო სტრუქტურებთან კავშირურთიერთობისათვის აქტიური ნაბიჯების გადადგმა.

დელეგაციათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს **ბისეკის** წესდებას.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები გამოხატავენ მზადყოფნას შემდგომში იმოქმედონ მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით და განამტკიცონ ურთიერთნდობა, დიალოგი და თანამშრომლობა.

დოკუმენტის თანახმად, წევრი სახელმწიფოები გამოხატავენ თავიანთი ქვეყნებისა და ხალხების სურვილს კონსტრუქციულად და ნაყოფიერად ითანამშრომლონ ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და აცხადებენ, რომ „ბისეკის“ რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის და კეთილდღეობის დამკვიდრების მიზნით ხელს შეუწყობენ ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის, ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპების განვითარებას.

ბისეკის პროცესების განმტკიცების საქმეში მამოძრავებელი ძალა იქნება კერძო სექტორი, რითაც მიიღწევა მიზანი – მთავრობებს შორის თანამშრომლობა შეივსოს საქმიან წრეებს შორის თანამშრომლობით.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ კერძო სექტორის ჩართვას იმ კონკრეტული პროექტების განვითარებასა და განხორციელებაში, რომლებიც წარმოადგენენ ბისეკის წევრი ქვეყნების ინტერესს“, – ნათქვამია ორგანიზაციის წესდებაში.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში იქმნება მთავარი და დამხმარე ორგანოები, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო.

წესდების თანახმად, მოქმედი თავმჯდომარე ბისეკის ფარგლებში კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის მასშტაბით განხორციელებულ ყველა ქმედებას და უზრუნველყოფს ბისეკის საქმიანობის სათანადო წარმართვას და ასევე მიღებული რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებას.

თავმჯდომარეობა ინგლისური ანბანის მიხედვით, როტაციის წესით გადაიცემა ექვს თვეში ერთხელ. ორგანიზაციის მუდმივი საერთაშორისო სამდივნო, რომელიც მოქმედი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით იმოქმედებს, მდებარეობს სტამბოლში.

ბისეკის მიზნების განხორციელებაში ორგანიზაცია გამოხატავს მზადყოფნას, მჭიდროდ ითანამშრომლოს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეასთან. წესდების თანახმად, საპარლამენტო ასამბლეა – „პაბსეკი“ კონსულტაციების საფუძველზე უზრუნველყოფს შავი ზღვის თანამშრომლობის პროცესის მხარდაჭერას.

ახლადშექმნილი ორგანიზაციის ფარგლებში ყალიბდება შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი, რომლის მიზანია უზრუნველყოს რეგიონში მცხოვრები ხალხების ეკონომიკური აღმავლობა, ხელი შეუწყოს და დააფინანსოს რეგიონალური პროექტები, მოახდინოს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო და კერძო სექტორების პროექტების საბანკო მომსახურების უზრუნველყოფა, ასევე ხელი შეუწყოს წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირურთიერთობის გაღრმავებას.

**ბისეკის** ბიუჯეტი შედგება წევრი სახელმწიფოების ფინანსური შენატანებით, რომელიც განსაზღვრულია ორგანიზაციის საბჭოს შესაბამისი რეზოლუციებით.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ერთგულოვნად დაადასტურეს გაეროს წესდების, ჰელსინკის შემაჯამებელი აქტის, ახალი ევროპის პარიზის წესდების პრინციპების, ასევე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და წესების ერთგულება და განაცხადეს, რომ ბისეკის წესდებას ხელი მოაწერეს იმ მიზნით, რომ ყველა ხალხის სასარგებლოდ მიღწეულ იქნეს პროგრესი მრავალმხრივ თანამშრომლობაში, მშვიდობის, სტაბილურობისა და უშიშროების განმტკიცებაში.

დოკუმენტების მიღების საზეიმო ცერემონიის შემდეგ, რომელიც სასტუმრო „იალტას“ „ბროლის“ დარბაზში გაიმართა, სამიტის მონაწილეებმა სასტუმროს შენობის წინ აღმართეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ახლადშექმნილი; ყველა წევრი ქვეყნის მიერ მოწონებული დროშა. სამიტის მონაწილე დელეგაციების ხელმძღვანელებმა სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღეს.

პრეზიდენტებმა და მთავრობათა მეთაურებმა სასტუმროს ეზოში გამართულ იმპროვიზებულ ბრიფინგზე უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ნაშუადღევს, იალტის რეზიდენცია „მაგიორში“ უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ სამიტის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პატივსაცემად გამართა ლანჩი.

იმავე საღამოს, **ბისეკის** სამიტის მონაწილე ჩვენი ქვეყნის დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით თბილისს დაბრუნდა.

**მაია ალუდაური,**
**გია აბაშიძე,**
**საქინფორმის სპეცკორესპონდენტები.**
**იალტა-თბილისი.**


მეხვედრა პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასთან.


საუბარი პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან.


ბულგარეთის და რუმინეთის პრეზიდენტებთან პეტერ სტოიანოვთან და ემილ კონსტანტინესკუსთან.

№139-140. კვირა-ორშაბათი. 7-8 ივნისი. 1998 წელი.

სამიტი

# საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა

## შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების 1998 წლის 5 ივნისის იალტის შეხვედრაზე

(პირველი გვერდიდან)

მარტო საქართველო როდი გზავნიდა SOS სიგნალებს. კონფლიქტებსა და კრიზისს მოეცვა შავი ზღვის ათეულის მრავალი მონაწილე ქვეყანა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენი რეგიონი პირველ ადგილზე იყო მთელ მსოფლიოში.

როდესაც ძველ ტექსტებს ვფურცლავთ და გარდასულ ამბებს ვიხსენებთ, ამას თავშესაქცევად როდი ვაკეთებთ. მიზანი წმინდა პრაქტიკულია – შევაჯამოთ შედეგი და გამოვიტანოთ დასკვნა. აქ ჩამოსვლის წინ, სტამბოლის, ბუქარესტისა და მოსკოვის სამიტებზე გამოთქმული იდეებისა და წინადადებების ინვენტარიზაცია მოვახდინე. ისინი ძირითადად, ეხებოდა იმ საჭირბოროტო პრობლემებს, რომლებსაც მთლიანად რეგიონის ქვეყნები აწყდებოდნენ: ენერგეტიკას, ტრანსპორტს, ვაჭრობას, საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობას, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლას, ტერორიზმს, სხვადასხვა ქვეყნის მიერ ტერორისტთა შეფარებას. ბევრი რამ ითქვა ალიანსის საქმიანობის კოორდინაციასა და ევროკავშირთან, ღსთ-სთან, ეკო-სთან, სხვა ორგანიზაციებთან მის ურთიერთობაზე. ჩვენ ვაკრიტიკებდით ბისეკს რეგიონში მიმდინარე მოვლენების დინამიკისაგან ჩამორჩენისათვის, მასშტაბური, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სატრანსპორტო და ენერგოგამტარი პროექტების რეალიზაციაში არასაკმარისად აქტიური მონაწილეობისათვის. ამოცანად დაისახა ბისეკის ტრანსფორმაცია სრულფასოვან საერთაშორისო რეგიონულ ორგანიზაციად.

ეს ამოცანა თითქმის გადაწყვეტილია. დღეს ჩვენ ამ მოვლენას დავაფიქსირებთ იალტის დეკლარაციის ხელმოწერით და ჩვენი ორგანიზაციის წესდების დამტკიცებით.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ზოგიერთი მიღწევით და ვუჩვენოთ ზოგი რამ მსოფლიოს, როგორც გაკვეთილი და მაგალითი.

ბისეკი არის პირველი რეგიონული ალიანსი, რომელიც ცივი ომის დამთავრების შემდეგ წარმოიშვა. ბიპოლარული სამყაროს მსხვრევას ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალი გუშინდელი ანტაგონისტებისათვის არ დაუტოვებია სხვა ალტერნატივა, გარდა ახალი მსოფლწესრიგის გზების ერთობლივი ძიებისა. ბისეკის ჩამოყალიბებამ ცხადყო, რომ ეს შესაძლებელი ყოფილა.

შემდეგი გაკვეთილია თვით პროცესის ხასიათი. იგი ისევე ბუნებრივი იყო, როგორც ხის ზრდა-განვითარება, რომელიც ყოველ გაზაფხულზე იმატებს წლიურ რგოლებს. ხელოვნურად არავის არ დაუჩქარებია ეს პროცესი – მას განსაზღვრავდა ინტერესების ორმხრივი მიზიდულობა, მონაწილე ქვეყნების შინაგანი მოთხოვნილებანი, მისწრაფება, განესაზღვრათ თავიანთი ადგილი რეგიონსა და მსოფლიოში.

ბისეკი სულაც არ არის კარჩაკეტილი ვიწრორეგიონული ალიანსი. გეოგრაფიულადაც კი იგი ვრცელდება კარპატებიდან კურილის კუნძულებამდე და, გადის რა რუსეთიდან წყნარ ოკეანეში, ხოლო ბალკანეთიდან და კავკასიიდან – ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში, მით უფრო სჭირდება მაკოორდინებელი კონტაქტი ევროკავშირთან, ღსთ-სთან და ევრაზიის სხვა გაერთიანებებთან. წინათ ასეთი კონტაქტი არ ყოფილა. ახლა, ვგონებ, წარმოიშვა, მაგრამ იგი განვითარებას მოითხოვს.

ახალი მსოფლწესრიგის არქიტექტურაში წამყვანი ელემენტები უშიშროება და ინტეგრაცია არის. ამ მეორე ელემენტში უმთავრესია თავისუფალი ვაჭრობა, რომლის ზონამ შეიძლება მოიცვას და უნდა მოიცვას კავკასია, ცენტრალური აზია, შავიზღვა-კასპიისა და წყნაროკეანის რეგიონები მათი გასვლით ევროპაში, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, მას უნდა მიჰყვეს მეორე, უფრო ფართო და დაჯერებული. ამ ნაბიჯს უკვე აქვს საყრდენი და საფუძველი – ახალი აბრეშუმის გზის პროექტი, რომელიც თვალდათვალ ხორციელდება.

გუშინწინ გახლდით ახალი ხიდის გახსნაზე, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ბევრ სხვა ქვეყანას აკავშირებს. ძველს, მეთორმეტე საუკუნიდან წითელ ხიდად ცნობილს, ახალი ფუნქცია მიენიჭა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო კორიდორის (ტრასეკა) პროექტის ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის ეგიდით ხორციელდება. ტრასეკა აბრეშუმის გზის საკვანძო რგოლია. გზა სიცოცხლეაო, უთქვამთ ძველებს. ახალი სიცოცხლეა, დავსძენთ ჩვენი მხრივ. ახალი სახელმწიფოების მიერ არჩეულმა დამოუკიდებელი განვითარების გზამ მოითხოვა რეალური გზა დამოუკიდებლობისაკენ, და მათ იპოვეს ეს გზა. არა სხვების ხარჯზე და სხვების წინააღმდეგ, არამედ მაინტეგრირებელი მაგისტრალის ერთობლივი გაყვანით. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი ალიანსი დიდხანს იყო არა ამ გზაზე, არამედ გზისპირზე. ორი ზღვის რეგიონის საერთაშორისო ყურადღების ფოკუსში მოხვედრამ აიძულა ბისეკი გასულიყო ძირითად ტრასაზე და მთელი რიგი პერსპექტიული ინიციატივებით ჩაბმულიყო მუშაობაში. მაგრამ, ამ წყებაში კვლავინდებურად გვაკლია მთავარი კომპონენტი – ეკონომიკური თანამშრომლობის უსაფრთხოების პოლიტიკური უზრუნველყოფის მექანიზმი, ვინაიდან, უსაფრთხოება და კონფლიქტები დღესაც არის ის სცილა და ქარიბდა, რომლებმაც შეიძლება ჩაძირონ ჩვენი ეკონომიკური თანამშრომლობის ხომალდი.

და არც ეს გახლავთ რიტორიკა, არამედ სიგნალი განგაშისა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დავაღწიეთ თავი.

ორი კვირის წინათ უდიდესი ძალისხმევის ფასად შევძელით აღგვეკვეთა ძალადობის ესკალაცია ჩვენს ქვეყანაში. ტერორიზმი და კონფლიქტები დამოკლეს მახვილად დაეკიდა თავზე იმ სამუშაოთა მთელ კომპლექსს, ნავთობის დამუშავებასთან და მრავალვარიანტიანი მილსადენებით ტრანსპორტირებასთან რომ არის დაკავშირებული. გარკვეული ძალები იყენებენ ძველ და აჩაღებენ ახალ კონფლიქტებს ამ პროექტის ჩასაშლელად. ჩვენ უნდა მოვიფიქროთ კონფლიქტოგენური ზონების დემილიტარიზაციისა და ამ ზონებში ალიანსის ქვეყნების ძალებით მშვიდობის შენარჩუნების საშუალებანი. შავიზღვისპირა-კასპიის თანამეგობრობის შემადგენლობაც კი გვიბიძგებს უფრო აქტიური პოლიტიკური თანამოქმედებისაკენ რეგიონში ძირგამომთხრელი მოქმედების ექსცესებზე, უფრო ოპერატიული პოლიტიკური გამოხმაურებისკენ. თუ ჩვენ ვიზრუნეთ ბუნებრივი და ტექნოგენური წარმოშობის კატასტროფების თავიდან აცილებისათვის, მაშინ მით უმეტეს უნდა შევიმუშაოთ კონფლიქტური გენეტიკის კატასტროფების საწინააღმდეგო საშუალებათა კომპლექსი. ასეთი ზონები, დემილიტარიზაციის პარალელურად, უნდა ჩავაბათ ერთობლივი პროგრამების განხორციელებაში, ვიზრუნოთ ეკონომიკური პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციისათვის.

ბატონებო,

ჩვენი შეხვედრის ადგილი აღვივებს ისტორიულ მეხსიერებას და თანამედროვეობის შეგრძნებისაკენ მოგვიწოდებს. ოდესღაც აქ ყალიბდებოდა მსოფლიო კლიმატი, რომელსაც „იალტის სულისკვეთება“ ეწოდა. იგი ცივ ომთან ერთად ჩაბარდა წარსულს და უკეთესი სამყაროს შესაქმნელად ჩვენ დაგვიტოვა სივრცე შეთანხმებული თანამშრომლობის ატმოსფეროს ფორმირებისათვის. ვფიქრობ, ასე ვმოქმედებდით და ვმოქმედებთ – იმ იალტის სულისკვეთებით, სადაც დღეს ვზეიმობთ შავი ზღვის თანამშრომლობის ახალი სრულფასოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის დაბადებას. მენდეთ, არც ეს არის რიტორიკა, არამედ გამოხატულება ჩვენი საერთო სიხარულის და მტკიცე გადაწყვეტილებისა, არ დავჯერდეთ მიღწეულს.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი



ენგურის ხიდზე გადმოდიან.

ფელიქს პრიმსკის ფოტო.

### მორიგი დამსჯელი ოპერაცია

5 ივნისს აფხაზმა ბოევიკებმა მორიგი დამსჯელი ოპერაცია განახორციელეს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში, დახვრიტეს ამ სოფლის ორი მცხოვრები, ხოლო სამი მძიმედ დაჭრეს. ეს უკანასკნელნი გუშინ, დილით ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს, სამივე მათგანს გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია.

### ქართველებს სანაძლეოზე ესვრიან

5 ივნისს გალის რაიონის სოფელ განახლებაში ნასვამ აფხაზ ბოევიკთა მსხვერპლი გახდა 67 წლის ქვემო ბარღების მცხოვრები დათიკო ცობეხია. გზად მიმავალ მოხუცს, სანაძლეოზე, ერთ-ერთმა აფხაზმა ტყვიით შუაზე გაუპო თავი.

5 ივნისს სოფელ ოტობაიაში, იმ ადგილას, სადაც რამდენიმე დღის წინათ 6 აფხაზი მილიციელი აფეთქდა, აფხაზებმა დახვრიტეს სოფელ ფიჩორის 2 მკვიდრი – 45 წლის ბოჩია მამფორია და 44 წლის ზურაბ ალფენიძე.

### საგუშაგო დაბრუნდა

სოფელ საბერიოში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების № 205-ე საგუშაგო, რომელმაც 26 მაისს მიატოვა მუდმივი დისლოკაციის ადგილი და, ფაქტობრივად, გაუთავისუფლა გზა აფხაზ ბოევიკებს, 30 მაისს დაუბრუნდა საწყის პოზიციას.

### აფხაზური მხარე ასე აფასებს

გალის რაიონის სეპარატისტული აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბესლან ბერიამ განაცხადა, რომ ამჟამად გალის რაიონში სიწყნარეა. მხარეები იცავენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. აფხაზური მხარე დივერსიული ჯგუფების აღმოჩენისა და განადგურების მიზნით, გალის რაიონის მუდმივ პატრულირებას ეწევა. ბერიას თქმით, ამ ჯგუფების მოქმედება რაიონში შეწყდა, მაგრამ ვითარება კვლავ დაძაბული რჩება.

### ძმა — ძმისთვისაო

ვესტაფონის რაიონის გამგეობამ გალელ ლტოლვილებს უკვე მეორედ გაუგზავნა კვების პროდუქტები, 960 ხელი ტანსაცმელი, 31 წყვილი ფეხსაცმელი, 20 საბანი, 10 ლეიბი, 20 ბალიში, 20 ხელი თეთრეული, საწვავი, წამლები და 3 ერთეული სამედიცინო მოწყობილობა.

თერჯოლელებმა ლტოლვილებს აუცილებელ ნივთებთან ერთად 2,5 ტონა შაქარი, 300 კილოგრამი ყველი, ზეთი, თევზის კონსერვები და ასანთიც კი გაუგზავნეს.

ხარაგაულელთა წვლილი კი ასეთია: თითო ტონა პურის ფქვილთან და შაქართან, 15-15 ცალ ლეიბთან და საბანთან ერთად მათ არც სხვა ნივთები დაუშურებიათ.

ჭიათურელებმა ოთხ ტონაზე მეტი სურსათი და სამრეწველო საქონელი შეაგროვეს. ქალაქის მერმა დავით ივანიშვილმა იგი ზუგდიდში გალელ კოლეგას მურმან ჭედიას გადასცა და ჭიათურელთა სახელით თანადგომა აღუთქვა.

ამჯერად ახალციხის რაიონის გამგეობამ შეაგროვა 5 ტონა ტვირთი. კვების პროდუქტები, ტანსაცმელი და ლოგინი გაიგზავნა ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში, სადაც გალიდან იძულებით დევნილი 2800 ადამიანია დაბინავებული. სამცხე-ჯავახეთის მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის ინიციატივით, მათი მხარე გაუწევს დახმარებას, მშობლიურ კერაზე დაბრუნებამდე.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა, „იბერიამ“, „გეამ“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.**



ზუგდიდი: მერიის შენობასთან.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№139-140. კვირა-ორშაბათი. 7-8 ივნისი. 1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულუარები



ლივადია. იალტის კონფერენციის ისტორიული დარბაზი



როგორც ყოველთვის – ჟურნალისტთა ალყაში.

(პირველი გვერდიდან)

# შეხვედრა წარსულთან და განმუხტვის რისკიანი წუთი

ეს გაკვეთილიც ხომ ნასწავლი გვაქვს...

უფრო მეტი სიზუსტისათვის – გარდამავალი მენტალიტეტის სივრცეში მოვხვდით, სადაც ახალი მსოფლშეგრძნება ჯერ არ დამკვიდრებულა და ძველი ჯერ არ გამქრალა. ორივე სუსტ ხარისხში გაბნეულა, როგორც საზოგადოებრივი შეგნება ხალხის.

ხალხის, რომელიც მატერიალური სუბსტანციაა, მაგრამ არამატერიალური აზროვნების მატარებელია და – არსებობს.

„არსებული მარტივია. როგორც არაარსებული. ყველაფერი ისევე მარტივია, როგორც არაფერი. არარსებული. სწორედ ეს არის სამყაროს გონი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო აზროვნებასთან. არაფერთან არა აქვს არაფერი საერთო. ადამიანის აზროვნება არის კომენტარი არარსებული ტექსტის“, – ასე წერს ერთი საინტერესო თანამედროვე მწერალი, რომლის წიგნიდან თარგმნილ ნაწყვეტებს მალე შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთი.

ამ სუბსტანციის პარალელურად, მაგრამ არა დაპირისპირებად იალტის სივრცეში განვითარდა მეორე სუბსტანცია, როგორც პირველის ხვალინდელი დღე (ანუ მომავალი), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების პრეზიდენტების სამიტი.

არ არის ეს, ცხადია, გაჭირვებულისთვის დღესვე გაწვდილი პური, მაგრამ იმის გარანტია კი უცილობლად არის, „პური ჩვენი არსობისა“ მხოლოდ ფრთიან გამოთქმად რომ არ დარჩეს ხვალ.

და ნუღარ შევალთ სხვა სიღრმეებში, „არარსებული ტექსტის კომენტარი“ რომ არ გამოვიდეს.

* * *

სასტუმრო „იალტა“ ინტურისტის სისტემის შემორჩენილი მონსტრია (სიდიდეზე ვამბობ), რომელიც, ალბათ, ამ კურორტის მოსახლეობას მთლიანად თუ არა, ნახევარს მაინც დაიტევს. მასშტაბურობა და გაქანება წარსული დროის, როდესაც რაღაც დიდი და თანამედროვე უნდა გადაფარებოდა შინაგან სიცარიელეს.

მაგრამ აგებულია მკვიდრად და ლამაზია: იცოდნენ მაშინ კარგი ფასადების გაკეთება.

ამ მასშტაბურ შენობას ლამის თბილისის ცენტრალური მოედნის ოდენა ასფალტირებული სივრცე უდევს წინ. ამ სივრცის ცენტრში ბისეკის ახალი დროშის აღმართვის ცერემონიას დაესწრნენ პრეზიდენტები, უკლებლივ ყველა.

დღეს პრეზიდენტების კრიტიკა მოდად კი არა, მოთხოვნილებად იქცა. მეც ამ ტალღაზე ავეწყვე, მით უფრო, რომ კრიტიკის საგანი არის სხვა ქვეყნის პრეზიდენტი, და პასუხს ვერავინ მომთხოვს.

„ბროლის დარბაზში“ სამიტის პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ უნდა გამართულიყო პრესკონფერენცია. არ გაიმართა, და პრეზიდენტმა კუჩმამ ამის საკომპენსაციოდ დროშის მოედანზე (დავარქვათ ასე) გამოაცხადა: – თუ გაქვთ შეკითხვები, გისმენთო.

შეკითხვები გაქვთო? ამის თქმა და ჟურნალისტების ტალღამ, რომლის მსგავსი იალტის ყურეში დიდი ღელვის დროსაც არ ახსოვთ, კინაღამ წალეკა ქვეყნების მეთაურები. პრესკონფერენცია არა, და მოკლე რეპლიკების გაცვლა კი გამოვიდა.

თანაც, ძალიან გულითადი.

რაღაცას ყური მოვკარ, რაღაც გავიგე, უფრო მეტმა ჩემამდე ვერ მოაღწია, რადგან, მოგეხსენებათ, ჩემი საზღვარგარეთელი კოლეგები მიკროფონებზე უფრო კარგად იდაყვებით მუშაობენ, უფრო უკეთესად – დაცვა.

რა თქმა უნდა, ნავთობის შესახებ ჰკითხეს პრეზიდენტ ალიევს, კასპიისპირა ნავთობის მარშრუტების თაობაზე ჰკითხეს. მისი ლაკონური პასუხის შემდეგ, რომ ნავთობი საკმარისი რაოდენობითაა და ყველას ეყოფა, პრეზიდენტმა ლუჩინსკიმ რეპლიკა ისროლა: – ყველა ქვეყანას აქვს საკმარისი შანსი ამ ნავთობის გატარებისო.

გათავდა, გაინაწილეს და ჩვენ არაფერი დაგვიტოვეს?

არაფერი მსგავსი, რადგან სწორედ ამ დროს ჩაურთო ერთი წინადადება პრეზიდენტმა შევარდნაძემ – კიო, მაგრამ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის გავლითო.

და ისედაც უშუალო ურთიერთობა (განწყობილებასაც და ფიზიკურ სიახლოვესაც ვგულისხმობ) კიდევ უფრო გათბა და... ამაზე დამთავრდა პრესკონფერენცია. მაგრამ სწორედ ამ ბოლო აკორდმა საშუალება მისცა ჟურნალისტებს მოეხელთათ პრეზიდენტები და, ჭადრაკისა არ იყოს, დაიწყო მასობრივი პრესკონფერენციების ერთდროული სეანსი რამდენიმე დაფაზე.

გაფითრებული იქაური დაცვა თვითონ შეიქმნა დასაცავი და დასამშვიდებელი იმ დროს.

ელუარდ შევარდნაძემდე რომ მივაღწიე, მომასმენინეთ მაინც-მეთქი, მორიგი ტელეკომპანია (სამწუხაროდ, ვერ ვკითხე, რომელი) ბოლო შეკითხვებს აძლევდა ჩვენს პრეზიდენტს:

– შავი ზღვის რეგიონის უშიშროებას ხომ არ შეუშლის ხელს კასპიისპირა ქვეყნების ალიანსთან მისი შეერთება, სადაც (რომელ რეგიონშიც) მდგომარეობა საკმაოდ აფეთქებასაშიშია? (ჩანს, საუბარი იყო შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონების თანამშრომლობის იდეაზე, რომელიც მომავალში სამი ზღვის – შავი, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების კავშირად ჩამოყალიბდება).

– არა, – უპასუხა პრეზიდენტმა. – ვფიქრობ, რომ კასპიისპირეთის



ქვეყნებმა და შავი ზღვისპირეთის სახელმწიფოებმა უნდა მონახონ საერთო ენა და თანდათან დაახლოვდნენ.

– უშიშროების თვალსაზრისითაც?

– უეჭველად. ერთბაშად არაფერი გამოვა, ნაბიჯ-ნაბიჯ წინააღმდეგობები დაიძლევა.

ამასობაში კალაპოტში ჩამდგარმა დაცვის მუშაკებმა (უკრაინის დაცვისა), თანდათან ჩამოაცილეს ჟურნალისტები პრეზიდენტებს და ავტობუსში მიიწვიეს (პრეზიდენტებიც დადიან ავტობუსებით).

ჩაჯდა ერთი, მეორე, მალე ყველა ავა და დავრჩი მე ამდენი პრეზიდენტის ყოფნის უნიკალური შესაძლებლობის გამოყენების გარეშე. რას იზამდით თქვენ?

მეც დაახლოებით იგივე გავაკეთე, არც ვაციე, არც ვაცხელე და დავუძახე სერგეი კირიენკოს ძველი ნაცნობივით:

– სერგეი ვლადლენოვიჩ!

– აუ! – მანაც შინაურულად მიპასუხა.

ჩემი კოლეგა ძალიან გვგავს თქვენ და უნდა სურათი გადაგვიღოთ-მეთქი.

აი, თავხედობა!.... ამას იმდენად არ მოელოდნენ ჯანიანი დაცვის ბიჭები, რომ მხოლოდ ერთს აღმოხდა სუსტად: – ნე ნადო! სამაგიეროდ, კირიენკომ თქვა: – პოჟალუისტა!

და თქვენს წინაშეა უნიკალური ფოტო რუსეთის ახალგაზრდა პრემიერის სერგეი კირიენკოსი და საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ახალგაზრდა ჟურნალისტის გია აბაშიძის, რომელიც ძალიან ჰგავს კირიენკოს, და ორივე ერთად უღიმის ამ ფოტოს ავტორს, რომელიც ამ სტრიქონების ავტორიცაა, თქვენ წარმოიდგინეთ.

მერე ერთმანეთს უკვე მეგობრულად ჩამოართვეს ხელი, და ავტობუსის ფანჯრიდან კიდევ დიდხანს აკვირდებოდა გია აბაშიძეს სერგეი კირიენკო.

არის ხოლმე ასეთი განმუხტვის წუთები ძალიან სერიოზულ ღონისძიებებზეც კი. თუმც კი სარისკო ორგანიზატორისათვის.

* * *

პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ სამიტზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ქალაქ-კურორტ იალტის ღირსშესანიშნაობებს ამიერიდან კიდევ ერთი შეემატება: ამ მაღლიან მიწაზე ახალი შავიზღვისპირეთის იმედიან საფუძველს ერთი აგური ჩაემატა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, ლივადიის სასახლეში გადაწყვეტილი, მაგრამ გაცუდებული ახალი მსოფლიოს მშენებლობის პერსპექტივის საწინააღმდეგოდ, 4-5 ივნისის იალტის სამიტი რეალური ნაბიჯი იყო ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრების გზაზე ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე.

ამ შემთხვევაში, ყირიმის გავლით.

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.
იალტა-თბილისი

რეალობა

# ნადირობა ხის თოფით

## დამოუკიდებელი იურიდიული კომპანიის დასკვნა კობა დავითაშვილის სტატიაზე „კავშირგაბმულობის სფეროში არსებულ კანონდარღვევათა დამოუკიდებელი სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნა“

1998 წლის 5 ივნისის გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „კავშირგაბმულობის სფეროში არსებულ კანონდარღვევათა დამოუკიდებელი სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნა“. სტატიის ავტორია კობა დავითაშვილი, რომელიც „წარმოდგენილი მასალების“ საფუძველზე, როგორც იურიდიული საკითხების ექსპერტი, იხილავს „კავშირგაბმულობის სფეროში არსებულ კანონდარღვევებს“ და ასკვნის, რომ „ზემოთ განხილული კანონდარღვევები არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი ფრიდონ ინჯია გათავისუფლებულ ან გადაყენებულ იქნეს იმპიჩმენტის წესით დაკავებული თანამდებობიდან შესაბამისად პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ და მის წინააღმდეგ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე“.

თავიდან ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ სტატიის სათაურსა და მის პათოსზე, ხოლო შემდეგ „წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე“ შევეცდებით გავაკეთოთ სტატიაში მოყვანილი ფაქტების იურიდიული ანალიზი.

როგორც ვთქვით, სტატიის სათაურია „კავშირგაბმულობის სფეროში არსებულ კანონდარღვევათა დამოუკიდებელი სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნა“. შინაარსს რომ თავი დავანებოთ, სათაური ტერმინოლოგიის მხრივაც საკმაოდ არაკორექტულია (სიტყვა „არაკორექტული“ იმიტომ ვიხმარეთ, რომ სტატიის ავტორს ელემენტარული იურიდიული ტერმინოლოგიის უცოდინარობა არ დავწამოთ). იურისპრუდენციაში მიღებულია ტერმინი „ექსპერტის დასკვნა“ და არა „ექსპერტიზის დასკვნა“, რადგან თვითონ სიტყვა „ექსპერტიზა“ გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მიერ ხდება ამა თუ იმ ფაქტის, ან მოვლენის შეფასება. პროცესს, როგორც ცნობილია, არავითარი დასკვნის გაკეთება არ შეუძლია, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ზემოაღნიშნული სტატია არის არა „ექსპერტიზის დასკვნა“, არამედ „ექსპერტის დასკვნა“. რაც შეეხება სტატიის სათაურის შინაარსს, მისი გააზრების შემდეგ სტატიის წაკითხვა სრულიად ზედმეტი ხდება. სიტყვები „კავშირგაბმულობის სფეროში არსებულ კანონდარღვევათა“ უკვე ყველაფერზე მეტყველებს, ანუ შემდგომში იმის მტკიცება, სტატიაში მოყვანილი ფაქტები არის თუ არა სამართალდარღვევები და, კერძოდ, კანონდარღვევები, ყველანაირ აზრს კარგავს. სტატიის სათაური მიუთითებს იმაზე, რომ კავშირგაბმულობის სფეროში კანონდარღვევები უკვე არსებობს და ექსპერტი ცდილობს მხოლოდ უკვე არსებული კანონდარღვევების სამართლებრივ შეფასებას. ამ შემთხვევაში სტატიის ავტორს მხოლოდ უნდა მიეთითებინა სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე, ან განაჩენზე, რომლის ძალითაც სტატიაში მოყვანილი ფაქტები ცნობილი იქნა კანონდარღვევებად და ამით მისი „მისია“ დასრულებული იქნებოდა. რადგან ასეთი გადაწყვეტილებები, ან განაჩენები ბუნებაში არ არსებობს, იგი იძულებული ხდება ზედმეტად შეიწუხოს თავი და დაასკვნას: „წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ამ თანამდებობის პირთა მხრიდან უხეშად ირღვევა მოქმედი კანონმდებლობა“.

იხ. მე-16 გვ.

## სხვა გაზეთებიდან

### ალექსი გერასიმოვი:
# „დუმილის მორალური უფლება არა მაქვს...“



გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს ხელმძღვანელობამ, პირადად პრეზიდენტმა მიიღეს გალის რაიონში მორიგი პროვოკაციის პასუხად, ერთმნიშვნელოვნად როდი აფასებენ ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები.

საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხებში ალექსი გერასიმოვმა სურვილი გამოთქვა, ჩვენი გაზეთის მეშვეობით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება გალის მოვლენებისადმი და შეეფასებინა ბრალდებები, რომლებსაც ედუარდ შევარდნაძეს უყენებენ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები.

– დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტისა და მისი გადაწყვეტის გზებისადმი არაერთმნიშვნელოვანია როგორც რუსეთში, ისე ჩვენთან, საქართველოში. უდავოა, იგი თავს მოგვახვიეს რუსეთის იმ ძალებმა, რომლებიც ზესახელმწიფოს აღდგენისათვის იღვწიან. როგორც აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო მუდმივი კომისიის წევრი, არაერთხელ შევხვედრივარ რუსეთის მთავრობის, სახელმწიფო სათათბიროს წევრებს. მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთის პროიმპერიულ ძალებს არასოდეს არ დაუმალავთ თავიანთი ზრახვები.

არ შემიძლია არ გავიხსენო ეპიზოდი, რომელიც რუსეთის მთავრობის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის მოხელემ მიამბო: როცა ბაბურინს შევეკითხე, „აფხაზთა გულისთვის საქართველოს ხომ არ უნდა გადავემტეროთო? – მან, თავხედური გულახდილობით მიპასუხა: „მიმიფურთხებია აფხაზებისათვის, მინდა, რომ საქართველო კვლავ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იყოს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო რუსეთს შემოუერთდეს“.

იმას, რომ აფხაზეთის ომი იმპერიული ძალების პროვოცირებული იყო, ადასტურებს ზატულინის გამონათქვამები სტატიიდან „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა სამიტის შემდეგ. ისტორიის დასასრულის დასაწყისი“, რომელიც „ნეზავისიმაია გაზეტაში“ დაიბეჭდა.

სტატიაში ბატონი ზატულინი უსირცხვილოდ აცხადებს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე რუსეთის გავლენის აღსადგენად მათ ტერიტორიებზე უნდა გაჩაღდეს ეთნოკონფლიქტები.

მოწმე ვიყავი იმისა, თუ როგორ გახმაურდა ჩემს მიერ დასახელებული ბატონის შეხლა-შემოხლა ტიხონოვთან, რომელმაც ზატულინი სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და თანამემამულეების საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე შეცვალა. ზატულინი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ ახალ ხელმძღვანელობას არ ესმის ის, რომ საჭიროა „აფხაზეთსა და ყარაბაღში მუდამ ნაპერწკალი ღვიოდეს“. რაზეც, იმით განაწყენებულმა ტიხონოვმა, რომ ვერ გაიგეს მისი პოზიცია, უპასუხა: „ნუ წუხხართ, ჩვენ ეს შესანიშნავად გვესმის“.

ომის აფხაზური კერა გათვალისწინებული იყო კიდეც იმისათვის, რომ საქართველო ჩაეთრიათ ხანგრძლივ, ძმათამკვლელ ომში, სიღატაკესა და გაჩანაგებაში.

საქართველოს წარმატებანი მოსვენებას არ აძლევენ იმათ, ვისაც სურს საქართველო თავის გავლენას დაუმორჩილოს. არადა, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეკონომიკური სამსახურის მონაცემებს ვირწმუნებთ, სწორედ საქართველოში ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას შორის დაფიქსირებულია ეკონომიკური განვითარების ყველაზე სწრაფი ტემპი.

რა თქმა უნდა, სულაც არ მინდა ვამტკიცო, რომ ჩვენთან სამოთხეა. ვიცი, რომ ბევრს ძალიან უჭირს. მაგრამ სახელმწიფო ახლა ზრუნავს თავისი იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც სოციალურად ყველაზე ნაკლებად არიან დაცული.

მორიგი პროვოკაცია, ამჯერად გალის რაიონში, ანტიქართული ძალების მიერ არის ინსპირირებული. მათი ჩანაფიქრი ცხადია. ფარული ბრძოლა საქართველოს მტრებთან, მოვიგეთ მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის ბრძნული გადაწყვეტილების მეოხებით.

მე ვიზიარებ ჩემს თანამოქალაქეთა ტკივილს. მესმის იმათი მწუხარება, ვისი ახლობლებიც ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდნენ. მაგრამ გადაწყვეტილება მშვიდობის შენარჩუნების შესახებ ნაკარნახევი იყო, უწინარეს ყოვლისა, ამ ადამიანთა, მთელი ქართველი ხალხის დაცვის საჭიროებით, ქვეყნის მშვიდობისა და აყვავებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთშიც არიან ძალები, რომლებიც ჩვენს თვალსაზრისს იზიარებენ. საჭირო არ არის იყო პოლიტიკოსი ან სპეციალურად სწავლობდე სიტუაციას რუსეთში, რათა დაინახო, რომ რუსეთის მთავრობა ვერ ფლობს სიტუაციას, ზესახელმწიფოს აღორძინებისათვის მებრძოლი ძალები კი მეტად ძლიერია.

მიმაჩნია, რომ უნდა ვუმადლოდეთ პრეზიდენტს გამოჩენილი სიბრძნისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში თავი წამოყვეს ადამიანებმა, რომლებიც მზად არიან ხალხის ბედი თავიანთი პოლიტიკური ამბიციების სამსხვერპლოზე მიიტანონ. ისარგებლეს რა ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობით, მათ გადაწყვიტეს პირადი ანგარიშები გაესწორებინათ პრეზიდენტთან, როცა სავსებით დაუსაბუთებლად მოითხოვენ მის გადადგომას.

მათი ტაქტიკა ჩემში კრილოვის გომიას ასოციაციას იწვევს.

მინდა ვკითხო მათ: იმის მეასედს მაინც გააკეთებთ, რასაც საქართველოს პრეზიდენტისაგან მოითხოვთ?

მინდა უარვყო ედუარდ შევარდნაძის მოწინააღმდეგეთა უაპელაციო განცხადებანიც იმის შესახებ, თითქოს ხალხს იგი არ უყვარდეს.

მე ბევრს ვმოგზაურობ ქვეყანაში, და ყოველი შეხვედრა ადამიანებთან მთავრდებოდა თხოვნით, მესურვებინა მათი სახელით ყოველივე საუკეთესო და ხანგრძლივი სიცოცხლე. ცხოვრების დონის გამო უკმაყოფილება სულაც არ ნიშნავს ნეგატიურ დამოკიდებულებას პრეზიდენტისადმი. ხალხს შესანიშნავად ესმის, რომ ყველაფერი კეთდება ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ფასდაუდებელია მისი მოღვაწეობა საქართველოს კეთილდღეობისათვის იმ დროსაც, როცა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული კულტურის რენესანსი.

1978 წელს, ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დამკვიდრებისათვის რომ იბრძოდა, იგი უფრო მეტს რისკავდა, ვიდრე ნებისმიერი დისიდენტი.

სამოქალაქო ომის ზღვარზე მყოფ საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება კი, როგორც იაველინსკიმ თქვა, შეიძლებოდა მიეღო მხოლოდ „კაცს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი ხალხი“.

დღეს ედუარდ შევარდნაძე კავკასიაში მშვიდობის სიმბოლოა. უაღრესად მაღალია მისი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში.

ვაღიარებ, რა, რომ ქვეყანაში იზრდება პოლიტიკოსთა ნიჭიერი თაობა, მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ დღეისათვის ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ალტერნატივა არა ჰყავს.

და... ბოლოს, ბევრი გალის მოვლენების გამო გადაწყვეტილებას საქართველოს მარცხად აღიქვამს. თავს ნებას მივცემ, შევახსენო ყველას, რომ ამ აქციას სეპარატისტები ამზადებდნენ წლინახევრის განმავლობაში. აფხაზეთის მხარე მთელი ამ დროის მანძილზე ხომ თვალს ხუჭავდა საკუთარ სახლებში ქართველთა სტიქიურ დაბრუნებაზე. პარტიზანთა ვაჟკაცურმა მოქმედებამ სეპარატისტებს ხელი შეუშალა ფიზიკურად მოესპოთ ქართველები გალის რაიონში.

ამიტომაც, არავითარ მარცხზე ლაპარაკი არ შეიძლება.

**მედეა კორსანტია,**
**„სვობოდნაია გრუზია“,**
1998 წლის 5 ივნისი.

## თანადგომა

# „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა“...

ტრაგედია, რომელიც გალის რაიონში დატრიალდა, ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის სულის შემძვრელია. იმ რთულ ვითარებაში ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი იღონა შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ამერიკის მიერ გამოყოფილი დახმარების ფონდიდან ლტოლვილებისათვის გათვალისწინებული 5 მილიონი დოლარი მოხმარდება გალიდან განდევნილი მოსახლეობის სახლკარის ადგილზე აღდგენას და მოშლილი მეურნეობის აღორძინებას. ყველაზე მთავარი ის არის, რომ, როგორც ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, ყველა დევნილის პატრონი საქართველოა. სწორედ ამან განაპირობა საგანგებო სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელიც ამ რთულ სიტუაციაში აწესრიგებს დევნილთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და სასურსათო პრობლემებს.

ვესაუბრე სახელმწიფო კომისიის წევრს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს ბაკურ გულუას, რომლის ზურგზე გადადის დევნილთა სურსათით უზრუნველყოფის (და არა მხოლოდ სურსათით) მთელი სიმძიმე.

– ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს დევნილებამდე არ მიდის განკუთვნილი დახმარება, სიმართლე არ არის, – ამბობს მინისტრი. – არადა, ამ ჭორს ავრცელებენ არა მარტო არაოფიციალური წყაროები, არამედ, ზოგჯერ, ოფიციალური პირებიც.

საგანგებო კომისიამ სამი უმძიმესი ეტაპი გაიარა. პირველი – უშუალოდ ბრძოლის ველიდან გამოსული ადამიანების ფიზიკური გადარჩენა. ალბათ, ზედმეტია იმის ახსნა, თუ რა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყვნენ მოხუცები, ქალები, ბავშვები და ავადმყოფები, რომლებიც 6-7 დღის განმავლობაში ათენ-აღამებდნენ ენგურის პირას და ვერ შორდებოდნენ მშობლიურ ეზო-კარს. მაშინ მათ პირდაპირ საველე პირობებში ვუწევდით დახმარებას. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში შეუძლებელია პროდუქტების განაწილების გაკონტროლება, რაიმე სისტემაზე საუბარი. მიუხედავად ამისა, მშიერ-მწყურვალი ცოტა ვინმე თუ დარჩა.

მეორე ეტაპი 27 მაისიდან დაიწყო, როცა შეწყდა საომარი მოქმედებები. ეს იყო დევნილთათვის თავშესაფრის მოძიება და დაბინავება. მხედველობაში იქონიეთ, რომ ზუგდიდში ისედაც 60 ათასამდე აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდან ლტოლვილი იმყოფება. მაგრამ ქალაქის მერიამ თითქმის შეუძლებელი შეძლო. ადამიანები დაბინავდნენ სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, ნახევრად ამორტიზებულ ან მშენებარე ობიექტებში. ამ პროცესის აღწერაც კი შეუძლებელია. დღესაც დევნილთა გარკვეული ნაწილი თითქმის ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი და ამის გამო ყოველდღიურად ინაცვლებს ადგილს. ლტოლვილთა მოზღვავების გამო ათასამდე კარავი გაიშალა, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. მდგომარეობა იმან უფრო გაამწვავა, რომ მთელი კვირაა კოკისპირულად წვიმს.

მიუხედავად ამისა, ივნისის პირველი რიცხვებიდან შესაძლებელი გახდა კონტროლის დაწესება დევნილთათვის პროდუქტების განაწილებაზე. შეიქმნა დახმარების მიღება-განაწილების მწყობრი სისტემა. გაუქმდა ის საწყობი, საიდანაც სტიქიურად გაჰქონდათ საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელი და საკვები პროდუქტები. ამჟამად სამხარეო ადმინისტრაციის სახელზე ჩამოსული ყველა ტვირთი ბინავდება საიმედოდ დაცულ საწყობში, სადაც აღირიცხება და გალის გამგეობა პასუხისმგებელ პირებზე გასცემს, რომლებიც რეგისტრირებულ ლტოლვილებზე ანაწილებენ. ამ პროცესს ხელმძღვანელობს სახელმწიფო კომისია, რომლის მითითებითაც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო კონტროლის პალატები ოპერატიულად ამოწმებენ დახმარების განაწილების სისწორეს. პროდუქტები გაიცემა სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტებით, რაც იმის გარანტიაა, რომ ადრესატამდე მიაღწევს.

რამდენიმე დღეა, დაიწყო 30 ლარის ოდენობით ფულადი დახმარების გაცემა. ამის მიღების სურვილი ყველას ჰქონდა, მათ შორის ძველ ლტოლვილებსაც. ამან გამოიწვია ზოგიერთის უკმაყოფილება. წითელი ჯვრის ფედერაცია კომპაქტურად ჩასახლებულ უბნებში არიგებს 20-კილოგრამიან ყუთებს. ამიტომ ყველა დევნილი ვერ ღებულობს ამ დახმარებას. ბუნებრივია, ამან დიდი აყალ-მაყალი გამოიწვია. სამწუხაროა, რომ დევნილთა კომიტეტების გარკვეული ნაწილი არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. გამოვლენილია დევნილთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდის შემთხვევები. ხუთი ასეთი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ცხადია, ბევრ შემთხვევაში დავკმაყოფილდით ადმინისტრაციული ზომებით და პროფილაქტიკური ღონისძიებებით.

ახლა სახელმწიფო კომისიას საქონლის მიღება, გაცემა, გარიგება მკაცრ კონტროლზე აქვს აყვანილი. სისტემატურად ხდება სიების შედარება-შემოწმება, რამაც გარკვეული შედეგი მოგვცა.

დევნილების ერთმა ნაწილმა შეძლო პირუტყვის გადმოყვანა. ჩვენ ვახერხებთ მათ მომარაგებას უხეში და კომბინირებული საკვებით. ბევრს სურს პირუტყვის გაყიდვა. ამიტომ გავხსენით დროებითი პუნქტი, სადაც ხდება პირუტყვის შესყიდვა.

მართალია, დახმარების ფონდი დღითიდღე მატულობს, მაგრამ დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად,ალბათ, უპრიანი იქნებოდა შეფობის სისტემის დანერგვა, მაგალითად, რუსთავის მერიამ იკისრა ინგურქაღალდკომბინატში განთავსებულ დევნილთა დახმარება, ქუთაისის მერიამ ყველაზე მძიმე უბნებზე აიღო შეფობა. თბილისის მერია თავისი 10 რაიონით 11 ათას 500 დევნილს გაუწევს შეფობას. სოფელ რუხში განთავსებულ 2000 დევნილს საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო (მინისტრი ა. სილაგაძე) შეფობს. სასურველია ამ ინიციატივას მხარი ავუბათ.

ამ გაუსაძლის ჟამს, ვიდრე დევნილები თავიანთ მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდნენ, კომისია ყველაფერს აკეთებს მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მაგრამ ზოგიერთი მოქალაქე დეზინფორმაციას ავრცელებს თითქოს დევნილთათვის გამოგზავნილი ამანათები დევნილებამდე ვერ აღწევდეს. და ამით უფრო აღიზიანებს ისედაც გაწამებულ ადამიანებს. ხალხმა კარგად იცის, ვინ და როგორ ეკიდება თავის საქმეს. ჩვენ ძნელი და მძიმე საქმე ვიკისრეთ. ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი უმაღლესი კეთილსინდისიერებით სრულდება, – აცხადებს სახელმწიფო კომისიის წევრი.

აღსანიშნავია, რომ გალიდან დევნილ მოსახლეობაში საბრძოლო შემართებაა. ისინი პროვოკატორთა ანკესს არ წამოეგებიან და მზად არიან, სიცოცხლის ფასად დაიცვან თავიანთი მიწა-წყალი. საბედისწერო ძირძველ ქართულ მიწაზე მოძალადე ვერ გაიხარებს. ამ ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

## მოწოდება

# „ვისაც ყური ასხმენ სასმენად, ისმინენ!“

თანამემამულენო! როგორც ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით ბოლო ხანს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა ანალიზი გვარწმუნებს, იწყება იმპერიულ ძალთა და ამ უკანასკნელთა ფეხისხმას შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად აყოლილ პოლიტიკოსთა მხრივ საქართველოსა და მსოფლიო სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა ახალი ეტაპი.

მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მორიგ არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი, ღვთისშვილთა კავშირს მიზანშეუწონლად მიაჩნია ხელისუფლების გადადგომისა ან ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნის მხარდაჭერა.

ამასთან, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ, თავის მხრივ, დღევანდელმა ხელისუფლებამ, კონსტრუქციულად განწყობილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებთან ერთად, გაბედულად და დროულად უნდა განახორციელოს აქტიური ღონისძიებანი ეროვნული თანხმობისა და სამოქალაქო მშვიდობის დამკვიდრების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სამხედრო ძლიერების უზრუნველყოფის, ეკონომიკური აღორძინების მიღწევისა და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის, კორუფციის აღმოფხვრისა და სახელმწიფოში მოქმედი მტრული აგენტურული ქსელის ლიკვიდაციის მიზნით.

**ზაზა სიხარულიძე,**
**საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# თუნდაც ერთი გაკვეთილი

გალის მე-4 სკოლის პედაგოგს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს 74 წლის ქსენია კორძახიას აფხაზეთში ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებლად თვლიდნენ; წლების მანძილზე თანამშრომლობდა საქართველოს პედაგოგიური პრესის ფურცლებზე, სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვებში... დღეს კი სევდით გაჰყურებს აფხაზეთისკენ მიმავალ გზას.

— იმ დალოცვილ მიწაზე ყველანი ვეტეოდით... წლების მანძილზე აფხაზი და ქართველი პედაგოგები ერთად ვიკრიბებოდით ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემის მეტი არაფერი მიგრძვნია — ვინ იცის მერამდენედ ეკითხება თავისთავს თუ რატომ გაუუცხოვდნენ დღეს ასე ერთმანეთს...

ტკივილით იგონებს სოხუმის დაცემის დღეებს, საკუთარ კარმიდამოდან აყრის წუთებს... გალიდან ზუგდიდამდე იძულებით გადაადგილებულთა მანქანებით თუ ფეხით მომავალი ადამიანებით გადაჭედილ გზას, მოახლოებულ ცეცხლის სეტყვას, საკაცით გამორიდებულ ავადმყოფთა სახეებს, ურიკაში მსხდომ სნეულ, მოხუცი მშობლების სევდიან თვალებს... დედის მკერდს მიკრულ უმწეო პატარა გოგონას, თავად დედას მომდევნო ორი პატარისთვის რომ ჩაევლო ხელი და, საკუთარი მიწიდან გამოდევნილი მოზღვავებული ხალხის ტალღამ უცებ რომ ჩამოაცილა დედას ბავშვები... თითქოს ახლაც ჩაესმის შვილების მხედველობიდან დაკარგვით შეძრული დედის განწირული კივილი... და, საოცრება! ზუგდიდთან, ხიდთან დაუვიწყარი კვლავ შეხვედრა მათთან — გულმკერდზე ეპოტინება გულწასულ მშობელს პატარა, მადლიერის ხელით გადარჩენილი გოგონები დედას მიეჭრნენ... გონდაკარგული ქალი შვილების ცრემლმა მოაბრუნა... არ აეიწყდება მათ ირგვლივ შეკრებილ ადამიანთა გაქვავებული სახეები, იდგნენ და საკუთარ თავს ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდნენ — რატომ?

... მადლიერია ზუგდიდელთა პირველი ყურადღებით. შემდეგ თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოს შეაფარა თავი. დედაქალაქში ნაცნობმეგობრებმა, ნათესავებმა არ მოაკლეს ყურადღება, მაგრამ... ფიქრით მუდამდღე გალშია, საკუთარ კარმიდამოში, მშობლიურ სკოლაში...

— მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის „მიწის ყივილის" სასკოლო პროგრამაში გათვალისწინებამ გამახარა, მახსოვს როგორ საგანგებოდ მოვემზადე მის ასახსნელად. მეგონა მიზანს მიეაღწიე, ბავშვებს განვაცდევინე მშობლიური მიწის ყივილის ძალა. დღეს, დევნილმა, მისი სიმორის სიმწარე გამოვცადე, ვგრძნობ როგორ მიხმობს, მიყივის ჩემი მიწა; ჰოდა, მაქვს უფლება, ვთქვა, ეს მართლაც რა კარგად დაუწერია მწერალს. იძულებით დაგვატოვებინეს მამა-პაპათა ნაფუძარი, ნაშრომ ნაჯაფი, ჩვენი ძირი და მომავალი, დღეს სხვადასხვა კუთხეს შევხიზნულვართ... ძნელი ყოფილა ასეთი ყოფა — ელოდო დახმარებას იმისგან, ვისაც თავადაც უჭირს. მტერსაც ნუ გამოაცდევინოს ყოველივე. მშობლიური ადგილების მონატრებაა ნოსტალგია. დღეს სენი შემყრია, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია, — ვინ იცის რამდენჯერ განმიმარტავს ამ სიტყვების შინაარსი ჩემი მოსწავლეებისათვის. ახლა კი ყველას შეგვყრია უკურნებელი. როცა მათ თბილისში ვხვდები, ვიხსენებთ ხოლმე იმ გაკვეთილს, როცა ამას ვხსნიდი; დიახ. ნოსტალგია სენია, განუკურნებელი ავადმყოფობა; იქნებ მწარე წინასწარმეტყველებაც იყო, ყოველთვის ქრუანტელს რომ მგვრიდა ამ სიტყვის გაგონება, — ამბობს ამაგდარი პედაგოგი.

ფიქრით მუდამდღე აფხაზეთის გზაზეა... საკუთარი კარმიდამო უხმობს. ერთი ნატვრაც აქვს ღვაწლმოსილ პედაგოგს, გალში ჩასულს თავისი მიმოფანტული დიდი ოჯახის ერთად თავშეყრა, მახლობლებთან შეხვედრა, მეუღლის მიტოვებული საფლავის (გადახნული თუ არ არის) მოვლა და იმ სკოლაში მისვლა, სადაც ათეული წლები იმოღვაწა...

— ოღონდ ერთხელ შევაბიჯო ჩემს სკოლაში, მოვეფერო მის კედლებს, შევხვდე კოლეგებს (გალის მე-4 სკოლის დევნილი დირექტორი თბილისში გარდაიცვალა), ზარის ნაცნობი წკრიალი მესმას, ჟურნალით ხელში შევიდე საკლასო ოთახში და ჩავატარო თუნდაც ერთი გაკვეთილი! თემაც შერჩეული მაქვს: — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!"... დავტკბე სწავლას მოწყურებული გალელი ბავშვების ფართოდ გახელილი თვალების ცქერით და მერე... დაე, ეს იყოს ჩემთვის გედის უკანასკნელი სიმღერა... ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს, კვლავაც ვეცდებოდი, რომ ჩემმა მოსწავლეებმა ქართულ სკოლაში ისე იარონ, როგორც სალოცავ ტაძარში.

**ღმერთმა ინებოს ასაკოვანი პედაგოგის ნატვრის ახდენა, დევნილობით დარდისა და წუხილისაგან ჯანგატეხილმა გაკვეთილი ჩაატაროს... თემაც ხომ შერჩეული აქვს.**

**ნათელა ფაილოძე.**

## რჩევა

# ჩვენი კონსულტაცია

**საპენსიო** შეკითხვებზე რუბრიკას უძღვება საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს უფროსი **ირინე ღლონტი**.

*დაბადებული ვარ 1912 წელს. 1941 წელს მობილიზაციით გამიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, გაწვევის დღიდან ფრონტზე გასაგზავნად მზადებას გავდიოდი ბათუმში, ქუთაისში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე... სულ საბჭოთა არმიის რიგებში ვიმყოფებოდი 1941-43 წლებში. შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, რომელიც აჭარაში მცხოვრებლებზე გავრცელდა, დემობილიზაციის შემდეგ ვიმყოფებოდი მშვიდობიან ზურგში. მიღებული მაქვს შრომის ვეტერანის მედალი. გთხოვთ განმიმარტოთ, ვითვლები თუ არა ომის მონაწილედ.*

მ. აბულაძე.

ქედა.

ბატონო მემედ! შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით თქვენ ომის მონაწილედ არ ჩაითვლებით და პენსიის გადიდებული ოდენობით მიღების უფლებას დღემდე მოქმედი კანონით ვერ მოიპოვებთ.

იხ. მე-7 გვ.

## ადამიანი დროში

# მას საქართველოს დამოუკიდებლობა ახსოვს



ამას წინათ ჩემი მეგობრის ბებია, 95 წლის შუშანა ბერიაშვილი-ირემაშვილისა გავიცანი. საინტერესო მოსაუბრე გამოდგა საუკუნეს მიტანებული ქალბატონი.

***— ქალბატონო შუშანა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე თუ გახსოვთ?***

— კარგად მახსოვს! ეს ამბავი ქალაქიდან მამაჩემმა ჩამოიტანა: სოფლელები ეკითხებოდნენ — როგორ იქნება ჩვენი საქმეო? მამაჩემის პასუხი ასეთი იყო: რუსის მმართველობა აღარა გვყავს და რა ღმერთი გაგვიწყრება, რომ ჩვენს თავს ვერ ვუპატრონოთო. ნაადრევი გამოდგა ჩვენი სიხარული. მალევე დავკარგეთ ეს ნანატრი თავისუფლება. მე მაშინ გათხოვილი ვიყავი, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში ვცხოვრობდით. რკინიგზიდან ცოტა მოშორებით სროლის ხმები ჩვენამდე აღწევდა. სოფლის მოსახლეობა შეშინებული იყო, გოგონები და ქალები ტყეში დაგვმალეს. ასე დამახსომდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის დრო.

***— თქვენს გათხოვებას ხომ არ გაიხსენებდით?***

— ძველად გათხოვება მშობლების ნებართვით ხდებოდა. ჩემი მეუღლე გიორგი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. წარმოსადეგი მამაკაცი, როცა ჩემს მშობლებს ჩემი ხელის თხოვა, მამაჩემი უარზე დადგა. მე კი მომეწონა და ქორწინებაც გადაწყდა. 16 წლისა გავთხოვდი. თუმცა, ასაკის გამო მღვდელიც უარზე იყო. ჩვენს შორის 17 წელიწადი იყო განსხვავება.

***— როგორ წარიმართა თქვენი ოჯახური ცხოვრება?***

— იყო გაჭირვებაც, მაგრამ უფრო მეტი სიხარული. ჯერ სოფელში ვცხოვრობდით. მერე, მაზლმა ცოლი რომ მოიყვანა, ქალაქისკენ გამოვწიეთ. იყო 1922 წელი. ქმარმა ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ხარატად დაიწყო მუშაობა, ვაგონის ბორბლებს ჩარხავდა. დაფასება ჰქონდა და შემოსავალიც. მუშაობისათვის ორდენები და მედლები მიიღო. ჭირდა იმ დროს ფეხსაცმელი, ჩასაცმელი, საოჯახო ნივთები, მეუღლეს კარგი მუშაობისათვის საოჯახო საქონლის ყიდვის ქვითრებს აძლევდნენ, ბინაც მივიღეთ. ყოველწლიურად მეგვემლო რკინიგზით საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქი მოგვევლო.

ქალ-ვაჟიც შეგვეძინა.

პატიოსანი და ნამუსიანი კაცი იყო ჩემი მეუღლე, სამსახურში დიდად აფასებდნენ. 1926 წელს, როდესაც სტალინმა თავისი მოგზაურობისას თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა მოინახულა, მაშინ ჩემი ქმარი, როგორც მოწინავე მუშა, წარუდგინეს. კომუნისტური პარტიის წევრი არ ყოფილა. როდესაც მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა, არც ერთის მხარეს არ უბრძოლია. როცა ამ ბრძოლების დროს სოფელი განახევრდა, ვინ სად შეაფარა თავი და ვინ სად, ჩვენ სოფელი არ დაგვიტოვებია. ღირსეულად იცხოვრა და 90 წლისა აღესრულა. მისგან მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი წყენაც არ მახსენდება.

***— შვილებზე რას გვეტყვით?***

— აკი გითხარით, ორი შვილი მყავდა, ქალ-ვაჟი, დღეს აღარც ერთი აღარ მყავს. დამტოვეს, მიღალატეს, არც სიძე და რძალი მყავს, მაგრამ მათი ნამრავლით ვცოცხლობ, ვსულდგმულობ. რაც მეუღლე გარდამეცვალა, მათი მზრუნველობა არ მომკლებია. შვილიშვილის ქმარმა, დავით მანიამ მთხოვა და მათთან გადავედი საცხოვრებლად.

კი მენანებოდა ჩემი სახლის მიტოვება, სადაც მთელი ცხოვრება გავატარე, მაგრამ ვაჟკაცური სიტყვა მომცა — ვიყო შენი მოვალეო! სამსახურიდან რომ ბრუნდება, პირველად მე მიკითხავს ხოლმე.

***— ქალბატონო შუშანა! თუ გიმუშავიათ?***

— ჩემი ცხოვრების მანძილზე სულ ვშრომობდი, სოფელშიც, ქალაქშიც, თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში 30 წელიწადზე მეტი ვიმუშავე, წარმატებებიც მქონდა, ჯილდოებიც, წახალისებაც.

ქალბატონ შუშანას გამოვუემშვიდობე და ჯანმრთელობა ვუსურვე.

**P. S. უხუცესთა კლუბის კანდიდატებს, რომელთა ასაკი 90-100 წელია, გთხოვთ, დაგვირეკონ ბინაზე: თაბუკაშვილის 44, ტელ.: 93-21-74.**

**ხაჩიკ ვართანიანცი.**

## ჩვენ

# არსებობისთვის ბრძოლა ჰქვია მის ამ მოლოდინს

ის ზის და ელის...

ხელგამშვერილი, მხრებში მოხრილი, თავჩაქინდრული, ცხოვრებისაგან გარიყული და პატივზე სილაგაწნული.

კაცი თითქოსდა ჩვენთვის ზედმეტი... ეს ყოველივე საქართველოსთვის დასაბამიდან მიუღებელი...

და მაინც ელის: გამვლელს, გამომვლელს, კეთილს, უპოვართ შემწეს და გულში ჩუმად უფალს შესთხოვს ამგვართ სიმრავლეს.

ხდება ხშირად, მცხუნვარე მზის გადაწვერვამდე ერთი თეთრიც არ ჩავარდება სამოწყალოდ გაშვერილ ხელში.

მერე კი უცებ ვიღაც უხვი და ღვთისნიერი ერთად გაიღებს სამი დღის საკმარს.

ჩამვლელთა შორის ძუნწიცაა და ხელგაშლილიც, არის არც ერთი და არც მეორე — ისე, გულგრილი.

არის ლატაკიც, მასავით რომ არ გააჩნია ჯიბეში თეთრი.

ის მაინც ელის...

არსებობისთვის ბრძოლა ჰქვია მის ამ მოლოდინს.

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

ჯემალ კასრაძის და ზურაბ დათუაშვილის ფოტო.







## რჩევა

# ჩვენი კონსულტაცია

(მეექვსე გვერდიდან)

*გთხოვთ განმიმარტოთ, პენსიონერს, რომელიც მუშაობს სახელმწიფო დაწესებულებაში ნახევარ განაკვეთზე, აქვს თუ არა უფლება პენსია და ხელფასი მიიღოს სრულად?*

**ნ. ღვინიაშვილი.**
**ახმეტის რაიონი.**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუშაობის პერიოდში პენსიის სრულად მიღების უფლება აქვს მხოლოდ ომის ინვალიდებს, მონაწილეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს. დანარჩენ პენსიონერებს (მათ შორის ისინიც, რომლებიც ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ) ხელფასთან ერთად პენსიის მიღების უფლება არა აქვთ.

*1944 წლის 3 იანვარს მოხალისედ წავედი ჯარში, ვინაიდან 18 წლის არ ვიყავი. სამხედრო სამსახურს გავდიოდი დასავლეთ უკრაინასა და ჩრდილო კავკასიაში. 1950 წელს მეცადინეობის დროს დავმარცხდი, განკურნების შემდეგ დემობილიზებული ვიქენი 1950 წლის აგვისტოში და საექიმო კომისიამ III ჯგ. ინვალიდად მცნო. მაქვს მოწმობა, სადაც მიწერია, რომ ვარ ომის ინვალიდი (ამჟამად II ჯგ.) დაჯილდოებული ვარ მედლით გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-45 წლებში და ყველა საიუბილეო მედლით. გთხოვთ მიპასუხოთ, გაზრდილი პენსია რა ოდენობით მეკუთვნის?*

**კ. დავითაშვილი.**
**ჭიათურა.**

როგორც მეკითხვიდან ჩანს, თქვენ სამამულო ომის ფრონტზე არ ყოფილხართ. ამიტომ გაურკვეველია ნამდვილად ომის ინვალიდად ხართ ცნობილი თუ არა. წერილში აღნიშნული პირობების მიხედვით, ვფიქრობთ, ცნობილი იქნებით ინვალიდად სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნულის ზუსტად განსაზღვრის უფლება, კანონის თანახმად, მხოლოდ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიას აქვს მინიჭებული. ამიტომ პირობითად გპასუხობთ, რომ თუ საექიმო კომისიის მიერ ომის ინვალიდად ხართ ცნობილი, პენსია 1998 წლის 1 იანვრიდან 45 ლარი გეკუთვნით, ხოლო თუ ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი ხართ, პენსიის ოდენობა 35 ლარი იქნება, რომლის გაცემაც დროებით შეჩერებულია სათანადო დაფინანსების წყაროს უქონლობის გამო.

*გთხოვთ განმიმარტოთ, მოქმედი კანონმდებლობით რა ოდენობის პენსია დაენიშნება დიდ სამამულო ომში დაღუპულის მეუღლეს და იმავდროულად 1 ჯგუფის ინვალიდს, რომელიც სხვა პირის მოვლას საჭიროებს?*

**ნ. სულაქველიძე.**
**თბილისი.**

მეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენი პენსიის ოდენობა, სამწუხაროდ, მხოლოდ 15 ლარი იქნება, საიდანაც 1 ლარი და 80 თეთრი შექმნილ ენერგოკრიზისთან დაკავშირებით, გადაგერიცხებათ ელექტროენერგიის დასაფარავად, ხოლო ხელზე მიიღებთ 13 ლარსა და 20 თეთრს.

*მე სოხუმიდან, მარტოხელა პენსიონერი, ამჟამად ვცხოვრობ ჩოხატაურში. გთხოვთ გამარკვიოთ შემდეგ საკითხში: ჩემი მეუღლე ალექსანდრე ღოლიძე იყო სამამულო ომის I ჯგ. ინვალიდი, მაიორი, საჰაერო ბატალიონის მეთაური. შვილი დამეღუპა სოხუმში 1993 წელს. დავრჩი მარტოდმარტო. ჯანმრთელობამ მიღალატა, მკურნალობის არავითარი საშუალება არ გამაჩნია. გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება მივიღო მეუღლის და შვილის კუთვნილი პენსია?*

**გ. ღოლიძე.**
**ჩოხატაური.**

გაცნობებთ, რომ თუ თქვენ მეუღლეს ჰქონდა სამხედრო წოდება და იღებდა პენსიას თავდაცვის სამინისტროდან, თქვენთვის გადიდებული ოდენობით პენსიის დანიშვნის შესაძლებლობის საკითხზე უნდა მიმართოთ თავდაცვის სამინისტროს საპენსიო განყოფილებას. ძალზე შეგვაწუხა თქვენმა მდგომარეობამ, განსაკუთრებით შვილის დაღუპვასთან დაკავშირებით, მაგრამ უნდა გაცნობოთ, რომ ერთდროულად მარჩენალის დაკარგვის გამო ორი პენსიის დანიშვნას (მეუღლის და შვილის გარდაცვალების გამო) მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.



— შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, არსაკიძევ, მაგრამ თუ ინვალიდობის ცნობას არ მოიტან, პენსიას ვერ დაგინიშნავთ.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

*მე რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სხვა ჯილდოებთან ერთად მიღებული მაქვს მედალი 1941-1945 წლებში ზურგში მამაცური შრომისათვის, რითაც გათანაბრებული ვარ ომის ვეტერანებთან. ვიღებ პენსიას მეუღლის ფრონტზე დაღუპვის გამო. ვარ 81 წლის, მეორე ქორწინებაში არ ვყოფილვარ. გთხოვთ მიპასუხოთ, რომელი პენსია ჯობია რომ ავირჩიო, რომელსაც ამჟამად ვიღებ თუ საკუთარი?*

**ნ. აბულაძე.**
**თბილისი.**

ქალბატონო ნინო! ვინაიდან თქვენ 1998 წლის 1 იანვრამდე სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებისათვის წარდგენილი არ გქონიათ საბუთები იმის შესახებ, რომ II მსოფლიო ომის დროს ზურგში თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებული ხართ მედლით, ხოლო ამჟამად ამ საბუთების მიღება და პენსიის 35 ლარამდე გაზრდა დროებით შეჩერებულია სათანადო დაფინანსების წყაროს არარსებობის გამო, გირჩევთ ჯერჯერობით პენსია კვლავ მეუღლის ფრონტზე დაღუპვის გამო მიიღოთ, ხოლო თუ თქვენი კატეგორიის პირებისათვის პენსიის 35 ლარამდე გაზრდის საკითხი პარლამენტის სხდომაზე განხილვის შემდეგ დადებითად გადაწყდა, დამატებით მოგაწვდით ინფორმაციას პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით და 35 ლარის ოდენობით პენსიის დანიშვნის საკითხზე გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ განცხადებითა და სათანადო საბუთებით სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ განყოფილებას.

*მე დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრის ქვრივი, ვიღებ პენსიას მარჩენალის გარდაცვალების გამო, როგორც მის კმაყოფაზე მყოფი. გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსიის 45 ლარამდე გაზრდა?*

**კ. ღიღებულიძე.**
**თბილისი.**

კანონის თანახმად, 1998 წლის 1 იანვრიდან პენსია 45 ლარამდე გაეზარდათ მხოლოდ ომის ინვალიდებს და ომის მონაწილეებს, რომლებიც გადაცილებული არიან 70 წლის ასაკს. ომში დაღუპულ მეომართა ქვრივებისათვის პენსიის 45 ლარამდე გაზრდას, სამწუხაროდ, დღემდე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მათ პენსია ეძლევათ თვეში 15 ლარის ოდენობით, საიდანაც 1,8 ლარი ირიცხება ელექტროენერგიის გადასახადში.

## ოჯახი

# მეორე შვილის პრობლემა

**ხშირად ყველაფერი ლამაზად იწყება: პირველი პაემანი, შეხვედრები, ლამაზი სიყვარული, შემდეგ ჯვრისწერა, ქორწილი, ბედნიერი წყვილი და... გადის დრო. ვიგებთ: ის წყვილი ახლახანს რომ შეუღლდა, უკვე განქორწინდა, ან ის ოჯახი, დიდი ხნის განმავლობაში მისაბაძად რომ ითვლებოდა, აღარ არსებობს.**

**საზოგადოება კი თითქოს შეეჩვია ამას.**

**და მაინც, როგორი მდგომარეობაა ქორწინებების მხრივ საქართველოში?**

თბილისის ქორწინების სასახლეში 1996 წელს აღრიცხულია 1708 ქორწინება, 1997 – 1627, ხოლო 1998 წლის მარტის ჩათვლით – 300 ქორწინება.

რიტუალების სასახლესთან მოქმედი მოქალაქეობის მდგომარეობის რეგისტრაციის სადღესასწაულო განყოფილებაში: 1996 წელს აღრიცხულია 639 ქორწინება, 1997 წელს – 485, ხოლო 1998 წლის მარტის ჩათვლით – 96. თუკი სტატისტიკურ მონაცემებსაც გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 1997 წელს 17099 ქორწინება დაკანონდა, ხოლო 2267 განქორწინება. ქორწინება კი უშუალო კავშირშია შობადობასთან. 1996 წლის დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 52 პროცენტი პირველ შვილზე მოდის, 33 – მეორეზე, ხოლო 15 პროცენტი მესამე და მომდევნო შვილებზე. 1997 წელს კი 1 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობამ სულ 794 შეადგინა. ერთი სიტყვით, მომრავლდა მცირერიცხოვანი ოჯახები და მრავალშვილიანობას ვინ ჩივის, მეორე შვილის გაჩენის სურვილიც კი დაიკარგა. მიზეზებს ვინ ჩამოთვლის. ამჯერად ერთერთზე, რომელიც გვარიანად აფრთხობს ხელმოკლე წყვილს.

***ამბობენ, მშობიარობა უფასოაო, ირგვლივ კი უამრავი ფასიანი სამშობიაროა. რა პირობებს ითვალისწინებს უფასო მშობიარობა?***

ამის თაობაზე ვთხოვეთ კომენტარი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ნატა ყაზახაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად 1995 წლის აგვისტოდან მოყოლებული, გარკვეული რეფორმა განხორციელდა, ამას დაემატა პრეზიდენტის ბრძანებულებაც, რომელიც უფასო მშობიარობასა და 1 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო მკურნალობას ითვალისწინებდა. ეს ბრძანებულება, განსაკუთრებით, გათვალისწინებული იყო მაღალმთიანი რეგიონებისა და სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის დასახმარებლად. შარშან ნოემბრიდან კი მოქმედებს სადაზღვევო პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულებას სამედიცინო დაწესებულებასა და სადაზღვევო კომპანიას შორის. გართულებების თავიდან ასაცილებლად კი მომავალი დედა ვალდებულია აღრიცხვაზე ავიდეს 12 კვირამდე ორსულობის დროს. ამით იზრდება პასუხისმგებლობა როგორც სამედიცინო დაწესებულების, ისე მომავალი დედის მხრიდან. ქალბატონმა ნატამ ისიც აღნიშნა, რომ უფასო არაფერია, მაგრამ პოლისი საშუალებას აძლევს ორსულ ქალს 4-ჯერ ყველანაირი გამოკვლევა უფასოდ ჩაიტაროს, ამის მიუხედავად, წლევანდელი მონაცემებით, აღრიცხვაზე ასული ყოველი ქალი მხოლოდ 2,5-ჯერ არის ნამყოფი გამოკვლევაზე. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მომავალი დედები ან ვერ ითვალისწინებენ, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრიათ, ან კიდევ ცუდად იცნობენ საკუთარ უფლებებს.

გარდა ამისა, ყველა მშობიარობას, მიუხედავად მისი სირთულისა, სახელმწიფო აფინანსებს.

ქალბატონ ნატას არც დარღვევები დაუმალავს. მისი თქმით, ყველაზე ცუდი ის გარიგებაა, რომელიც ხშირად იდება მშობიარე ქალის ახლობლებსა და სამედიცინო პერსონალს შორის. თუკი მოქალაქეები დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ამგვარი ფაქტების აღრიცხვის საშუალებას მისცემენ, აუცილებლად განხორციელდება მკაცრი ღონისძიებანი, რაც, პირველყოვლისა, გამოიხატება სადაზღვევო კომპანიასა და სამედიცინო დაწესებულებას შორის ხელშეკრულების გაწყვეტით. დაე, ასეთმა სამედიცინო დაწესებულებებმა თავისი არსებობისათვის საჭირო გზა თვითონ გამოძებნონ.

ქალბატონმა ნატამ გვითხრა, რომ ხელშეკრულება მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებებთან იდება, რომლებიც ლიცენზირებულია და მედპერსონალისა და თვით სამშობიაროს პირობები, შეესაბამება იმ სტანდარტებს, რაც აუცილებელია უსაფრთხო მშობიარობისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ორსულ ქალს, რომელიც სახიუჯეტო ორგანიზაციაში მუშაობს, ეკუთვნის 56 დღე დეკრეტი მშობიარობამდე და 56 დღე მშობიარობის შემდეგ, თუკი პროცესმა გაურთულებლად ჩაიარა. ამ ხნის განმავლობაში ქალს შეუწყვეტლად მიეცემა ხელფასი, ხოლო შემდგომი პერიოდი, ბავშვის 3 წლის შესრულებამდე, არის უფასო.

თუკი წინა წლებში სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ოჯახში დაბადებულ მეორე ბავშვზე, რაღაც მცირეოდენ დახმარებას იძლეოდა, დღეს გაუქმებულია...

**ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ოჯახების დასახმარებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია და ეს დღითიდღე საგრძნობია, მაინც ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც უნდა კეთდებოდეს.**

**ეკა კამკამიძე.**

სიმონ კილაძის ფოტო.



## გვიპასუხებენ

# ნუ გადაბრალებთ ჯოხს ფოსტალიონზე

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო წლეულს 24-25 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ პენსიონერების გულისწყრომა უსაფუძვლო არაა. პენსიები და დახმარებები რეგულარულად რომ არ ეძლევათ, ეს ახალი ამბავი არ გახლავთ. ამის შესახებ იცის საზოგადოებამ, სხვა საქმეა ის ცილისწამება, რომ თითქოსდა „ფოსტალიონები 50 თეთრს ითხოვენ და თუ პენსიონერმა არ გადაიხადა, ისე პენსიებს ვერ მიიღებენო“. ამ ბრალდებას ავრცელებს ის პენსიონერი, რომელიც პენსიას ღებულობს შემნახველ ბანკში და მას ფოსტალიონთან არავითარი კავშირი არა აქვს.

აქვე მოგახსენებთ, რომ ფოსტალიონების მუშაობაც და მათი ცხოვრების პირობებიც ბევრად არ განსხვავდება იმ პენსიონერთა ყოფისაგან, რომელთაც დღევანდელ პირობებში ასე უჭირთ. ფოსტალიონის ხელფასი საშუალოდ 28 ლარია. ცნობისათვის: ერთი ფოსტალიონი ქალაქად 300-400 პენსიონერს ემსახურება, ხოლო სოფლად 500-700-მდე. ამ დროს ფოსტალიონს არა აქვს არანაირი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების შესაძლებლობა.

დაუცველია, როგორც საფოსტო განყოფილებები, ასევე ფოსტალიონების უსაფრთხოება, რის შესახებაც არაერთი გახმაურებული ფაქტია ცნობილი. ახლა შეიძლება დაგებადოთ კითხვა, თუ რატომ არ არის დაცული მათი უსაფრთხოება? განგიმარტავთ, რომ მთელს მსოფლიოში საფოსტო ორგანიზაციები წამგებიანია, მაგრამ დარგის სტრატეგიულობიდან გამომდინარე მათ სახელმწიფო ინახავს. ჩვენში ადრე საპენსიო თუ სხვა სოცმომსახურებისათვის ფოსტას 5 პროცენტი რჩებოდა. დღეისათვის ეს საპროცენტო განაკვეთი 3,5 პროცენტამდეა დაყვანილი. მთელი რიგი პრობლემებია ფოსტის მუშაკების ყოველდღიურ რთულ საქმიანობაში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მათ შორის, წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც.

ყველაფრის მიუხედავად, საფოსტო დარგის მუშაკები და მათ შორის ფოსტალიონები, ყველანაირად ცდილობენ, კეთილსინდისიერად მოემსახურონ უმწეო ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფო მზრუნველობას საჭიროებენ. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ გასული წლების მანძილზე საფოსტო დარგში არსებობდა დარღვევები, მაგრამ მათ აღმოსაფხვრელად დარგის ხელმძღვანელობა სერიოზულად ზრუნავს, რისთვისაც განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები.

ამდენად, ბრალდება – 50 თეთრის გამოძალვის შესახებ – ვფიქრობთ, ცილისწამებაა. ასეთი სახის პრეტენზიები ჩუღურეთის რაიონიდან ადრეც არაერთხელ შემოსულა, მაგრამ არცერთი მათგანი არ დადასტურდა. აქედან გამომდინარე, სჯობს, თუ ვინმეს აქვს კონკრეტული ფაქტი, ფოსტალიონების მიერ 50 თეთრის გამოძალვის თაობაზე, ვთხოვთ გვაცნობოს დასაბუთებული სახით და ჩვენი უწყება მიიღებს შესაბამის ზომებს ამ პრობლემის მოსაწესრიგებლად, ვიდრე ასეთი ცილი დავწამოთ ხუთიათას კაციან ფოსტის სამსახურს.

**ოთარ ბიწაძე,**
**კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილე.**

№139-140. კვირა-ორშაბათი. 7-8 ივნისი. 1998 წელი.

# შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატები

## თავისუფლებისა და პოეზიის სამყაროში

პოეზია მხოლოდ ჩვენი სულის მოთხოვნილება როდია, იგი თავად ბუნების მოთხოვნილებაა, სულიერ ძალთა უმაღლესი გამოვლენაა, რადგანაც მასში სამყაროს პირველყოფილი სასიცოცხლო ძალებია ჩადებული. მეხსიერების ულრმესი შრეებიდან მოედინება იგი და უეცრად ამოხეთქავს დიდი სიყვარულისა თუ ტკივილის ჟამს, რალაც დამხმარე ძალად იქცევა და ჩვეულებრიობისა თუ უფერულობის სამყაროდან ზეაღსვლას გვიადვილებს, ნათესაურ ძაფებს აბამს ჩვენსა და ბუნებას შორის, რომელიც თავად არის დიდი პოეზია. ვირჯინია ვულფი შთამბეჭდავად აღწერს მის დიდ ძალაზე თავის ერთ ესეში: „პოეზიის ზემოქმედება ისე ძლიერია და პირდაპირი, რომ რამდენიმე წუთს ლექსის გარდა არაფერს გრძნობ, რა სიღრმეებს მოვიხილავთ მაშინ, რა უეცარი და შთანმთქმელია ეს ჩაღრმავება! ხელმოსაჭიდიც არაფერია, ამ ქროლვას ვერარა შეაჩერებს!..“

გივი გეგეჭკორის პოეზიაც შთამბეჭდავია და სულისმომცველი თავისი გამჭვირვალობითა და არტისტიზმით, ვერსიფიკატორული სიახლეებითა და ფორმის ძიებით, ინტელექტუალურ-ფილოსოფიური ხედვითა და მორალური საკითხების დასმით. იგი ხარბად გვასუნთქებს თავისუფლებას, რადგან სიტყვიერი თვითნებობის ოკეანეში ისე შევყავართ, ისე დაგვატარებს თავის ნებაზე, რომ არც საკუთარი მიზანი აეიწყდება: პოეტური ემოციით გვაზიაროს აზრებს, რითაც სურს მის სამშობლოში ყველა განმსჭვალოს ამაღლებული, კეთილშობილური იდეალებით. ის არ რიტორობს, მეცნიერივით მკაცრად ჩასჩერებია საკუთარ მეს და იქ ჩამარხულ სითბოს ამოასხივებს, იქ ჩამალული განძი ამოაქვს ჩვენთვის. რიტორიკის გზა მოკლეა, სიცარიელით მთავრდება, ნამდვილი გრძნობა კი კვალს ტოვებს. ეს ლექსები და მათი ავტორიც საოცრად კეთილშობილი არსებანი არიან და არც რობერტ მუზილის ცნობილი სიტყვები აღარ არის ჩვენთვის საშიში: „კეთილშობილებას მუდამ ორი აჩრდილი დაჰყვება კვალში – საფრთხე და დიდება“-ო; პირველი მეორემ უკვე შეცვალა: **რუსთაველის პრემია ყველაზე დიდი და საამაყო რამაა, რაც კი შეიძლება ქართველმა პოეტმა ინატროს ჯილდოდ. ლექსს ეს ჯილდო მაშინ ეკუთვნის, როდესაც იგი იბრძვის საზოგადოების მაღალი მორალური ორგანიზაციისათვის, მისი გაბედნიერებისა თუ გაფაქიზებისათვის.**

გივი გეგეჭკორის ლექსებში ტკივილიც ბევრია და მშვენიერების თრთოლვაც, ისინი ხშირად არიან განმსჭვალულნი იმ ტრაგიკული სიმღერის სიტკბოთიც, ჩვენდაუნებურად რომ აღგვიძრავს სევდიან ჰანგთა მტანჯველი გრძნობით განმეორების სურვილს. ნამდვილი პოეტები ვერც ერთ დროში ვერ ურიგდებიან ადამიანურ ღირსებათა შელახვას, სიძულვილისა და გულგრილობის ბატონობას, ჟულარხეინობას. ასეთ შემთხვევაში მათი აღგზნებული სიტყვა მამაცურად იბრძვის, ეკალივით კაწრავს მათ, ვისაც ეს ეკუთვნის, მაგრამ ამავე დროს, მათთან ისე ფაქიზსა და შორ სივრცეზე განფენილ სილამაზის ბრწყინვას ვგრძნობთ, როგორც თრთიან ხოლმე ასკილის ვარდისფერი ფურცლები საქართველოს ველმინდვრებსა და ტყეებში შუაგაზაფხულზე.

გივი გეგეჭკორის პოეტურ სამყაროში ერთ დედამდინარეს უამრავი პატარა ნაკადი ერთვის, ბრუნავს ტალღა და დრო მდინარებს. ვდგავართ, ვუსმენთ „ლურჯი მდინარის ფრუტუნს“, ხან ელინთა ხომალდებს, ათინა პალადასა და ქსენოფონტეს ჰოპლიტებს ვხედავთ, ხან რომაელთა კვესტორის წერილებს ველით; თითქოს სულ ახლოს დგანან და ჩვენს საუბარში ერევიან მეფე გუბაზი და მეფე წათე, მირიანი და ფარნავაზი... თანდათან წყალუხვი და შმაგი ხდება მდინარე, ჩვენ კი, მშვიდები, ველით ბავშვობის გმირებს, სასწაულებს და ასახდენ სიზმრებს...

პატარა ბიჭმა „ბიძია თომას ქოხზე“ ჩუმად იტირა, ღამის ფარდას ამოფარებულმა, მასში მომავალი კაცი იყო და ცრემლების მალვას ის ასწავლიდა; შემდეგ, ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი რომ წაიკითხა, გმირობის ჩადენა გადაწყვიტა, მერე და მერეც, სულ ბოროტ არსებებთან ომისათვის ემზადებოდა, ხან დევების აღმოსაჩენად და მოსაკლავად მიდიოდა, ხან ოდისევსი იყო, ხან ამირანი, ხანაც მეფე და ხანაც მხედარი. ბავშვობის გმირები მისი ცხოვრება გახდა, მისი წარსული და მომავალი. ძველი სახლის კედლების ფიცრის სუნი, მშობლიური სოფლის ლობეებისა და მთვარის, მზიან დღეთა და ქარიან ღამეთა მომხიბვლელობა იმ გმირების სიყვარულში აირია, ერთი დიდი გრძნობით აივსო სული და სხეული – სიყვარულით. რაც ამ გრძნობას უშლიდა ხელს, ყველაფერი საძულველი იყო, მაგრამ კი არ სძულდა კაცს, სიყვარულის მშვენიერ ყვავილს მტვერივით აცილებდა ამ უგვანობას. გივი გეგეჭკორს ისე უყვარს ბავშვობაში განცდილი საოცარი სამყაროს გაცოცხლება, ისე გადმოჰყავს მისეული საოცნებო გმირები მშობლიური მდინარის ნაპირებზე, იმქვეყნიური საბრძანებლიდან – ამქვეყნიურში, როგორც პირიქით, აქედან – იქით გადაჰყავს მგზავრნი მითიურ ქარონს...

მთავარი მაინც ისაა, რომ გარდასულ დროთა გმირები პოეტთან იმიტომ ცოცხლდებიან, თავიანთი დროიდან ჩვენი დროის ენაზე რალაც რომ გვითხრან, ძირითადი სიბრძნე რომ მოგვაგონონ კაცობრიული ცხოვრების უცილობელი ჭეშმარიტებიდან.

აი, „ლექსი მის მარჯორი უორდროპზე“, ანუ იმაზე, თუ როგორ დატოვა ერთ დღეს ტრაფალგარის ბურუსიანი სკვერი ბედგალაღებულმა ინგლისელმა ლედიმ, ბიბლიით, შექსპირითა და შელლით გამოზრდილი ქალბატონი მხოლოდ სიყვარულს მოჰყავდა ჩვენში, იმ მხარეში, სადაც საყოველთაო ტკივილი და იმედი თითქოს ვენებით გადადის კაციდან კაცში, „დაფარული ღიმილის თხელი ბურბუშელით“... **„მე მაქვს წარმოდგენილი ქალბატონი მარჯორი, გვარად უორდროპი – ჩვენთან როგორ ჩამოდის და ატლასის ფეხსაცმელს გრძელი კაბის ქობით – როგორ მალავს, როდესაც ოდნავ ზევით ატანილ ქვედა კაბის ბოლოს ხელით ქვევით აცილებს – საქართველოს მიწას რომ კაბით ეამბოროს“...** პოეტის აზრით, **„როდი მიატოვებდა ალბიონის ნაპირებს ინგლისელი ლედი – ისე, რომ არ სცოდნოდა ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს ბედი“**. სურვილი ტანჯვის შემსუბუქებისა, თავადაა მტანჯველი და სანამ მას არ მოიშორებ, თავისუფალი ვერ იქნები, პოეტი კი ყველაზე თავისუფალია ამ ქვეყნად. ამიტომ ეძებს პოეტური ფანტაზია თემებსა და გმირებს, რომელთაც შეუძლიათ მის თავისუფლებას ფრთები კი არ შეუკვეცონ, ლაღად გააშლევინონ და სულიერი ასპარეზი გაუფართოონ. ამ შემთხვევაში მუზად ქცეული მარჯორი უორდროპიც ნათელი სხივია პოეტური სულისკვეთების კეთილი ძალებით დასამუხტავად.

„ფილოსოფოსი მსოფლიოს იმპერიის ტახტზე“, რომის პრინცეფსი მარკუს ავრელიუსი, მშვიდი განსჯისა და ნათელი სულის მრავალმხრივობით მომხიბლავი კაცი ამბობდა: „ყოველთვის მზად უნდა იყო ორი რამისათვის: ჯერ ერთი, შენი კანონმდებელი გონების რჩევით, მხოლოდ კაცთა სასიკეთოდ უნდა იღვწოდე, და მეორეც, უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახებს ან დაგიმტკიცებს შენი შეხედულების მცდარობას. მაგრამ შეხედულების შეცვლის საბაბი უნდა იყოს რაიმე დიდი და ნათელი, როგორც მაგალითად, სამართლიანობის, საზოგადო სიკეთისა და სხვა მათი მსგავსისათვის ზრუნვა და არა ის, რაც სასიამოვნოდ გიჩანს, ან დიდებას გიქადის შენ“. უაღრესად თანადროულია ეს შეგონება, მის იქით ჩანს, თუ რა ამაოა გულზვაობა და „წუთისოფლის მოჭმის“ პრინციპით ცხოვრება. ამიტომ იხსენებს გივი გეგეჭკორიც მას: **„როცა ანგარების მატლით გამოხრული ნეხვის ხოჭოსავით მაძღარი ვაჭრის და მხოლოდ სტომაქის ყურმოჭრილ მსახურის მზერა უტიფარი გსვრავს და გფხაჭნის, იმით გაიმხნევე თავი, რომ ზნეობა, სულის ქვაკუთხედი და სულის ფრიზი, ისევ შეურყეველად, ისევ დაუძლეველად სხეულის შენობის ფასადზე გიზის... და თუ მოგერია შენი სიამაყე, შენი ილუზია დაგისვა ძვირად, მაშინ გაიხსენე წიგნი დაწერილი კვადების მხარეში, გრანუს პირად“...**

მთელი ძნელი წლების მანძილზე პოეტი არ მიმართავდა ალეგორიზმს, სათქმელის შეფარულად გადმოცემის ასე გავრცელებულ ხერხს უახლეს ქართულ მწერლობაში, იგი პირდაპირ ამბობდა ნაგრძნობს, რადგან ილუზიაშიც კი ნამდვილს ხედავს და ხედავდა, სიმართლე მისი ბუნებრივი მოთხოვნილება და ცხოვრების წესი იყო. ტყუილი ხომ მელექსედ აქცევს და არა ხელოვანად პოეტს. ამიტომაც მისი ლექსების მშვენიერებას იგი მხოლოდ მათ უძღვნიდა – „სიკეთისა და ბოროტების ჯარედინ ცეცხლში ვინც მოხვდა, მაგრამ მაინც არის პატიოსანი“. კითხულობ ამ მშვენიერ სტრიქონებს და თითქოს ნამფურცლიანი ყვავილების უცხო გვირგვინი სასწაულის ძალით იშლება, სადღაც შეუმჩნევლად გადავდივართ, ქართლის სოფელში კი არა, ხეთური ლარნაკებისა და ქამანური ჭურჭლეულით სავსე მუზეუმის დარბაზში, ჭიკჭიკებენ ლარნაკზე მოხატული ჩიტები, სრიალებენ მინოსის სასახლის კედლებზე დახატული ლურჯი თევზები, რქებს ამტვრევენ ერთმანეთს კრეტული ჯოგიდან გამოქცეული ხარები, და გვაბრუებს საოცარი სურნელი პიტნისა და რეჰანის, დაკონსერვებული ფერებისა და ტყეობიდან თავდახსნილი ხმების ჯადოქრობა. და ეს მაშინ, როდესაც ამ ლექსს საერთო მხოლოდ პოეტის ბავშვობასა და მის თანადროულ განცდასთან აქვს: **„თითქოს შეყვარებული მასთან ამოსულიყოს უხილავი კიბით, დგას და ცრემლად იღვრება სევდიანი ქალწულის ჩუმი სინატიფით... და მე, მიბარებული, ასე, სიზმრის ბურუსში, დედამიწის წიაღს, სხვებთან ერთად ვბრუნდები ამწვანებულ ეზოში და ქათმების კრიახს – მოჰყავს ქართლში საღამო, და შენ, ჩემო დიდედო, ისევ სკამზე ზიხარ, შემოდიან გლეხები და ფეხებით შემოაქვთ სასაფლაო თიხა. მერე ვჯდებით სუფრასთან და მე მათრობს რუჯრუჯი ქამანურის ლიტრის, მისი ენის ბორძიკი, სურნელება რეჰანის, ქინძისა და პიტნის, და მაგიდის ფიცარზე მუშტით დანარცხებული, დაჩეჩქვილი სახით, ყველას თვალწინ უეცრად, სამოსშემოხეული იცრემლება ხახვი...“**

ასეთი სინატიფით, სათქმელის გამოკვეთის უნარით, მხოლოდ მისეული ხატვის მანერით და თავისებურებით გამოირჩევა გივი გეგეჭკორის პოეზია.

და კიდევ: ქართული ჭედური და ფერწერული ხატების, ეკლესია-ტაძართა კედლის მხატვრობის ნატიფი ხელოვნება გადმოდის თითქმის ამ ლექსებში, ღვთაებრივი სიწმინდე ავსებს მშობლიურ სივრცეთა მორეულ თვალსაწიერს, უზადო ფერთა შეხამებითა და ფილიგრანული ოსტატობით იჭედება სივრცის კარედი. ასეთი ლექსია „ქალი, რომელიც მუზეუმში იჯდა და ქსოვდა“. ესაა ერთგვარი კომპოზიციური შერწყმა დროის სამივე განზომილებაში ჩასმული მხატვრული ფორმებისა, რომელიც ოსტატის ხელით ერთდება, ხან ცვარითა და სევადით ნუქურთმიანი წნულებითა და ფოთლებით, სიტყვათა მიღმა ამართული მზიანი სივრცით. აი, მუზეუმიც: **„სადაც ჩვილზე დახრილი სევდიანი ღვთისმშობლის მზერა შემეგება, ღვთისმშობელის თვალები შემოწყობილს კორკოტზე ჰგავდა ნუშის ლებანს. გარეთ ეფემერული ციმციმებდა აპრილი დაფენილი ბაკმად, უცებ თვალწინ დამიდგა სადღაც ქართლის სოფელი, დაიბღავლა ზაქმა, უცებ თვალწინ დამიდგა მთელი ჩემი ქვეყანა გარდასულის კვამლით, მისი ფრესკის ღიმილით, მისი დღევანდელობით, მისი შთამომავლობით“.**

გივი გეგეჭკორი არ არის ის პოეტი, რომლისთვისაც „მხოლოდ ბედნიერებაა სამუშაო განწყობილება“ (ე. ვინოკუროვი), არანაკლებ აღაგზნებს მის პოეტურ ენერგიას ეჭვი და ტკივილი: **„რაც კი მოველ ამქვეყნად, ჩემი სულის ტკივილი მოვდივარ და მომაქვს, ნუთუ, როგორც იონა, ველარ გადავურჩები კაშალოტის სტომაქს? ნუთუ მუდამ იჯდება მომწყვდეული გონების ჩაბნელებულ ჩიხში გაცვეთილი შიში, რომ ერთხელ ტანჯულ ქვეყანას ვერაფერი იხსნის?“**

ჩვენ მუდამ იქითკენ მივისწრაფვით, სადაც მეტი იმედი და ძალა გვეგულება, სადაც უფრო ძლიერად და კარგად ვგრძნობთ თავს. ამიტომ ვიხსენებთ სიამაყით ნამყოს, ეროვნულ ტრადიციებს, რომ იგი ჩვენი ძალაა, ჩვენი არსებობისა და, თუ გნებავთ, უკვდავების გარანტია. აი, რას წერს ცნობილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი „ნოვი მირში 1980 წლის №3 გამოქვეყნებულ წერილში – „შენიშვნები რუსულის თაობაზე“. „აუცილებელი არ არის ძლიერი ხალხი მრავალრიცხოვანი იყოს, ხოლო სუსტი – მცირერიცხოვანი, საქმე ამა თუ იმ ხალხის რაოდენობა კი არ არის, არამედ ის, თუ რამდენად მტკიცეა და მყარი მისი ეროვნული ტრადიციები“. ამიტომ წერს ქართველი პოეტი გივი გეგეჭკორიც: **„ჩვენი წარსულისაკენ ისე მივემურებით ჩვენი გასაჭირით, როგორც ორაგულები ზღვიდან სათავისაკენ და იქა ვყროთ ქვირითს. მუდამ ასე ყოფილა, მუდამ იყო წარსული ჩვენი მუზარადი“**... და შემდეგ აქ, წარსულის ამ მოელვარე მუზარადზე ახატავს აწმყოს სიცხადეს, ანუ იმას, რაც უკვდავია და კაცობრიულ გენში მოძრაობს დაუსრულებლად. **„მუზეუმის ბურუსში ვიდექ შემფოთებული, გარეთ იყო ცხადი, ხოლო იქვე, კუთხეში იჯდა ქალი წაკრული შავი ხილაბანდით, თითქოს მისი ჭაღარა ალუბალზე ასული იყო სვიის ბარდი. იშლებოდა მარად დაფენილი მუხლებზე ქვედაკაბის პლისე, იმ დღეს შიშმა ვერაგმა სალტედაჟანგებული მომიჭირა ისე, რომ ჩემს უნუგეშობას, ალბათ, მხოლოდ ის ქალი ამოსდებდა აღვირს თავის უშფოთველობით, თავის ძაფის გორგალით, თავის ყაისნაღით...“** მიუხედავად ეროვნულ ტრადიციათა თავდავიწყებული ერთგულებისა, პოეტისთვის საქართველო ერთიანი კოსმიური სივრცის ნაწილია; მსოფლიოს მისთვის ერთიანი პოეტური სული მსჭვალავს, მისთვისაც, ისევე, როგორც ყველა დიდი ხელოვანისათვის, არსებობენ უხილავი კავშირები ერთი შეხედვით განსხვავებულ და თავისთავად საგნებსა თუ მოვლენებს შორის.

პოეტის ერთ სატირულ ლექსში მოჩვენებითად იდგამენ თავს ეკლის გვირგვინს მატყუარები და ფლიდები, ან ისინი, ვინც პატიოსანი ხალხის ნავში არასოდეს მსხდარან, ან თუ მსხდარან – იქიდან წყალი არ უხაპიათ, არ დახრილან მატიანის ფურცლებზე, ხალხს ზემოდან უყურებენ, მბრძანებლურად და სამშობლოს სიყვარულის მონოპოლიას ითვისებენ, სხვაგან კი თავის თავს ასე მიმართავს: **„დაუნთია კოცონი შენთვის მანდილოსნებს და კაცების ესკორტს, ბონაპარტეს გენერალს, ან ქალბატონ დე რენალს, ანდა მანონ ლესკოს. მთელი შენი ცხოვრება თითქოს ნაგვიანები არის რომანტიზმი, ყველა კაცში უმანკო ბავშვის გამოღვიძებას ცდილობ ლექსის სიზმრით“**. ეს კი, უმანკო ბავშვის გაღვიძება სცადო ყოველ ადამიანში, – პოეტისათვის ყველაზე ღირსეული მისიაა. იგი ხომ ბავშვობასა და სიჭაბუკეში ბრძენი, სიბერეში კი კვლავ ბავშვია და ჭაბუკი. თავად მასში ხშირად ლაპარაკობს პატარა ბიჭი, ნიჟარის ზუზუნს რომ უსმენს და ძლივს დაათრევს კომპასითა და ჟანგიანი ლურსმნებით გავსებულ ჯიბეებს. ეს ორი არსება – თავისუფალი ბავშვი და ტკივილიანი კაცი განსჯის ხშირად მის ლექსებში წუთისოფელს, რომელსაც ბევრი პირადი თუ საზოგადო ვაება მოაქვს ქართველი კაცისათვის, მაგრამ, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, მისთვის ეს ორი რამ ერთმანეთისაგან არ განიყოფა. მიდის წუთისოფლის ჩვეული მდინარე და ხშირად უძნელესია მისი ყურება. როგორც დანაოჭებული დედაკაცის კისერს, ისე ვარიდებ თვალს ამ მდინარესო, გვეუბნება პოეტი და ათასჯერ მძაფრად განგვაცდევინებს ძნელბედობის გაუსაძლისობას, ვიდრე ჩვეულებრივი ცხადის შეგრძნებას.

გივი გეგეჭკორის ლექსები, კარგი სტრიქონებითა და საოცრად დასამახსოვრებელი სახეებით, რაღაც მიუწვდომელი მშვენიერებისა თუ დასიზმრებული სიყვარულის რემინისცენციებით აღიქმება და რჩება სულის სიღრმეში. დროდადრო ჩუმად გვაზიარებს თავის სევდას ქარში მწუხარედ მიმავალი მადამ ბოვარი, მეგობრის საფლავთან დამდგარი კაცი, რომელსაც ისე უყვარდა, „რომ სიყვარულით“ სძულდა, თეთრი ქოშით ქართლის ველზე გადავლილი სერაფიტი, სევდიანი ქალწულის მზერით გალეშებული ერთაწმინდის ცა, თემზის ნაპირას, რკონთან მთვლემარე ჭალა, ამ მშობლიური ქალაქიდან იმ ზეციურ ქალაქში გადასახლებული კაცის სიყვარული...

დროისა და სივრცის ფლობა ისეთივე დიდი ხელოვნებაა პოეტისათვის, როგორც სიტყვისა და გრძნობის მართვა. გივი გეგეჭკორის პოეზია ყველაფერ ამას უანგაროდ გვთავაზობს და გვესალბუნება...

**დოდო ჭუმბურიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოეზია უპირველეს ყოვლისა



## მთვარისა კერესელიძე

### ხარ საესავი

მეფეთ მეფეო აფხაზთა და
ოვსთა და რანთა...
შენ აჩოქებდი ყველა ურჯულოს
საქართველოის უძლეველ კართან!
შენ ერთი გვყავდი განმკურნავი
გულთა მტკივანთა,
უძლეო დავით!
შენ ერთი გვყავდი და...
შენაც რომ ფეხი დაგადგით,
სიკეთე ვყავით?..

„ფეხი დამადგით გულზე ყოველთა“...
როგორ ხმიანებს.
ეს თავმდაბლობა იყო მეფური!
ჩვენ კი...
ავდექით, გულზე მართლა გადაგიარეთ.
მით ველარ ვითვლით სამშობლოის
ჩვენთა იარებს.

თვალს ველარ ვუწვდენ,
მხედრიონნი წასულა საით?
საქართველოის კურთხეულო მეფეო დავით!
ხარ საესავი,
ფიქრთა ჩემთა ხარ საესავი,
იმ შორეთიდან, კურთხეულო,
ბრწყინავ მზესავით...

მეფეთ მეფეო აფხაზთა და ოვსთა და რანთა,
სასუფეველი სად დაგივანდა?

საქართველოი დღეს იღვიძებს
ძილისგან დროთა,
და შენი დროშა, შენი ფიქრი
უპყრიათ ლომთა!
აწ მიხვდა, მიხვდა შენი ხალხი,
შენი მგოსანი,
რომე დაჰკარგა ჟამთასვლაში
კრიალოსანი...
და როს ეზმანა მეფეთ მეფე რუხჩოხოსანი,
მაშინ იბრუნა პირი ერმან,
შენად მოიქცა...
და მიხვდა, შენთვის თურმე გულზე ფეხი კი არა,
მეგლი დაედგა შესაფერი გარემოისა!

### შენ, ჩიქოვანის ცრემლით ნაბანო!

შენ, ჩიქოვანის ცრემლით ნაბანო,
აბაშის ქალის ლურჯო საბანო.
შენ, ჩიქოვანის ლექსის ტაეპო,
გულის გამპობო, ნაუკვდავებო...
შენ, ჩიქოვანის ლექსის გადიავ,
წელიწადები ისევ გადიან...
თუ ჩიქოვანის ეძებ დაისებს,
სულო, ფრთას ისევ გაიმაისებ!
შენ, ჩიქოვანის ცრემლით ნაბანო
აბაშის ჭალის ლურჯო საბანო,
რა ზეციური ფრთები გაწამებს,
თუმც წუთისოფლის ბრუნავს ბორბალი,
შენ, ჩიქოვანის ლექსის წამწამებს,
ნანას უმღერდი, ცრემლით მობანილს...
შენ, ჩიქოვანის წრფელო ოცნებავ,
გულზე მალამოდ ლექსის მოცხებავ,
აბაშის მიწავ, მიწავ საკირევ,
და გაღმომსკდარო ლექსო, ნაპირებს...
ამღერებულო მინდვრად ჯეჯილო,
თვალი მზისაკენ მარად გეჭიროს!
აბაშის ჭალის ლურჯო საღამოვ,
დაუსაწყისო, დაუსაბამო!..

* * *

მამულისათვის, ლომებო,
მამულისათვის, დვრიტავ,
მამულისათვის ომებს და
შიმშილობასაც ვიტანთ...
გონებით, განა რიხითა
ჩვენ გადაგვარჩენს რაიც,
უნდა ვიპოვოთ ჩიხიდან
გამოსავალი გზაი.

### დადგება ჟამი

ვინ ფსალმუნს მარცვლავს, ვინ რას მოელის,
ვინ სასოებით დაფრინავს ურთას,
უსასრულოა მწუხრი ყოველი
თურმე რჩეულთა.
ვინ უფლის სახეს ლოცავს, თუბალთა
ესათნოება ღამეგანათევს,
ვიღა დაჯდება ჩემს სასთუმალთან,
მხოლოდ ლექსები იანდამატებს.
თუ საოცარი იელვებს რითმი,
ესეც ხომ ხშირად დიდი რამეა!
„გამოუცნობი იეროგლიფი, –
თვალდაწინწკლული ბრწყინავს კამეა“.
თუ მოდის ჟამი მიწყივ მარები,
და ზეთისხილის მწიფე რტოებად,
სხვა დინებების, სხვა გაქანების
შეიმოსება უცხო დროება.
ვინ ფსალმუნს მარცვლავს, ვინ რას მოელის,
ვინ სასოებით დაფრინავს ურთას,
უსასრულოა მწუხრი ყოველი,
თურმე რჩეულთა!

* * *

გრიალებს ქარი,
ღრიალებს ქარი,
ტრიალებს ქარი,
ბრუნავს დროება...
ასე იციან თეთრმა ქარებმა
გზების მოფენა მწვანე რტოებად,
და წუთისოფლის ამაოებად
ბრუნავს, ტრიალებს, წკრიალებს ზარი.
მოდის უსახო, უცხო დროება
მარადიული გრიალებს ქარი.
დაფენილია გზებზე რტოებად
ქარს და გრიგალებს არ აქვთ სამანი,
ან ამ გრიგალებს მი და მოება
იასამანი?

მოდის უსახო, უცხო დროება,
ბრუნავს, ტრიალებს, წკრიალებს ზარი,
და წუთისოფლის ამაოებად
მარადიული გრიალებს ქარი!

* * *

გადაფრენილ წეროებს,
ლექსებს სასიმღეროებს
მიაქვთ ჩემი ნაღვლიანი ყოფა;
არაფერი მიტაცებს,
ამ სალოცავ მიწაზე,
ამ დალოცვილ სოფლად.
ლექსებს წიგნზე მინაწერს,
გაყვითლებულ მინაზე
ახლის ქარი ახლა,
ახლა სახლში მარტო ვარ,
სიყვარულმა დამტოვა,
მეძალება საოცარი დაღლა.
დამდევს ჩამწყდარ ნოტივით
სევდიანი მოტივი,
აფრიალებს ფიქრის ბაირაღებს,
ჩამოტეხილ ტოტივით,
ისევე ის მოტივი,
და ჩემს გულსაც ვერაფერი აღებს.
შემოდგომის არია
გაზაფხულმა არია,
სველ წამწამებს აფახულებს ზეცა,
გაზაფხულის დარია,
ყვავილების ქარია
და ოცნებებს ვკეცავ.
გადაფრენილ წეროებს-
ლექსებს სასიმღეროებს,
მიაქვთ ჩემი ნაღვლიანი ყოფა,
არაფერი მიტაცებს
ამ სალოცავ მიწაზე,
ამ დალოცვილ სოფლად.

* * *

ერთ დროს აქ ჩქეფდა სიცოცხლე ლაღი,
ახლა წივწივი რომ ისმის დაღლის,
ჩასძინებია უზომოდ დაღლილს
სახლის პატრონს და...
დარჩენია კარები ღია,
კიბეზე ახლა ბალახი ადის,
ფართო ეზოში მუხლებამდე ფოთლები ყრია...

ერთ დროს აქ ჩქეფდა სიცოცხლე ლაღი.

* * *

წუთისოფელი რა ხეა,
მახეა შეუფარავი,
არც მოსვლას გვეკითხებიან,
არც წასვლას გვკითხავს არავინ.
ერთგვარად წარმავალია,
პოეტი, ხურო, მღარავი,
გინდ ჰქონდეს ვიწრო გალია,
გინდ ედგას ოქროს კარავი...
წუთისოფელი რა ხეა,
მახეა შეუფარავი,
არც მოსვლას გვეკითხებიან,
არც წასვლას გვკითხავს არავინ!

### ის დუმდა ისე ...

ის დუმდა ისე, მისი დუმილით
სუყველაფერი იყო ნათელი,
და ქვეყანაზე არვინ უწყოდა,
როგორ იწვოდა სული-სანთელი!
ის დუმდა ისე, მისი დუმილით,
სუყველაფერი იყო ნათქვამი,
ის დუმდა, რადგან კარგად იცოდა,
საკუთარ თავთან იყო მართალი.
იცოდა, სიტყვას ოქროს ფასი აქვს,
ზოგჯერ არა აქვს ფასი შაურის,
სიმართლე იყო, სიკეთე იყო,
იცოდა, მისი დანაშაული,
და მე ვხედავდი, დუმილის ფასი
იყო საზომი კაცის და უფლის,
ხშირად დუმილით უფრო მეტს ვამბობთ,
ვიდრე საუბრით.

### ფრაგმენტები

ზრიალებენ მინები ცის –
თაღიან ბინების,
იისფერი ბაღები
სულის სარკმელს აღებენ...
უფრო მეტი დიდება
აბა, რა დამჭირდება!
– პა, ლექსებიც, ინებეთ.
უცნაური დინებით
საით მიველინები?!
მეც არ ვიცი, ღმერთმანი,
მხოლოდ ერთად ერთანი,
სულში ანგელოსები,
შრიალებენ შროშნები...
ქრიან ნათლის სვეტებად,
ღამეები უძილო,
ვით არ გამემეტება...
ზეცას ვხატავ უძიროს;
თუ ფიქრები კენტდება
კარგად ვიცი ყოველი,
მზე და სვეტი ცხოველი
აირეკლა ცამან,
აირეკლა მიწამ,
მაგრამ იასამანს
ვერაფერი მისწვდა.
ცაო, არ მოკრძალებით
აგუგუნე ზარები,
შენ, – ყოველთა მფარველო,
მიწავ, – ერთო მტკაველო,
ისევ ისე გულადად,
ჩემო ლექსის ყულაბავ,
გზები ძნელი... ძიების...
რითმის, ემოციების...
თუ გავუძლებთ ალმურებს,
ისევ ვისალამურებთ.

საქართველოს რესპუბლიკა
№139-140. კვირა-ორშაბათი, 7-8 ივნისი, 1998 წელი.

პოლემიკა

# პროფესორი ცილს სწამებს პროფესორსა და ორ ჟურნალისტს

22 მაისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში „მეცნიერული პრობლემები სპეციალისტებმა უნდა განიხილონ“ პროფესორმა ნოდარ ლომოურმა ყოვლად გაუმართლებლად ცილი დასწამა და შეურაცხყო აფხაზეთიდან დევნილი სამი ავტორი – პროფესორი ვალერიან ზუხბაია, ჟურნალისტები კონდრატე უბილავა და ალექსანდრე თოფურია იმიტომ, რომ ქართული ენციკლოპედიის მეორე გამოცემის პირველი ტომის იმ ნაწილის მიმართ, სადაც ლაპარაკია აფხაზებსა და აფხაზეთზე, გამოთქვეს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შენიშვნები და აუგად მოიხსენიეს საქართველოს ისტორიის გამყალბებელი, აფხაზეთის ტრაგედიის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ქართული ენციკლოპედიის მიერ შექებული აფხაზი ისტორიკოსი ზურაბ ანჩაბაძე.

დღეს აფხაზეთში (კერძოდ, სამურზაყანოში) მიმდინარე პროცესების ფონზე, აღშფოთებასთან ერთად, გაოცებას იწვევს თბილისელი პროფესორის პოზიცია, რომელიც მთელი სისრულით გამოიკვეთა მის წერილში და რომელსაც ვერანაირად ვერ უწოდებ ქართულს. ამ პოზიციამ აშკარა გამოხატულება პოვა არა მარტო ზ. ანჩაბაძის განდიდებაში, არამედ იმ მთავარი პრობლემის უგულებელყოფაში, რისთვისაც, ფაქტობრივად, დაიწერა დევნილთა წერილი „უნაკლო ენციკლოპედიისათვის“ (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 81). დიახ, პროფესორმა ნ. ლომოურმა ქართველი კაცისათვის წარმოუდგენელი გულგრილობით გვერდი აუარა, ყურიც არ ათხოვა სამი ავტორის მიერ გამოთქმულ დიდ გულისტკივილს იმის გამო, რომ ენციკლოპედიაში არაფერია ნათქვამი აფხაზეთის ტრაგედიაზე.

ამის უთქმელობა ახლა – ვწერდი 14 მაისის გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ წერილში „ვისაც ახსოვს, არ გაუკვირდება“, – როცა ბეწვზე ჰკიდია აფხაზეთის ბედი და, შესაძლოა, მთელი საქართველოსი, დიახაც, დანაშაულია (ეტყობა, ეს წერილი არ წაუკითხავს ავტორს, თორემ კარგ დღეს არც მე დამაყრიდა). რატომ წაუყრუა ნ. ლომოურმა ამ ფაქტს და განგაში იქ ატეხა, სადაც საგანგაშო არაფერი იყო? აბა, რა საგანგაშოა ის, რომ სამი ავტორის მოსაზრება, რომელიც, ფაქტობრივად, დიდი მეცნიერების: ნიკო მარის, პავლე ინგოროყვას და სიმონ ყაუხჩიშვილის ნააზრევი გახლავთ აბაზგებისა და აფსილების ქართული წარმომავლობის, მათი და მოსხების იგივეობის შესახებ, არ ემთხვევა ნ. ლომოურის მოსაზრებას?

„აი, აქ ჩანს ავტორთა არაკომპეტენტურობა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის არცოდნა. მათ ყველაფერი ისე დაწერეს, რომ თავი არ შეუწუხებიათ გასცნობოდნენ ბოლო წლებში თუნდაც ჩემს მიერ გამოცემულ გამოკვლევებს, სადაც პირველწყაროთა ანალიზის საფუძველზე კატეგორიულად უარვყავი აბაზგებისა და აფსილების ქართული წარმომავლობა“, – წერს პროფესორი და, ალბათ, მცირე უხერხულობასაც არ გრძნობს ამ კატეგორიულობისა და იმის გამო, რომ... როგორ გაბედეს არაკომპეტენტურმა ავტორებმა და მისი გამოკვლევების გაუცნობლად დაწერეს ყველაფერი.

აქვე მინდა შევნიშნო: თბილისელმა პროფესორმა, რომელიც ზემოდანაც დაჰყურებს აფხაზეთიდან დევნილ ავტორებს, მათ შორის, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვალერიან ზუხბაიას, უნდა იცოდეს, რომ ბატონი ვალერიანი მასზე ნაკლებად როდი ერკვევა აფხაზეთის ისტორიაში. იგი ტოპონიმიკაშიც მშვენივრად იკვლევს გზას, ხოლო ბატონი ლომოური პირიქით, მწყრალად უნდა იყოს ტოპონიმიკასთან (ეს კარგად იგრძნობა მის წერილში).

„რამდენად არაპროფესიულ დონეზე დგას სამი ავტორი, – განაგრძობს, ლანძღავს ბატონი ლომოური, – ჩანს კრიტიკული წერილის ერთი ადგილიდან. ისინი წერენ, რომ ახალი ათონის დასავლეთით მდებარე სოფელ ანუხვაში ნაპოვნია ქვებზე შუა საუკუნეების ქართული წარწერები, ხოლო ერთ-ერთი დიდი მღვიმის კედელზე ყოფილა V-VIII საუკუნეების ქართული ასომთავრული წარწერა. ესაა ფაქტობრივი შეცდომა და ამავე დროს საქართველოს ისტორიის უცოდინარობა: ანუხვაში არ არის არც ერთი ქართული წარწერა, რომელიც XI საუკუნეზე ადრეულია (იხ. ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, თბ. 1980, № 44, 45, გვ. 64-67), მაგრამ მთავარი ის არის, რომ დასავლეთ საქართველოში არ შეიძლება იყოს IX საუკუნეზე ადრეული საეკლესიო წარწერები, რადგან IX საუკუნის შუა წლებამდე დასავლეთ საქართველო ეკლესიურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა და, ამდენად, აქ ღვთისმსახურება ბერძნულად სრულდებოდა და ეკლესიებში ქართული წარწერები IX საუკუნის მეორე ნახევრამდე გამორიცხულია. ასეთი ანბანური ამბები ხომ უნდა იცოდეთ, პატივცემულო ოპონენტებო!“.

იმდენად იმპერატიულია ისტორიკოსის ტონი, გეგონება, თვითონ ყოფილიყო იმ მღვიმეში და საკუთარი თვალებით ენახოს, რომ იქ არავითარი V-VIII საუკუნეების ქართული წარწერები არ არის. არადა, სხვას იმოწმებს ისე, შესაბამისი ციტატა არცკი მოჰყავს. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მე, როგორც მკითხველი, რატომ უნდა ვენდო ჩემთვის უცნობი პროფესორის, ისტორიკოსის ნოდარ ლომოურის ზეპირ განცხადებას და არ ვენდო სამი ავტორის მიერ დასახელებულ სპეციალისტს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, აწ განსვენებულ ლევან მარუაშვილს, რომელსაც პირადად ვიცნობდი? აი, ხელთა მაქვს ცხონებული ლევანის საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „მღვიმეთმცოდნეობა“, რომელიც 1973 წელს გამოსცა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. სამი ავტორის მიერ მითითებულ 222-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„ანუხვის მღვიმე ძნელმისადგომ ადგილში იხსნება, შემკულია პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეთა კედლის მხატვრობით და ძველი (V-VI-VIII ს) ქართული (ასომთავრული) წარწერებით, უნდა იყოს კულტურული ნაფენებიც. როგორც ჩანს, ანუხვის მღვიმე ისტორიამდელ პერიოდში ასრულებდა საცხოვრისის, ხოლო შუა საუკუნეებში სამლოცველოს დანიშნულებას“.“

ახლა ვნახოთ, რას წერს ამასთან დაკავშირებით სამი ავტორი: „ამ მღვიმის კედელზე შემორჩენილი ქართული წარწერა კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მხარე უძველესი დროიდან ქართული იყო. საქართველოს ცხოვრების ყოველმხრივ ამსახველ წიგნში ქართულ ენციკლოპედიაში ამ ფაქტზე არაფერი არ არის ნათქვამი“.

პროფესორ ნოდარ ლომოურს სრული უფლება აქვს, არ დაუჯეროს მღვიმეთმცოდნე ლევან მარუაშვილს, არავის დაუჯეროს, მაგრამ იმის უფლება არავის მიუცია მისთვის, ლანძღოს პატიოსანი ადამიანები.

მინდა ერთი რჩევა მივცე მას: ჩავიდეს ახალ ათონში (იქ ჩასვლა მას არ გაუჭირდება), ეწვიოს ანუხვის მღვიმეს და თვითონ დარწმუნდეს ნამდვილად არის თუ არა იქ ქართული წარწერები. მერე იქიდან დაბრუნებულმა, გველაპარაკოს მბრძანებლური ტონით (ცხადია, მისთვის წარმატებული ვოიაჟის შემთხვევაში. წარმატებაში კი იმას ვგულისხმობ, რომ .... ის ქართული წარწერები ისევე პირწმინდად წაშლილი დახვდეს აფხაზი ვანდალების მიერ, როგორც წაშალეს მდინარე ბესლეთზე გადებულ XI საუკუნის ხიდზე იმავე საუკუნის ქართული ასომთავრული წარწერა: „ქრისტეო მეუფეო ყოველთა ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატ“). სიტყვამ მოიტანა და, როგორც სამი ავტორი შენიშნავს, ენციკლოპედიაში ხიდი კი არის მოხსენიებული, ეს წარწერა კი, აწ უკვე ამოშანთული, „გამორჩენიათ“. და მე ვიზიარებ სამი ავტორის მიერ დიდი გულისტკივილით ნათქვამს: „სასურველი იყო, ტექსტში მოტანილი ყოფილიყო XI საუკუნის ქართული ასომთავრული წარწერა“.

გულისტკივილის გაზიარებას ვინ სთხოვს სამი ავტორის გაგულისებულ ოპონენტს, ოღონდ ეთიკური ნორმები დაიცვას და ოპონენტებს ისე ელაპარაკოს; ამასთან, საკუთარი თავის (ერთობ პრიმიტიულ) რეკლამირებასაც მოეშვას, თორემ უკურეაქცია მომავალშიც გარანტირებული ექნება. თუმცა, რომელი ეთიკური ნორმების დაცვასა და რეკლამირებაზეა ლაპარაკი, როცა საქმე უფრო დიდ უბედურებასთან გვაქვს!

ჩვენი აბუჩად აგდებაა პროფესორ ნ. ლომოურის წერილის ბოლო ნაწილი. აი ისიც, მცირე შემოკლებით:

„არ შემიძლია ღრმა აღშფოთებით არ აღვნიშნო სამი ავტორის აბსოლუტურად გაუმართლებელი თავდასხმა მეტად ნაყოფიერ და დამსახურებულ მეცნიერზე, განსვენებულ ზურაბ ანჩაბაძეზე. მისი ხსოვნის შეურაცხყოფად მიმაჩნია იმის გამეორებაც კი, რაც კრიტიკულ წერილში მის შესახებ წერია. მე კარგად ვიცნობდი ბატონ ზურაბს, მასთან საქმიანი და პირადი კონტაქტები მქონდა და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მისი გამოცხადება სეპარატისტულად განწყობილ აფხაზთა მომხრედ და ხელშემწყობად მტკნარ ცილისწამებად მიმაჩნია. ზ. ანჩაბაძე აფხაზი იყო და, ბუნებრივია, მის ნაშრომებში შეიძლება აქა-იქ გარკვეული მიკერძოება გამომჟღავნებულიყო... (კიდევ კარგი, მთლად ანგელოზად რომ არ წარმოგვიდგინა – მ.ჩ.), მაგრამ, ძირითადად, მისი პოზიცია მართებული, პროქართული იყო (ეს ხომ წმინდა წყლის აბსურდია! – მ.ჩ.)... წარმოშობით აფხაზი თავისი მოღვაწეობით ქართველი ისტორიკოსი იყო. მისი მოღვაწეობის უმართებულო შეფასებები, განსაკუთრებით დღეს, უდიდესი ფაქტობრივი და პოლიტიკური შეცდომაა!“

ამ ამაზრზენი უმსგავსობის გასაბათილებლად და იმის გასარკვევად, თუ ვინ ვინ არის, ერთადერთ ნიმუშს მოვიყვან 1976 წელს სოხუმში, ზ. ანჩაბაძის მეორე მშობლიურ, რუსულ ენაზე გამოცემული წიგნიდან „Очерк этнической истории Абхазского народа“, რომლის თითქმის ყოველი გვერდი საქართველოს ისტორიის გაყალბების ნიმუშია:

„Проводиласъ великодержавно-шовинистическая фалъсификация истории абхазии, грузинизация абхазской топонимики и в абхазский язык искуственно вводилисъ грузинские слова“... (გვ. 142).

ვიდრე დასკვნას გამოვიტანდე, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა აფხაზურ ენაში ქართული სიტყვების ვითომდა ხელოვნურად შეყვანის შესახებ. რაც შეეხება აფხაზეთის ისტორიის გაყალბებას (და არა მარტო აფხაზეთის), ყველა განათლებულმა ქართველმა იცის, თუ ვინ სჩადიოდა ამას და ამის შესახებ სიტყვასაც არ გავაგრძელებ. არც ტოპონიმიკასთან დაკავშირებულ ზ. ანჩაბაძის ბრალდებაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, ვინაიდან ამაზე დამაჯერებლად ილაპარაკა სამმა ავტორმა. მათ არც აფხაზური ენა დაუტოვებიათ უყურადღებოდ და ყველასათვის გასაგებად თქვეს (უფრო სწორად გაიმეორეს მანამდე თქმული) უტყუარი ჭეშმარიტება, რომ აფხაზური ენა არ არსებობს, არც არსებულა (აფხაზთა სალაპარაკო ენა იყო მეგრული, ხოლო სალიტერატურო – ქართული) და ამის შესახებ უნდა თქმულიყო ენციკლოპედიაში. ასე რომ, დღევანდელი აფხაზური ენა, ცხადია, გარკვეული სახეცვლილებით, ფაქტობრივად, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული იმ ეთნიკური ჯგუფის ენაა (გნებავთ, აბაზინური დავარქვათ, გნებავთ – აფსუური), რომელიც დღესაც აფსუას უწოდებს თავის თავს, ხოლო აფხაზეთს – აფსნის. მაგრამ ქართული წარმოშობის სიტყვა აფხაზიც (აქედან – აფხაზეთი) ისე გაუთავისებია, თავის „საპასპორტო“ სახელად უქცევია. მაშ ასე, აფხაზი – აფსუა, აფხაზეთი – აფსნი.

იმის შემდეგ, რაც ფართო მკითხველისთვის უკვე ცნობილია, თუ ფაქტობრივად რა ენასთან გვაქვს საქმე აფხაზური ენის სახით, ორიოდე სიტყვით გავცემ პასუხს ზ. ანჩაბაძის იმ ცილისწამებას, რომ თითქოს ქართველებს ხელოვნურად შეჰყავდათ აფხაზურ ენაში ქართული სიტყვები (მას ამის არც ერთი ნიმუში არ მოუყვანია). აფხაზურ ენას, მართლაც, მრავალი მეგრული (შესაძლოა – ქართულიც) სიტყვა შეერწყა ბუნებრივად, სრულიად ძალდაუტანებლად და ეს კანონზომიერი გახლდათ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ ეთნიკურ ჯგუფს აფხაზები, იგივე მეგრელები დახვდათ და სწორედ მათთან ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე (ცხადია, იგულისხმება ბოლო რამდენიმე საუკუნე). არა ერთი და ორი მეგრული სიტყვა აფხაზმა „სპეციალისტებმა“ თვითონ „დაასახლეს“ აფხაზურ ენაში. ასეთია, მაგალითად, „აყვა“, რომელიც სოხუმს უწოდეს და ერთობ უხერხულად ჟღერს რუსულად. კაცმა რომ თქვას, არც მეგრულად გამოირჩევა იგი განსაკუთრებული ჟღერადობით. ყოველ შემთხვევაში, ეს ის სიტყვა არ გახლავთ, აფხაზეთის დედაქალაქს რომ მორგებოდა სახელწოდებად. მაინც მოარგეს და რა გინდა ახლა! ასევე უხერხულად, უფრო სწორად, არაბუნებრივად (შესაძლოა, სასაცილოდაც) ჟღერს აფხაზების მიერ, ქართველების ჯინაზე, რუსულიდან აფხაზურ ენაში ხელოვნურად შეყვანილი როგორც საკუთრივ რუსული, ისე სხვა ხალხთა ენებიდან რუსულში დამკვიდრებული სიტყვები. მათ შორისაა რუსული „იაშჩიკ“ და იტალიური „ფოსტა“, რომლებიც აფხაზურად ასე აჟღერდა – „აიაშიკ“ და „აფოშტა“.

ესაა ჭეშმარიტება, ესაა სიმართლე, მაგრამ მისი აღიარება უჭირდათ ზ. ანჩაბაძესა და მის კოლეგებს, რომელთა შორის, ცხადია, ქართველებიც იყვნენ და... დღესაც არიან.

**მიხეილ ჩაჩუა.**

# ეკონომიკა

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველკვირეული დამატება | №19 (26). 7-8 ივნისი. 1998


## გვეხმაურებიან

# ავაღორძინოთ საქართველოს მრეწველობა

მრეწველობის სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებული და საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნებული საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის კონცეფციის ძირითადი დებულების პროექტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს. მასში მოცემულია დარგში მწვავე კრიზისული მდგომარეობის დაძლევის და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში მისი განვითარების გზების დასახვის ცდა.

ამ დოკუმენტს დიდი ხანია ველოდით, რადგან მან უნდა განაპირობოს არა მარტო მრეწველობის განვითარება, არამედ საქართველოში არსებული მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შენარჩუნება, უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადება, სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების მოძიება და სხვ.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კონცეფცია სრულყოფილია. ბუნებრივია, იქნება შენიშვნები, გარკვეული კრიტიკა, ალტერნატიული აზრებიც. საჭიროა მათი გაანალიზება და რაც სასარგებლოა, იმის მიღება. ხაზი უნდა გავუსვა ერთ გარემოებას — **მიდგომა კონცეფციისადმი უნდა იყოს კეთილმოსურნე, ხელს უწყობდეს კონცეფციის სრულყოფას, და არა უარყოფას. ცხოვრების მწარე გამოცდილება გვაფიქრებინებს, რომ გაუთავებელი კრიტიკისა და საკუთარი „მე“-ს წარმოჩენისათვის ბრძოლის ატმოსფეროში ეს მნიშვნელოვანი წამოწყება ლოგიკურ ბოლომდე ვერ მიაღწევს, რაც ხელს შეუშლის „ეკონომიკის ხერხემლის — მრეწველობის“ განვითარებას.** საქართველო ჯერ კიდევ ისეთ პერიოდში იმყოფება, რომ ბევრი პოლიტიკური და სუბიექტური მომენტი ხელს უშლის მკაფიო სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

ჩემი შენიშვნა უპირველესად ეხება პრიორიტეტების შერჩევის საკითხს.

ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის რადიკალური ცვლილების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. მრეწველობის განვითარების ტენდენცია საქართველოში არაოპტიმალური იყო ჯერ კიდევ სსრკ-ის დროს, ასეთ პატარა ქვეყანას 140 დარგი და ქვედარგი ჰქონდა! საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანა დადგა დილემის წინაშე: **რა ვუყოთ დატოვებულ მძლავრ სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს? რა განვავითაროთ და რა არა? როგორი პრიორიტეტები უნდა ავირჩიოთ და როგორ გავხადოთ სრულყოფილი მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა?** — ეს პირველი საკითხი.

რასაც ჩავთვლით პრიორიტეტებად, როგორ განვავითაროთ? ისინი ხომ დღეს უმოქმედოდ არის, ნაწილობრივ გაჩანაგებული, საკმაოდ ჩამორჩენილი ტექნოლოგიებით და უკვე მოძველებული დანადგარებით. **საჭიროა ამ დარგების გადაიარაღება, სპეციალისტების გადამზადება, საბაზრო ეკონომიკის „მზის ქვეშ“ ადგილის მოპოვება. ვის ხარჯზე უნდა გაკეთდეს ეს?** — ეს მეორე საკითხი.

ჩანს, უახლოეს მომავალში სახელმწიფოს ხარჯზე ამის გაკეთება შეუძლებელია, საჭირო იქნება უცხო ინვესტორების მოზიდვა და ინვესტიციების გონივრული გამოყენება. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ირლანდიის მაგალითი. ამ ქვეყნის მთავრობამ 1966 წელს მიიღო ეკონომიკის განვითარების პროგრამა, დაეყრდნო უცხო ინვესტიციებს, მაგრამ გაატარა მკაცრი, მიზანდასახული, გარკვეულ დარგებზე ორიენტირებული საინვესტიციო პოლიტიკა და ქვეყანა არნახულ წარმატებამდე მიიყვანა. აქვე შევნიშნავთ, რომ კონცეფციაში აღნიშნული მეტად მიმზიდველი ტექნოპარკების შექმნა ბევრად იქნება დამოკიდებული აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაზე.

პრიორიტეტებთან დაკავშირებით დგება მესამე მნიშვნელოვანი საკითხიც — **როგორი უნდა იყოს თანაფარდობა პრიორიტეტული დარგების საწარმოთა სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის? დროებით მაინც, სანამ კონვერგენციის პერიოდია, მიგვაჩნია, რომ ყველაფრის პრივატიზაცია (განსაკუთრებით — მაღალტექნოლოგიური საწარმოებისა) არანაკლები შეცდომა იქნება, ვიდრე ყველაფრის სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება. კერძო და სახელმწიფო საკუთრებას შორის თანაფარდობა თვით ქვეყნის პრეროგატივაა და არა გარეშე მრჩევლებისა (ვინც უნდა იყოს!).** საქართველოს მთავრობამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რომელ პრიორიტეტულ დარგებს შეეხება პრივატიზაცია.

კონცეფციაში უფრო მკაფიოდ, ვიდრე პროექტშია, უნდა გამოიკვეთოს პასუხები ამ კითხვაზე, პრიორიტეტების დეფინიცია სასურველია გადამუშავდეს.

აქვე მსურს გავაკეთო მნიშვნელოვანი შენიშვნა: **პრიორიტეტულ დარგებს შორის აუცილებლია გავითვალისწინოთ ელექტრონიკა. იგი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მაღალტექნიკური დარგი, სპეციფიკის გამო, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პატარა ქვეყნების ეკონომიკური სიძნელეებიდან გამოყვანაზე, ამავე დროს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის ეფექტიანი საშუალებაც არის.** საქართველოში ელექტრონიკის განვითარებისათვის არსებობს ხელისშემწყობი პირობები: შექმნილია მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალი, არსებობს ნახევარგამტარული მასალები. მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ელექტრონიკა განეკუთვნება იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელთა განვითარებამ მნიშვნელოვანწილად უნდა განსაზღვროს ეროვნული ეკონომიკის პერსპექტივა.

კონცეფციაში „ქიმს გარეთაა“ დარჩენილი რადიოელექტრონული დარგი. არადა, არსებობს მთელი რიგი საწარმოები, არის უზარმაზარი სამრეწველო სიმძლავრეები და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რომლებიც დღეს ჰაერშია გამოკიდებული. სამრეწველო პოლიტიკაში მათი განვითარების ან გამოყენებისათვის გარკვეული მიდგომა უნდა გამომუშავდეს.

აუცილებლად მიგვაჩნია კონცეფციაში აღინიშნოს გარკვეული დარგების მიმართ (გამონაკლისის სახით მაინც) პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა.

კონცეფციის მეოთხე თავში მოყვანილ ძირითადი ფონდების დეფინიციას სასურველია დაემატოს ერთი ჯგუფი — **„ძირითადი ფონდები, რომლებიც არ გამოიყენება კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად, მაგრამ თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით გამოდგება საინჟინრო და სამრეწველო კადრების მომზადებისათვის ტექნიკური ბაზის განსავითარებლად“.**

ასეთი ფონდები უნდა გადაეცეს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს და კოლეჯებს.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ სიძნელეებში მყოფი ქვეყნისათვის სამამულო ინტელექტუალური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების, საკუთარი წარმოების აღორძინების და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი შიდა ბაზრის მკაცრად დაცვა, გარე პროდუქციის შეზღუდვაა. უამისოდ ეროვნული მრეწველობა ვერ განვითარდება. ეს სამრეწველო პოლიტიკის სტრატეგიის საკითხია და კონცეფციაში მკვეთრი გამოძახილი უნდა ჰპოვოს.

შემოთავაზებული კონცეფცია, როგორც დოკუმენტი, ბევრად მოიგებდა, ზედმეტი მსჯელობებისაგან რომ გათავისუფლებულიყო. კარგი იქნება, თუ კონცეფციის ფართო განხილვა კიდევ მოეწყობა.

კონცეფციის რეალიზება ბევრად იქნება დამოკიდებული მის დროულად მიღებასა და სახელმწიფო პროგრამად ჩამოყალიბებაზე. ვფიქრობთ არა იმაზე, როგორ „ჩავძიროთ“ კონცეფცია, არამედ იმაზე, როგორ სრულვყოთ. აკი მრეწველობა ერთობლივი შრომის შედეგია!

**რაფიელ ჩიქოვანი,**
**პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.**

## აუდიტი

# სწავლა — სიბერემდე



„ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა საქართველოს საწარმოებში“ — ასეთი იყო საქართველოს პარლამენტთან არსებული საბჭოს პირველი კონფერენციის თემა. მისი ორგანიზატორები არიან აშშ, საერთაშორისო განვითარების სააგენტო, სიბლი ინტერნეშნელი, ბარენც გრუპი და კარანა კორპორაცია, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. კონფერენცია 2 დღეს მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა ეკონომიკისა და ფინანსების 130-მდე სპეციალისტი.

კონფერენციას წინ უძღოდა ერთი თვის წინათ საქართველოსა და აშშ მთავრობებს შორის ხელმოწერილი „ურთიერთგაგების მემორანდუმი“. იგი ითვალისწინებს აშშ-ს მთავრობის მხრიდან ფართომასშტაბიან დახმარებას ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საქმეში.

მომზადდა საგანგებო ბუკლეტი. კონფერენციას მისასალმებელი წერილები გამოუგზავნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, აშშ-ის ელჩის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა მარტინ ადამსმა. მათ დადებითად შეაფასეს კონფერენციის მნიშვნელობა.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თემები „რეფორმა — რა გავაკეთოთ — რატომ?“ (ჯეიმს ლ. ჯონსი), „საწარმოთა დონეზე ბუღალტრული აღრიცხვის მენეჯერული ასპექტები“ (ქრისტოფერ ბადახი), „ბუღალტერთა, აუდიტორთა და საწარმოთა ხელმძღვანელების მომზადება საქართველოს საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის პროექტის ფარგლებში“ (ვლადიმერ შეკოიანი), „ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის რეგულირება“ (თენგიზ ახობაძე), „აუდიტორული საქმიანობის და საგადასახადო სისტემის უსაფრთხოებათა ასპექტი“ (ნაირა ხუციშვილი); „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შედგენის მოსამზადებელი სამუშაოები და ღონისძიებები მათ დასანერგად“ (მერაბ ხმალაძე) და სხვ.

დასასრულ გაიმართა ამერიკის აუდიტის საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის რობერტ მონტგომერის წიგნის „აუდიტ-მონტგომერის“ ქართული გამოცემის პრეზენტაცია. განზრახულია მეორე ასეთი ერთობლივი კონფერენციის მოწვევაც.

**თამაზ სულაძე.**

## მრეწველობის სამინისტროს მაისის მონაცემები

როგორც საქართველოს მრეწველობის სამინისტრო იტყობინება, სააქციო საზოგადოება „აზოტმა“ მაისში გამოუშვა 23 ათასი ტონა ამონიუმის გვარჯილა. სამთო ქიმიის დარგში მუშაობს მხოლოდ სააქციო საზოგადოება „ასკანიტი“, რომელმაც მაისში 10 ათასი ლარის პროდუქცია აწარმოა, აღნიშნული საწარმო მართვის უფლებით გადაეცა საბერძნეთის ერთ-ერთ ფირმას.

რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა მაისში აწარმოა 1,7 მლნ ლარის ღირებულების 8,3 ათასი ტონა ფოლადის სხმული, ს/ს „ჭიათურმანგანუმმა“ — 122 ათასი ლარის ღირებულების 1350 ტონა მაღალი ხარისხის მანგანუმი, ზესტაფონის „ფერომ“ — 3,5 მლნ. ლარის პროდუქცია.

მანქანათმშენებლობის დარგში მაისში დაგეგმილი იყო 1,2 მლნ. ლარის პროდუქციის წარმოება, ფაქტობრივად კი, გამოშვებულია 2,2 მლნ ლარის პროდუქცია.

## გვწერენ

# ვინ მიხედავს ჩარგლის გზას?

ბოლო წლების წყალდიდობებმა სოფელ ჩარგლის სამკილომეტრიანი საავტომობილო გზა დიდად დააზიანა. სხვადასხვა ადგილას ჩადებული წყალგამტარი 9 მილი ქვაქვიშით გაივსო. წვიმების დროს წყალი გადმოდის, რაც ისედაც დაზიანებულ გზას უფრო აზიანებს. გზაზე ქვებიც იყრება.

წინათ გზას ემსახურებოდნენ და მდგომარეობას შეძლებისდაგვარად აწესრიგებდნენ. ახლა საგზაოს მუშაკები აცხადებენ: ჩარგლის გზა ჩვენს სამსახურებრივ ფუნქციებში არ შედისო. და არის გზა მიტოვებული ყველას მიერ. ამ დროს კი ვაჟას სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად უამრავი ექსკურსანტები მოდიან. რად უნდა რჩებოდეთ მათ უსიამოვნო შთაბეჭდილება უსიამოვნო გზაზე. ვისაც ეს საქმე ეხება, სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს.

**გიორგი მარცვალაშვილი,**
**პენსიონერი.**
**სოფ. ჩარგალი.**

№139-140, კვირა-ორშაბათი, 7-8 ივნისი, 1998 წელი.

ღვაწლი

# არქიტექტურული პოეტიკის შემოქმედი



ახლახან არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. გილოცავ ამ აღიარებას, ჩემო შოთა!

მახსენდება, სულ ყმაწვილი, მესამეკურსელი მოგიყვანა გიული გეგელიამ ჩემთან, ინსტიტუტის საპროექტო ბიუროში, — კარგი ბიჭია, მიიღეთო. მას შემდეგ ეს ცხოვრება ერთად განვვლეთ, 20 წელიწადი უცვლელი პარტნიორები ვიყავით, ერთად ვაპროექტებდით, ერთად ვქმნიდით. მერე შენც დაიდგი პედაგოგის ულელი და ერთად ვმასწავლებლობდით. ყოველთვის მხიბლავდა პროფესიისადმი შენეული დამოკიდებულება, კაცურკაცობა და პირიანობა. ყოველთვის „მშვიდობიანი" როდი იყო ჩვენი თანამშრომლობა, ხანდახან „უთანხმოება" (რა თქმა უნდა, შემოქმედებითი) ისეთ ზღვარს აღწევდა, ვგრძნობდი, რომ მეორე დღეს „სამუშაოზე" არ მოხვიდოდი. საჭირო იყო განტვირთვა, გულის გადაყოლება. მერე ყველაფერი კვლავ თავის კალაპოტში დგებოდა.

მახსენდება 1990 წელი, ჩვენი „გაყრა". ვზივართ ჩემთან, სახელოსნოში, ეხაზავთ, ვუკირკიტებთ რომელიღაც პროექტს. შუაღამე წამოვეეპარა. უცებ მომინდა გამხელა იმისა, რასაც თითქმის სამი წელიწადი ვფიქრობდი: შოთა, უკვე დროა, შენ იყო „შოთა ბოსტანაშვილი და არა „ვახტანგ დავითაია და შოთა ბოსტანაშვილი", შენ პროფესიულად სავსებით მზად ხარ ამისათვის. მცირე პაუზის შემდეგ მითხარი: ალბათ ძალიან გამიჭირდება მარტო. დაგამშვიდე, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ეს იყო და ეს. მე მართალი აღმოვჩნდი, შენ „მარტოც" დიდებულად გაართვი საქმეს თავი და ადრინდელ წარმატებებს ახალი მიუმატე.

შოთა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გახდა გამორჩეული, მისმა სადიპლომო ნაშრომმა საკავშირო კონკურსის ლაურეატის დიპლომი დაიმსახურა, შემდეგ წლებში საუკეთესო პროექტისა და რეალიზატორის საკავშირო კონკურსშიც რამდენჯერმე გაიმარჯვა, გახდა თბილისის პირველი საერთაშორისო და არქიტექტურის მსოფლიო ბიენალეების ლაურეატი, შარშან კი არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსთა საბჭომ პროფესორად აირჩია.

თუ გსურს წარმატება, ადრინდელ მიღწევებს იოლად უნდა ივიწყებდე, მხოლოდ წინ, ახლისკენ იყურებოდე. როცა წარსულით ტკბობაში ჩასთვლემ, შემოქმედებითი ცხოვრებაც მთავრდება. შოთა მუდამ შემართულია, ყოველ დილას ყველაფერს „თავიდან" იწყებს. ფართო ინტერესების კაცია, მისი თვალსაწიერი ხშირად ვერ ეტევა დღევანდელობის ჩარჩოებში. არც ის მიკვირს, დილით კონკრეტულ საქმეზე გასული, რომელიმე სპექტაკლის გასინჯვაზე ან სამეცნიერო კონფერენციაზე რომ აღმოჩნდება. ამ ხუთიოდე წლის წინათ საქართველოში ებრაული მატერიალური კულტურის ძეგლების ნაკლებად შესწავლილი საკითხის კვლევამ გაიტაცა, უკანა პლანზე გადაინაცვლა ჩვეულმა პროფესიულმა ცხოვრებამ. შემოიარა ქალაქები და დაბები, სასაფლაოები, აზომა, ჩაიხატა, ფოტოფირზე გადაიღო, შეისწავლა ისტორიული და საარქივო მასალები და სოლიდური, ორიგინალური ნაშრომი გამოაქვეყნა. 1990 წელს, როცა უკიდურესად პოლიტიზებული ჩვენი ახალგაზრდობა დემონსტრაციებსა და მიტინგებს მართავდა, „არქიტექტურული პოეტიკის" სტუდია ჩამოაყალიბა და სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიზიდა. გვიანობამდე ისხდნენ ის და მისი სტუდენტები გაყინულ აუდიტორიებში და ეძებდნენ „არქიტექტურული პოეტიკის" „არქიტექტურული მეტაფორის" საიდუმლოებას. სტუდიაში მიღებულმა სრულიად არაორდინარულმა ცოდნამ კომპოზიციაში, კოლორისტიკაში, ზოგად ესთეტიკურ საკითხებში მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ამ ახალგაზრდობის ორიენტაციას და მხატვრულ აზროვნებას. შარშან „არქიტექტურული პოეტიკის" სტუდიის ნამუშევრების გამოფენა და მისი ხელმძღვანელის, შოთა ბოსტანაშვილის საავტორო გამოსვლა მოეწყო არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალზე სოფიაში.

ეს ფაქტი ამ უმნიშვნელოვანესი პროფესიული ფორუმის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა გახდა.

შოთა ბოსტანაშვილი ფართო ერუდიციის მქონე პიროვნებაა, რომლის ინტერესების სფეროში არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების გარდა, დიდი დოზითაა შეჭრილი პოეზია, ლიტერატურა, რელიგია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა. სწორედ ეს განაპირობებს მისი პროექტების ხაზგასმულ ინტელიგენტურობას. არ არის ეს გამოგონილი ფრაზა — გამოცდილ თვალს იოლად შეუძლია გაარჩიოს უბრალოდ მონდომებული კაცის და ნიჭიერი და განათლებული კაცის მიერ შექმნილი პროექტები.

არქიტექტურის პროექტირების არსი მე ასე მესმის: არქიტექტურა არის ემოციის, განწყობილების, იდეის დაპროექტება. თავის პროექტებში, სტუდენტებთან ურთიერთობაში, „პოეტიკაში" შოთა სწორედ ემოციებს და განწყობილებებს აპროექტებს და მისი შემოქმედება ამიტომაც არის ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებო. პიროვნების ინტელექტუალური სამყაროს და ინტერესების სფეროს შეცნობის უტყუარი ნიშანი მეგობართა წრეა. შოთას მეგობართა წრე მნიშვნელოვნად სცილდება პროფესიულს და მოიცავს მრავალ, ერთი შეხედვით არქიტექტურისგან დაშორებულ დისციპლინათა ავტორიტეტულ წარმომადგენლებს.

ერთი წუთითაც არ დავფიქრდები შოთა ბოსტანაშვილის, როგორც მოქალაქისა და შემოქმედის დასახასიათებლად ვიხმარო სიტყვა „განსაკუთრებული".

ცხოვრება წარსულის ზრდაა აწმყოს ხარჯზე.

შენ, ჩემო შოთა, საცაა 50 წელიწადს მიითვლი. რა შეიძლება გისურვოს კაცმა ამ ასაკში?, ალბათ, ის, რომ ეს 50 წელიწადი შენი ცხოვრების შუა გზა იყოს, ხოლო მომავალი ნახევარი საუკუნე — ისეთივე ზნეობრივი, ულალატო, შემოქმედებითად აქტიური და მნიშვნელოვანი, როგორიც პირველი ორმოცდაათი.

**ვახტანგ დავითაია.**

# „რად იფოთლება სული?"

მაისის შუა რიცხვებში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა პრეზიდენტის ბრძანებულება არქიტექტორ შოთა ბოსტანაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ. იმავე დღეს არქიტექტორთა კავშირში მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ძალზე თბილი სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა ვახტანგ დავითაიამ. კოლეგებმაც და სტუმრებმაც პირი აიმხიანეს. ქების ადრესატი კი მორჩილი მოწაფესავით თავდახრილი იდგა და აღარ იცოდა, საით წაეღო მოწყლიანებული თვალები.

გამოვტყდები: შოთა ბოსტანაშვილზე აქამდე ბევრი არაფერი ვიცოდი. მერე, როცა რედაქციის საკმაოდ საქმიან და ხმაურიან ოთახში ერთმანეთს პირისპირ შევხვდით, მეხსიერებაში ამოტივტივდა ოთხმოციანი წლების მიწურული. მაშინ საკავშირო თუ ქართულმა საინფორმაციო წყაროებმა ვენეციის საერთაშორისო კონკურსზე მისი გამარჯვება გვამცნეს. ოთხასზე მეტი მონაწილიდან პირველი პრემია სწორედ შოთა ბოსტანაშვილს ერგო!

დევიზი — „XXI საუკუნის ცივილიზაციის სივრცე" — ფრიად ორიგინალური და გაბედული იყო. ორიგინალური და გაბედული იყო შოთა ბოსტანაშვილის ნამუშევარიც — მოხეტიალე კუნძული ექვსი საკარცხულით, რომელთაც კულტურის სიმბოლოები მოჰქონდათ. რევოლუციებით, ქანცგამწყვეტი ომებით მოღლილი ეპოქის შვილები ხსნას კულტურულ ღირებულებათა გადარჩენაში ხედავენ. „მეტაფიზიკური არქიტექტურა გაქვთ, რას მიესწრაფვით?" — ჰკითხა მაშინ ერთმა უცხოელმა კოლეგამ. „საკუთარი თავის გადარჩენას", — იყო პასუხი. ვინ იცის, მიხვდა ის უცხოელი, რომ „საკუთარ თავში" შოთა ბოსტანაშვილი საზოგადოდ ხალხს გულისხმობდა? აი, იაპონელები კი მიხვდნენ და ქართველი არქიტექტორის პროექტის განხორციელება სურდათ, მაგრამ... ჩვენში ომი (ისევ ომი!) დაიწყო და სურვილი სურვილად დარჩა...

სწორედ იმ ომისა და ნგრევის ჟამს იშვა, მე ვიტყოდი, არქიტექტურის სრულიად ახალი გაგება. იგი შოთა ბოსტანაშვილმა „არქიტექტურის პოეტიკად" მონათლა. არქიტექტორთა კავშირში შეხვედრისას ამ ტერმინმა რამდენჯერმე გაიელვა. „რას არ მოიგონებს კაცი, როგორ ყველაფერს პოეზიას აბრალებენ", — უნებურად გავიფიქრე მაშინ. ეს მკრეხელური აზრი ისევ ამოტივტივდა შოთასთან შეხვედრისას. „რა არის აქ გასაკვირი? არქიტექტურა ხომ ხელოვნების დარგია! ესე იგი, გარკვეულ სულიერ ფუნქციას ატარებს. თუ ამ ფუნქციას წავართმევთ, ფიზიკური პარამეტრების მქონე უსახური მასალა დარჩება... მინდა აღორძინდეს ხუროთმოძღვრების ინსტიტუტი, რათა ხელოვნების ეს ფენომენი ქართული პოეტური მეტყველებისა და მეტაფორების რანგში ამაღლდეს. გახსოვთ ასეთი გამოთქმა, „მე რომ დირექტორი ვიყო", არა? ჰოდა, რომ შემეძლოს, ყველას პოეტური არქიტექტურისკენ განვაწყობდი. პრინციპულად უნდა გავიაზროთ, თუ საით მივმართოთ აღმშენებლობითი ენერგია — მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი კვადრატული მეტრების მოწყობისა თუ სულიერებისკენ... ეს უბრალო ახირება როდია". „კი, მაგრამ, ნუთუ ამაზე აქამდე არავის უფიქრია?" „ვის, ან როდის უნდა ეფიქრა? საქართველოს ჰქონდა გრძელი და ბნელი რვა საუკუნის ხანა, ამას მოჰყვა 70 წლის „წითელი ჭირი", თავისი მასობრივი კულტურითა და მასობრივი მიკრორაიონებით. ამ სიბნელემ არქიტექტურაც დაჩაგრა, გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია. როცა თავზე „დამოკლეს მახვილია" შემართული, იქ აღმაფრენა მკვდარია. ნამდვილი არქიტექტურა კი აღმაფრენის გარეშე არ იქმნება".

მე, ჩემდათავად, დავასკვენი, რომ უცილობლად გვჭირდება მეტამორფოზა. და არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ ცხოვრებაშიც.

— მეტამორფოზა არ გვჭირდება. ქართველი კაცი ნიჭიერია და მან თავისი მისწრაფება შესანიშნავად გამოავლინა. ავიღოთ რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა, გალაკტიონი... თითოეული მათგანის შემოქმედება ერის ნიშან-თვისების დასტურია. ეს ნიჭი არქიტექტურაშიც უეჭველად უნდა გამოვლინდეს. ამ სულისკვეთების დამკვიდრებას ვცდილობ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებშიც.

— კონკრეტულმა სიტუაციამ ხომ არ გიბიძგათ ამისკენ?

— დიახ. ეს მაშინ მოხდა, როცა ცხოვრება ამოძრავდა, ხოლო მერე ყოველივე ქაოსმა მოიცვა. დავაარსეთ „თავისუფალ მსმენელთა აუდიტორია", რომელიც მუდამ ახალგაზრდებით იყო გადაჭედილი. იმ რწმენით შევქმენი, რომ მჯეროდა: მხოლოდ ასე შეიძლებოდა სულის გადარჩენა...

ბატონი შოთა ფიქრობს, რომ ქართველ კაცს, მაღალნიჭიერების მიუხედავად, „მრავალჟამიერის", „ჩაკრულოს", „ხასანბეგურას" სადარი არქიტექტურა ჯერ არ შეუქმნია. ეს დღევანდელი ზრუნვის საგანია. როცა ნიადაგ თავის გადარჩენაზე გიხდება ფიქრი, მაღალ მატერიებზე ოცნებაც შეუძლებელია. დიდ არქიტექტურას დამშვიდებული ცხოვრება სჭირდება. „ჩვენ კი სულ გვებრძოდნენ, გვაწიოკებდნენ. დღეს ქვეყნები ერთმანეთს კოსმოსის ათვისებაში ეჯიბრებიან, არქიტექტურაზე ზრუნვა კი განზეა დარჩენილი. ძველებმა რაც შექმნეს, იგავმიუწვდომელია. მაგრამ ეს წარსულია... უნდა ვიფიქროთ მომავალზე. თუ ხნული არ შევამზადეთ, ხვალ ვერ დავთესავთ... გვჭირდება არა მარტო ხურო, არამედ მოძღვრებიც — ხუროთმოძღვრება".

— ასეთი მაღალი გადასახედიდან როგორ მოჩანს საცხოვრებელი მასივები?

— ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად ამისა, მათ ერთგვარი გამართლებაც ჰქონდათ — ათასობით ადამიანმა თავშესაფარი ჰპოვა. თანაც უფასოდ. მაგრამ ახლა „მასობრივი მიკრორაიონების" დრო წავიდა. რაც გვაქვს, იმათ საპატრონოდ დიდძალი თანხაა საჭირო. უპრიანი იქნება, თუ ხელისუფლება მათ გადარჩენას მშვენიერებასთან შეათავსებს.

და არქიტექტორი ფიქრობს, რომ არქიტექტურა, როგორც დარგი, კულტურის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე მშენებლობისას. ამიტომ დაქვემდებარებაც შესაბამისი უნდა იყოს. „ქართული არქიტექტურის ბედი ქართული ხუროთმოძღვრების აკადემიამ უნდა წარმართოს (ღმერთმა ქნას, რომ დაარსდეს!)". შესაძლოა, დღეს ამაზე ფიქრი ნაადრევია, მაგრამ შოთა ბოსტანაშვილს სჯერა, რომ ამისი დროც მოვა.

ხოლო თვითონ როგორ ახერხებდა „არტახებიდან" ამოხტომას, ამისი დასტურია ვენეციაში მოპოვებული ჯილდოც და უფრო „ყოფით" თემებზე შექმნილი პროექტებიც (ეროვნული პურის საცხობი თემქაზე, რომელმაც 1988 წელს „გრან პრი" მიიღო, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ვაკეში, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა სოლოლაკში...).

არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის პროფესორი შოთა ბოსტანაშვილი, თავისი ერის ღირსეული შვილი, საქართველოს ღირსეული შვილიც არის. ოცდაექვსი საუკუნეა, ქართველი და ებრაელი ხალხების ცხოვრება ერთმანეთს გადაეჭდო. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე იწინი ერთად ხვდებოდნენ ბედსა თუ უბედობას, ერთმანეთს შეერწყა მათი ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი. დიდი თარიღის აღსანიშნავად უკვე შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობაში ისიც შედის. სწორედ მან შექმნა საიუბილეო ემბლემა, მედალი, პლაკატები და სხვა თვალსაჩინოებანი. გამოვა წიგნი-ალბომი „სალოცავნი და სასაფლაონი", სადაც აისახება კიდეც ის ფასეულობანი, ორი ხალხის ისტორიას რომ ამშვენებს.

ბატონი შოთა ძალზე უბრალოდ (და, ამავე დროს, ამაღლებულად!) გადმოსცემს თავის ნააზრევს. ისე საინტერესოდ ლაპარაკობს თავის პროფესიაზე, იმდენი სილამაზე და აღმაფრენაა მის ნაუბარში, კიდევ ერთი სიცოცხლე რომ მქონდეს, ალბათ მეც არქიტექტორის პროფესიას ავირჩევდი. ვიცი, რომ იგი ბევრი ცნობილი მწერლისა და პოეტის მეგობარია. და მათგან მაინც ერთს, ერთადერთს გამოყოფს: „ოთარ ჭილაძე ჩემი სულიერი ძმაა. მან ბევრი რამ მასწავლა..."

ვგრძნობ, რომ თვით მასშიც პოეტი ზის. „წერდით?" — ვეკითხები. „ახლაც ვწერ. ვწერ ჩემთვის. ეს მეტ შთაგონებას მაძლევს..."

მერე სხვა თემაზე გადააქვს საუბარი: „ — დღეს დილამ დამირეკა ისრაელიდან, ჩემი დაჯილდოება გაუგია, მომილოცა...". „დილამ?" — ამ კითხვაში ძალზე ბევრ რამეს ვგულისხმობ. „დიახ. ძნელბედობის ჟამს ავად გამიხდა. მეგობარ-ნათესავების რჩევით ისრაელში გავაგზავნე. უმკურნალეს. გადარჩა. მაგრამ აი, განშორებას ვერ ვეგუებით... „რად იფოთლება სული, როცა საგნები ქრებიან, როცა ასე წუხს გული?" — ხშირად ვეკითხები ჩემს თავს. და ძალიან, ძალიან მინდა, რომ პასუხი ვიპოვო...

მე მგონი, მან უკვე იპოვა პასუხი. სხვანაირად ცხოვრებას ვერც მოახერხებდა...

**ელგუჯა ლებანიძე.**

## დივიდენდი

# დაპირებებში გულუხვნი, შესრულებაში - ხელმოჭერილნი

ჩემს ბოლო წერილში გწერდით, რომ ვერა და ვერ ეღირსე ვაუჩერებზე შეპირებული დივიდენდების მიღებას. ამაში ვადანაშაულებდი საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებასაც, რომელიც ჩვენი ინტერესების დაცვისათვის არაფერს აკეთებს.

და აი, ამ დღეებში პასუხი მივიღე სააქციო საზოგადოება „მთავარინვესტიდან“. გენერალური დირექტორი ზაურ მაჭავარიანი არ იზიარებს ჩემს მტკიცებას, რომ... სერთიფიკატის მფლობელმა შეპირებული დივიდენდი უნდა მიიღოს. „ვერ ნახეთ პროპაგანდისტული ხასიათის ისეთი დოკუმენტი, რომელიც მოუწოდებდა მოსახლეობას საინვესტიციო ფონდისათვის ვაუჩერები ჩაებარებინა იმ პირობით (თუ გარანტიით), რომ დივიდენდებს მიიღებდნენ ამა თუ იმ კონკრეტული პერიოდის გასვლის შემდეგ, ან, ვთქვათ, ამა თუ იმ წლიდან“, – მწერს იგი.

1995 წელს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დაბეჭდილ ბუკლეტში „თქვენი საპრივატიზაციო ბარათის (ვაუჩერის) შესახებ“ ვკითხულობთ: „აქცია უფლებას აძლევს აქციონერს, ყოველწლიურად დივიდენდის სახით მიიღოს მოგების ნაწილი“. ვფიქრობთ, აქ ყველაფერი გარკვევით არის ნათქვამი – ნებისმიერი წამკითხველი იგულისხმებს, რომ ლაპარაკია დივიდენდების უახლოეს წლებში გაცემაზე, და არა, ვთქვათ, მომავალი საუკუნიდან. „ძაღლის თავი“ სწორედ ამ „გაურკვევლობაში“ არის ჩამარხული. აბა რა, იმათ, ვინც ჩვენს ქონებაში ხელს აფათურებს, უკან დასახევი გზაც უნდა ჰქონდეთ!

პრესის ფურცლებზე არც ისე იშვიათად იბეჭდებოდა სააქციო საზოგადოებების, საინვესტიციო და სპეციალიზებული ფონდების ხელმძღვანელთა წერილები საპრივატიზაციო ბარათების დარიგების, მიმოქცევისა და დაფარვის, კონკრეტული, მიზნობრივი, საგნობრივი ხასიათის შესახებ, იბეჭდებოდა საცნობარო მასალები (ბუკლეტები)...

პოდა, დადგა დრო, სიმართლე მაინც ვუთხრათ რწმენადაკარგულ მოსახლეობას. „მთავარინვესტის“ ფონდის დამფუძნებლები თავის დროზე იმედს აძლევდნენ, ერთ ვაუჩერზე 30 დოლარის ღირებულების აქციას მიიღებთო. თუ დღეს ქართულ ბიზნესში ნდობის ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი, ძნელია წარმოიდგინო,. ვის შეიძლება ენდო, თუ არა „ქართული კაპიტალის“ დამფუძნებლებს. გულახდილად ვამბობ: ვაუჩერის მიღებას მოუთმენლად ველოდებოდი. მივიღე კიდეც 5 ცალი. და როგორც მეგონა, შევარჩიე პერსპექტიული საინვესტიციო ფონდი და გავხდი სააქციო საზოგადოების წევრი, მივიღე 75 აქციის სერთიფიკატი.

მაგრამ რა: გადის წლები, არსაიდან ხმა, არსით ძახილი... „მთავარინვესტის“ ფონდის დამფუძნებლები დამუნჯდნენ, დაყრუვდნენ, დაბრმავდნენ, თუ რაშია საქმე, ვერ გამიგია! იქნებ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება დაინტერესდეს და გაარკვიოს, რატომ არ აძლევენ მოსახლეობას შეპირებულ დივიდენდებს? მიზეზები, რომლებსაც იშველიებენ, დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. მოსახლეობა შეშფოთებულია იმითაც, რომ სათანადო ინფორმაცია არ გააჩნია საინვესტიციო ფონდების, სააქციო საზოგადოებების ამოქმედებისა და განვითარების პერსპექტივების თაობაზე. რა, მარტო შეპირებებით აპირებენ ჩვენს გამოკვებას?

**ოთარ თოლორაია,**
**ლიკვიდირებული საპრივატიზაციო ბარათების აღრიცხვისა და განაწილების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

**მინაწერი: ამ „წყევლაკრულვიან“ საკითხზე ჩვენი გაზეთი შარშანაც არაერთხელ წერდა. წლეულს, 7 აპრილს, დაიბეჭდა წერილი „მთავარინვესტის“ მთავარი „კოზირი“, რომელშიც ახსნილი იყო „მთავარინვესტში“ სადივიდენდო თანხების მოზიდვის მექანიზმი. იქ შავით თეთრზე ეწერა: ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როდის დადგება ფეხზე ჩვენი საწარმოები, რომ „მთავარინვესტს“ მოგების ნაწილი გადაურიცხონ. „მთავარინვესტმა“ მოზიდული ვაუჩერები ხომ ათეულობით საწარმოში დააბანდა, დივიდენდები უფრო გარანტირებული იქნებაო.**

**უნდა შევნიშნოთ, რომ „მთავარინვესტის“ ახალი ხელმძღვანელობა (გენერალური დირექტორი ზაურ მაჭავარიანი) ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა დივიდენდების გაცემის ნანატრი დღე მოაახლოოს, მაგრამ, მისი მცდელობის მიუხედავად, როგორც ჩანს, „ზეიმი“ კიდევ დიდხანს დაიგვიანებს.**

**ბატონი ოთარ თოლორაია არ არის ის კაცი, ვინც ჰაიჰარად შეედავება ვინმეს. შესაძლოა, მისი ზოგიერთი ფორმულირება ზუსტად ვერ „მოერგოს“ სიტუაციას, მაგრამ ერთში მაინც შეუმცდარია: ხალხი მოატყუეს! მოატყუეს ისევე, როგორც ერთ დროს საეჭვოდ მომრავლებულმა ბანკებმა, რომლებმაც მეანაბრეებს უკანასკნელი გროშები დასცინცლეს, მერე კი თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს.**

**რაში ტყუის „მთავარინვესტი“? „ბიზნესის გარიჟრაჟზე“, როცა ვაუჩერების მოზიდვა სჭირდებოდა, ისიც და მისი მონათესავე სხვა უწყებებიც გულუხვად არიგებდნენ დაპირებებს, ოღონდ თქვენი ვაუჩერები ჩვენთან მოიტანეთ და ოქროს მთებს დაგიდგამთო. მოიტანეს. წლები გადის და ახლა-ღა იწყებენ იმის ახსნას, რომ... საწარმოებს უჭირთ, მათი ეკონომიკა დივიდენდების გაცემის საშუალებას არ იძლევა. ზუსტად ისეა, როგორც არაერთხელ დაგვმართნია – ოღონდ ჩვენი მიზნისთვის მიგველწია და დაპირებას შევასრულებთ თუ არა, აღარ გვეღარდება, დაე, ამაზე მომავალმა იფიქროსო.**

**ოთარ თოლორაიამ არაერთ მოქალაქეს ურჩია, ვაუჩერი „მთავარინვესტში“ ჩადე, ყველაზე საიმედო ორგანიზაცია ეს არისო („ანკესზე“ რედაქციის რამდენიმე მუშაკიც წამოეგო!). ახლა პასუხს მისგან ითხოვენ, შეპირებული დივიდენდები სად არისო. ორწყალშუა ჩავარდა კაცი, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და არც თუ უსაფუძვლოდ. „მთავარინვესტის“ მესვეურებიც ხელებს შლიან, რა ვქნათ, მრეწველობა არ მუშაობს, დღემდე დივიდენდების სახით მხოლოდ 7 625 ლარი გვაქვს მიღებული, ერთ აქციაზე 0,03 თეთრი, ამიტომ ვერ ვანაწილებთო.**

**გვჯერა, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, აქამდე არ იცოდით, სალათას ძილით მძინარე მრეწველობა ასე იოლად რომ ვერ გამოიღვიძებდა? ვაი, რომ გამოღვიძების პროცესი კიდევ დიდხანს გაგრძელდება და თქვენც კიდევ დიდხანს მოგიხდებათ თავის მართლება, რაც მოტყუებულ და იმედგაცრუებულ ხალხს ვერავითარ შეღავათს ვერ მოუტანს...**

## ენერგეტიკა

# ამ სიკეთეს ხელიდან ნუ გავუშვებთ!

საჭირო და აუცილებელია შეიქმნას ენერგეტიკის აღორძინების ფონდი. იგი შეივსება იმ იურიდიულ პირთა საქმიანობიდან ამონაგები თანხების გარკვეული პროცენტით, რომელთაც ურთიერთობა აქვთ ბანკთან და შესაბამისად – სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან.

საგზაო ფონდის ანალოგიურად ენერგეტიკის ფონდში დანარიცხები მოხდება კვარტალური თუ წლიური ბალანსის ჩაბარებისას.

ფონდის შექმნის საკითხი ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ დავსვით ტელევიზიაში მინისტრთან შეხვედრისას, თუმცა, არც კითხვა და არც პასუხი, რატომღაც, ეთერში არ გაუშვიათ.

არადა, ენერგეტიკის ფონდი საშუალებას მოგვცემს უკვე ამ ზამთრისათვის გარედან დაუხმარებლად 20-30 მილიონი ლარი გამოვიყენოთ სასწრაფო და გადაუდებელი მიზნებისთვის.

მაინც, რას მოხმარდება ენერგეტიკის ფონდი?

უპირველესად, ამორტიზებული და გასარემონტებელი ელექტროსადგურებისა და გადამცემი ქსელების დანადგართა აღდგენა-განახლებას, მაღალეფექტიანი განათების ნათურების შეძენა-დანერგვას. მარტო განათებისთვის ჰალოგენური ან დღის სინათლის თანამედროვე ნათურების გამოყენება თბილისში გამოათავისუფლებს დაახლოებით 90 მეგავატ სიმძლავრეს! ასეთი ნათურების შესყიდვისათვის საჭიროა დაახლოებით 20-25 მილიონი ლარი. სამაგიეროდ, ნათურები 5-6 წელს სძლებს და 4-5-ჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს.

1997 წელს **TACIS**-ის პროგრამით მოეწყო ელექტროეფექტიანობის აუდიტი თბილისის 5 სხვადასხვა ობიექტზე. მან გამოავლინა შიდა რეზერვები. მისი შედეგები ცნობილი უნდა გახდეს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ამას გარკვეული თანხა სჭირდება...

ცნობილია, რომ უმიზნოდ ბევრ წყალს ვხარჯავთ. ეს ელექტროენერგიის დანაკარგებს იწვევს. ამიტომ მოსახლეობას უფასოდ უნდა გაურემონტდეს წყლის ონკანები, ხოლო საბიუჯეტო და კერძო დაწესებულებებში შეკეთდეს ყველა ონკანი თუ ავტომატური ჩამკეტი. საჭიროა ფართოდ დაინერგოს წყლის ეკონომიური გადამრთველებიც.

შემოდგომის დადგომისთანავე აუცილებელია ფანჯრებისა და კარების დათბუნება სპეციალური ზონარებით – ესეც ენერგეტიკის ფონდის სახსრებით.

ენერგიის დაზოგვის კიდევ მრავალი ხერხი და მოწყობილობა არსებობს, ოღონდ მათი მიგნებისა და გამოყენებისათვის დროა საჭირო.

**ზურაბ ბაბუნაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## კავშირგაბმულობა

თბილისის სატელეფონო ქსელების სამმართველოს განსახელმწიფოებრიობა წლის ბოლოსთვის არის განსაზღვრული. რა სიკეთეს მოუტანს ეს ამ ორგანიზაციას, ახლა ამის ხელაღებით მტკიცება ძნელია, მაგრამ დღეს იმის თქმა კი შეიძლება, რომ ეს სამსახური თუ ფრიადზე არა, თავის საქმეს მაინც პირნათლად ემსახურება.

თბილისში ამ სამმართველოს პარალელურად არასახელმწიფო ორგანიზაცია ერთობლივი საწარმო შპს „ახალი ქსელებიც“ მუშაობს და მოდერნიზებული ელექტროსადგურებით ემსახურება მომხმარებელს, თუმცა მისი მოქმედების არე მაინც შეზღუდულია და ძირითადი სიმძიმე სატელეფონო ქსელების სამმართველოს აწევს.

არადა, როგორც თბილისის სატელეფონო ქსელების მმართველი ზურაბ ჯაფარიძე განმარტავს, მათ სისტემაში მოქმედი „ერიქსონის“ ელექტრონული სატელეფონო სადგურები 80-იან წლებშია გამოშვებული.

„ერიქსონის“ ფირმა ამ ტიპის სადგურებს უკვე კარგა ხანია აღარ ამზადებს და ბუნებრივია აღარ აწარმოებს მათ სათადარიგო ნაწილებსაც.

საყურადღებოა ისიც, რომ 1981-1987 წლებში, როცა ეს სადგურები დაპროექტდა და ამუშავდა, ისინი განსაზღვრული სიხშირის დატვირთვაზე იყო გათვლილი. ცხადია, არ ითვალისწინებდა ქსელში მობილური, ფიჭური სატელეფონო სისტემების ჩართვას. ბოლო დროს საქართველოში მობილური სატელეფონო კომპანიების შემოსვლამ და მათი აბონენტების ქსელის გაფართოებამ არსებული სადგურები გადატვირთა. თუ თავის დროზე თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურებს დღეში 1300 გამოძახების მომსახურება შეეძლო და ნორმალური რეჟიმით მუშაობდა, დღეს დატვირთვა 10-ჯერ მაინც გაიზარდა და 13 000 სიგნალის გატარება უხდება. ცხადია ისიც, რომ სადგურები, რომლებსაც ერთდროულად 120 საუბრის გატარების უნარი აქვთ, 3-4-ჯერ გაზრდილ დატვირთვასაც ვერ უძლებს და ავტომატურად ითიშება. ხშირად ტექნიკა მწყობრიდანაც გამოდის.



# უხარისხო ელექტროენერგია ტელეფონებსაც აზიანებს

– არ მინდა ისე გამიგონ, – ამბობს სატელეფონო ქსელების მმართველი – თითქოს ჩვენთან მობილური კავშირგაბმულობის დანერგვის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ჯერ არსებული ქსელების მოდერნიზება იყო საჭირო, თუ ეს არ განხორციელდება, ჩვენ ცუდ დღეში ჩავვარდებით. შპს „ახალმა ქსელებმა“ საბურთალოსა და ისნის რაიონებში დეკადურ-ფიჭური სატელეფონო სადგურები უახლესი სისტემის აპარატურით შეცვალა, რომელიც მსოფლიოს თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ჩვენ გავითვალისწინეთ მოსახლეობის დღევანდელი სოციალური ყოფა და ძველი სადგურებიც ხელუხლებელი დავტოვეთ. ისინი ძველებურად მუშაობენ. ვისაც სურვილი აქვს, გადაიხდის 60 ლარს და გადაერთვება ახალ სადგურში. არ აქვს ამის საშუალება? უპრობლემოდ, ტრადიციულად ჩვენი სადგურით ისარგებლებს. ახალი სადგურების დამონტაჟებამ ამ რაიონებში საგრძნობლად განტვირთა ქსელები, ამოვისუნთქეთ. შევაკეთეთ სადგურები. დღეს იდეალური მდგომარეობა არ გვაქვს, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

**– დიდი ხანი არ არის, რაც სატელეფონო სადგური-78 დაიწვა. ათასობით აბონენტი გამოითიშა ქსელიდან. რამ გამოიწვია ხანძარი. როგორი პერსპექტივა ელით აქაურ აბონენტებს?**

– მეხანძრეების დასკვნით, ხანძარი ელექტროენერგიის ძაბვის ცვალებადობამ გამოიწვია. გარე განათების დროსელი აირია და „ატეესი“ მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან. დღეს ამ სადგურის აღდგენა შეუძლებელია. კავშირგაბმულობის სამინისტრო ამ პრობლემას მალე გადაწყვეტს. აქ თანამედროვე ტიპის სატელეფონო სადგური დაიდგმება და ყველა, ვისაც ჰქონდა ტელეფონი, ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გაუწევლად ჩაირთვება ქსელში.

**– საერთოდ როგორ მდგომარეობაშია თბილისის სატელეფონო ქსელების მეურნეობა?**

– თბილისის სატელეფონო ქსელების საბალანსო ღირებულება 50 მილიონ ლარს, ხოლო საკაბელო და საჰაერო ხაზების სიგრძე 1 000 კილომეტრს აჭარბებს. ეს ძირითადად ძველი სისტემაა, მაგრამ მაინც მთლიანი ქსელების მოდერნიზება აუცილებელია. დღეს, უხეშად რომ ვთქვათ, 300 000 აშშ დოლარი მაინც არის საჭირო ცენტრალური ელექტრონული სატელეფონო სადგურების მოსაწესრიგებლად.

ბოლო დროს ქალაქში ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა. დღე-ღამეში მთლიანად 300-400 ტელეფონი თუ ზიანდება. ეს, იმ ქსელისთვის, რომელიც 220 ათას ტელეფონის ნომერს ითავსებს, დიდი ციფრი არ არის. დაზიანების ხანგრძლივობა 10 დღეს არ აღემატება. საერთოდ კი ვცდილობთ დაზიანებული ტელეფონი იმავე თუ არა, მეორე დღეს მაინც აღვადგინოთ. დღეს თბილისის სატელეფონო ქსელების სამმართველო ცდილობს, ვისაც საშუალება აქვს და ფულის გადახდა შეუძლია, ტელეფონი უპრობლემოდ დაუდგას. ამას გარკვეულწილად ვახერხებთ კიდეც. პრობლემა ძირითადად ძველ სადგურებში გვაქვს.

შეუძლებელია არ ვთქვა, რომ დღევანდელი ნიხრით დედაქალაქის სატელეფონო ქსელებს ერთი ნომრის მომსახურება ოთხ ლარზე მეტი უჯდება. რეალურად კი აბონენტი მხოლოდ ერთ ლარს იხდის. ასე არსებობა ძნელია. ჩვენს საქმიანობაზე ძალიან ცუდად მოქმედებს უხარისხო ელექტროენერგიის მოწოდება და ხშირი გათიშვები. დენის ცვალებადობა აზიანებს მოწყობილობებს, რაც დიდ ზარალს გვაყენებს. მარაგნაწილების შოვნა ძალიან ძნელია, რადგან მოძველებული აპარატურის სათადარიგო მოწყობილობებს აღარავინ ამზადებს. სპეციალური შეკვეთის გახსნაა საჭირო, რაც კიდევ უფრო აძვირებს მათ თვითღირებულებას.

ჩვენს სისტემაში, თბილისის სატელეფონო ქსელების სამმართველოში 1500 კაცი მუშაობს. ეს ის ხალხია, რომელმაც ომის პერიოდში, შიმშილსა და გაჭირვებაში შეძლო იმ სიმდიდრის შენარჩუნება, რასაც სატელეფონო ქსელები ჰქვია.

დღეს ჩვენ ვცდილობთ იმ საშუალებებით, რაც გვაქვს, მაქსიმალურად მაღალ დონეზე მოვემსახუროთ ჩვენ აბონენტებს, თუ სხვა მომხმარებელს. აქვე მინდა იცოდეს საზოგადოებამ, რომ ჩვენ თუ არ ვწუწუნებთ და დახმარებას არავისგან ვითხოვთ, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს პრობლემები არ გვქონდეს, რამდენიც გინდათ, ისეთებიც, დაუყოვნებლივ რომ ითხოვს მოგვარებას, მაგრამ ვცდილობთ, სხვა არ შევაწუხოთ და წყნარად ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

**შოთა მაჭარაშვილი.**

## ტკივილი

# ვებრძოლოთ ომს, ვაშენოთ ეკონომიკა

ხშირად გაგვიგონია, ამ კაცს თავისი სიმდიდრე ვერ მოუხმარია და სხვის შაურზე უჭირავს თვალიო. ამ ფრაზის განზოგადება ზოგიერთ ქვეყანაზეც შეიძლება. ამას წინათ უცხოეთის პრესაში ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყნების სია გამოქვეყნდა. როგორ გგონიათ, ვინ მეწინავეობს? პირველ ადგილზე რუსეთი გახლავთ. ჰოდა, იმის მაგივრად, რომ ხალხმა თავის მიწა-წყალს მიხედოს, სადაც არნახული დოვლათია (მენდელეევის მთელ სისტემას მათ წიაღისეულში მოუყრია თავი), პირიქით, თითქოს საკუთარი ჭირიცა და ლხინიც დაივიწყნიათ და ერთთავად იმას ცდილობენ, მეზობელ პატარა ქვეყნებს რა გაუფუჭონ. სხვა რა შეიძლება ეწოდოს ქართულ-აფხაზურ წლობით გაჭიანურებულ პრობლემას, რომლის მოგვარებას საშველი არ დაადგა, პირიქით, ახალი პრობლემები და სისხლისღვრა მიემატა. ასეთ ვითარებაში მშობლიური მიწა-წყლიდან გამოძევებულთა გასაჭირი რომ უსაზღვროა და დროულად მისახედი, ყველა ხედავს და განიცდის, მით უმეტეს ისინი, ვისაც მათი დახმარება ხელეწიფებათ და შეუძლიათ. ესენი, უპირველესად, ჩვენი ქვეყნის ხერხემალი – მსხვილი გადამხდელები გახლავთ.

გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარემ თამაზ მაღლაკელიძემ, რომელმაც ზუგდიდში ლტოლვილებისათვის ძიძალი ჰუმანიტარული დახმარება, პირველადი მოთხოვნილების საგნები ჩაიტანა, თავისი კავშირის წევრებს, ცნობილ მეწარმეებს: თემურ ჭყონიას, მამუკა ხაზარაძეს, ლევან გაჩეჩილაძეს, თემურ ღოღობერიძეს, ჯუმბერ ჩოლობარდიას, გოგი თოფაძესა და სხვებს, აგრეთვე ჟურნალისტებს მოუთხრო იმ გასაჭირის შესახებ, რასაც ზუგდიდში მყოფი ლტოლვილები განიცდიან. ითქვა, რომ მთავრობა და ხელისუფლება ყველაფერს ღონობს, რათა დევნილებს მდგომარეობა შეუმსუბუქონ, მაგრამ გასაკეთებელი კვლავაც ბევრია.

ქვეყნის მსხვილმა გადამხდელებმა ამ შეხვედრაზე ერთხმად განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს და აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას მშვიდობიანი გზით ამჯობინებენ.

ცნობილმა ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა: იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა, უნდა გვყავდეს ძლიერი ჯარი, მობილური ჯარის ყოლა კი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზეა დამოკიდებული. თუ ეკონომიკას მოვაღონიერებთ, დოვლათს ვამრავლებთ, ეს კი პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგების გარანტია იქნება. ბატონმა თემურ ჭყონიამ მიუთითა იმ დადებით შედეგზე, რაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე „კოკა-კოლას" მცირე საწარმოების გახსნასა და ამოქმედებას შეიძლება მოჰყვეს. ლტოლვილთა დასაქმება კეთილ ნაყოფს გამოიღებს და სტიმულს მისცემთ მომავალ ცხოვრებაში. ლევან გაჩეჩილაძის და გოგი თოფაძის აზრით, ახლანდელი ომი დიდად შეუშლიდა ხელს უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას ჩვენი ქვეყნითა და რაცა გვაქვს, ისიც მიწასთან გასწორდებოდა. როგორც ამბობენ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, ალბათ, მეტი სიფხიზლე იყო საჭირო იმისათვის, რათა გალელთა დღევანდელი მდგომარეობა თავიდან აგვეშორებინა.

ბატონმა თამაზ მაღლაკელიძემ სტუმრებს გააცნო გადამხდელთა კავშირის განცხადების შინაარსი, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს ის აზრი, რომ აფხაზეთში ომს უეჭველად მოჰყვება ახალი მსხვერპლი ქართველებსა და აფხაზებს შორის, რაც კიდევ უფრო შორს გადასწევს სანუკვარ მიზანს – მშვიდობის დამყარებას რეგიონში. საომარ მოქმედებათა განახლება გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკაში წარმოქმნილი დადებითი ტენდენციების დამუხრუჭებას, უცხოელი ინვესტორების შეშფოთებასა და უკვე ხელმოწერილი შეთანხმებების, პროექტებისა თუ საქმიანი გარიგებების შეჩერებას ან შეწყვეტას.

გადამხდელები, მეწარმეები, ბიზნესმენები სრულიად მართებულად უჭერენ მხარს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. მოუწოდებენ პოლიტიკოსებს იბრძოლონ დევნილთა დაუყოვნებლივი და უპირობო დაბრუნებისათვის. მიაჩნიათ, რომ მყარი პოლიტიკური ვითარება ნორმალური მეწარმეობისა და სწორი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი წანამძღვარია.

**ლალი ძინძლაძე.**

## იპარავენ

# კურსს არ უღალატებენ

ელექტროენერგიის დამტაცებელთა წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმა და ერთგვარმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლმობიერმა დამოკიდებულებამ, რომელსაც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი ბოლო დრომდე იჩენდა მათ მიმართ, სამწუხაროდ, სათანადო უკუგება ვერ ჰპოვა. სწორედ ამ ფაქტმა აიძულა ისინი ენერგეტიკოსთა პროდუქციის დამტაცებელთა წინააღმდეგ ამჯერად უფრო მკაცრი ღონისძიებებისათვის მიემართათ.

ამ ბოლო ხანს, მათ მიერ „თელასის" წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული რეიდების შედეგად ბევრ ურჩ გადამხდელს, უნებართვო მომხმარებელს და დამრღვევს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს.

ამ შემთხვევაში ისინი ალტერნატივის წინაშე დგანან. მათ ან ვალი უნდა დაფარონ, ან თავიანთ საქმიანობაზე იძულებით, მაგრამ მაინც ხელი უნდა აიღონ. ეს უკანასკნელი კი მათ ნამდვილად ხელს არ აძლევთ.

„თელასთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი ნორმის ზევით 3,5-ჯერ მეტი ელექტროენერგიის მოხმარების ფაქტზე ამხილეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის" საკონდიტრო საწარმო (უფროსი კონსტანტინე ქეფხვაძე). ისინი აქამდე თავიანთ ნახელავ ნუგბართან ერთად ელექტროენერგიასაც „ტკბილად" მოიხმარდნენ და ამით პროდუქციის თვითღირებულებაც ალბათ უფრო იაფი უჯდებოდათ, მაგრამ...

მართალია, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვებული და გადაუხდელი თანხა ფრიად მძიმეა გადასახდელად სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციისათვის, მაგრამ თელასს არავითარი უფლება არა აქვს ამის გამო შეღავათების გაწევის. ასე რომ, ეს მომენტი ყველასთვის გასათვალისწინებელია.

შპს „ევრაზია სერვისის" კაფე-ბარის (დირექტორი ამირან გომშიაშვილი)შემოწმებამ 1370 ლარის დავალიანებასთან ერთად, ელექტროენერგიის მოხმარების თვალსაზრისითაც მრავალი დარღვევა გამოავლინა, რისთვისაც მისი კოლექტივი სათანადოდ დაისაჯა კიდეც (დენის მიწოდება შეუწყდათ), მაგრამ ამით მათ თავიანთი „სიკრიჟანკით" ზარალი რომ საგრძნობი მიადგებათ, ეს კი ფაქტია.

შედარებით მცირე დავალიანების – 543 და 267 ლარის გამო – დაისაჯნენ და ვალის დაფარვამდე საქმეს მოცდნენ ავეჯის სარესტავრაციო საამქროს (დირექტორი სოსო ჯეირანაშვილი) და შპს „საჩინოს" საზკვების ობიექტის (დირექტორი დ. პეტრიაშვილი) მუშა-მოსამსახურეები.

იმედია, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი აღებულ კურსს არ უღალატებს და დღეისათვის სისტემაში არსებულ ამ მტკივნეულ საკითხს ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთობლივი ძალისხმევით დადებითად გადაწყვეტს.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

## ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნული ვალუტების ოფიციალური კურსები აშშ დოლართან, გერმანულ მარკასთან და რუბლთან მიმართებაში

| ქვეყანა | ვალუტა | აშშ დოლარი | გერმანული მარკა | რუსული რუბლი | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | აზერბ. მანათი | 3857 | 2185.89 | 625.93 | 03.06 |
| სომხეთი | დრაჰმა | 503.11 | 284.5 | 81.6 | 07.06 |
| ბელორუსი | ბელორ. რუბლი | 35760 | 20101.18 | 5800 | 03.06 |
| საქართველო | ლარი | 1.347 | 0.7573 | 0.2185 | 05.06 |
| ყაზახეთი | სომი | 19.9209 | 11.3171 | 3.2352 | 03.06 |
| ყირგიზეთი | თენგე | 76.7 | 43.72 | 13 | 04.06 |
| ლატვია | ლატი | 0.597 | 0.336 | 0.9967 | 04.06 |
| ლიტვა | ლიტი | 4 | 2.2491 | 0.6489 | 05.06 |
| მოლდოვეთი* | ლეი | 4.733 | 2.6562 | 0.7662 | 03.06 |
| ტაჯიკეთი | ტაჯიკ. რუბლი | 754 | 427.5 | 113 | 03.06 |
| თურქმენეთი | თურქმ. მანათი | 5200 | 2950.35 | 844.43 | 03.06 |
| უზბეკეთი | სუმი | 87.76 | 49.89 | 14.25 | 03.06 |
| უკრაინა | გრივნა | 2.0575 | 1.165222 | 0.33374 | 03.06 |
| ესტონეთი | ესტ. კრონა | 14.27 | 8 | 2.31 | 03.06 |

## კვების მრეწველობა

# მიხეილ ჭკუასელი მხოლოდ ზვანის ჩაის მიირთმევდა

გურიის მხარეში ხარისხიანი ჩაის ფოთლის გადამუშავება პირველმა ოზურგეთის რაიონის ზვანის ექსპერიმენტულმა ფაბრიკამ დაიწყო. საწარმო სრული მზადყოფნით შეხვდა ახალ სეზონს – აპრილის დასაწყისიდან აქ ინტენსიურად მუშაობდნენ ტექნოლოგიური ხაზის იმ დონეზე გასამართავად, რაც უზრუნველყოფდა ფოთლის შეუფერხებლად მიღებასა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას.

– ყველა პირობა გვაქვს საიმისოდ, რომ კარგი პროდუქცია გამოვუშვათ, ფაბრიკაც გამართულად მუშაობს და ნედლეულსაც ხარისხიანს ვიღებთ, – ამბობს საწარმოს ახალგაზრდა ხელმძღვანელი, ქალბატონი ნანა ინარიძე. – დირექტორად 1994 წლის სექტემბრიდან ვმუშაობ. ამ პერიოდის დინამიკა ასეთია: 1995 წელს 75 ტონა ნედლეული მივიღეთ, 1996 წელს – 117 ტონა, 1997 წელს – 264 ტონა. კარგი პროდუქცია გამოვუშვით, ამიტომაც იგი მთლიანად რეალიზებულია. ახალ სეზონში შარშანდელთან შედარებით მისაღები ფოთლის გაორმაგებას ვაპირებთ.

ფაბრიკის ხელმძღვანელი მომავალს იმედით უყურებს. ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს – პლანტაციები, საიდანაც საწარმო ნედლეულს მიიღებს, ლამის ათწლიანი პაუზის შემდეგ პირველად დამუშავდა აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით. ზვანის ექსპერიმენტული ფაბრიკის ჩაის ფოთლის ჩამბარებლები მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი სუბსიდიის პროგრამაში მოხვდნენ. ეს კი 112 ჰექტარი ჩაის პლანტაციაა, რომელიც საგულდაგულოდ დაამუშავეს – დაიბარეს, გაიხსნეს, გაითოხნა, შეიტანეს 54 ტონა აზოტოვანი სასუქი. შესრულდა 15 ათასი ლარის სამუშაოები. მეჩაიეებს ჯერჯერობით მხოლოდ 4 ათასი ლარი აქვთ მიღებული. როგორც ოზურგეთის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოში გვაცნობეს, დარჩენილ თანხასაც უახლოეს პერიოდში მიიღებენ.

– ერთადერთი, რამაც შეიძლება შეგვაფერხოს, – ამბობს ფაბრიკის დირექტორი, – გამოყოფილი თანხის დაგვიანება იქნება, რადგან მეჩაიეები უნდობლობას გამოგვიცხადებენ. ჩვენ კი კარგი სტარტის სურვილი გვაქვს. ფოთოლიც კარგად არის შემოსული. მოკრეფილი ჩაის ფოთლის ღირებულებაც შარშანდელზე მეტია (კილოგრამში 15-20 თეთრი, მოკრეფილი ფოთლის ხარისხის მიხედვით).

წლეულს ზვანის ექსპერიმენტული ფაბრიკა 500 ტონაზე მეტ ფოთოლს მიიღებს და უმაღლესი ხარისხის ელიტარულ ჩაის გამოუშვებს.

კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი: გურიაში გუბერნატორობისას საქართველოს ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი მხოლოდ ზვანის ჩაის ფაბრიკის პროდუქციას მიირთმევდა . და არა მხოლოდ სახელწოდების გამო – მინისტრმა კარგად უწყის კარგი ჩაის გემოც და ფასიც. უკეთეს რეკლამას კაცი ვერ ინატრებს!

**თამაზ ხარაიშვილი,**
**„სრ" საკ. კორ.**

## ღიმილის დოზა




გლდანში პურის ფასის დაკლებასთან დაკავშირებით ტბაზე თევზაობა ფასიანი გახდა. როგორც თბილისის თევზის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარემ იური ვეშაპიძემ სააგენტო „თეას" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, თუ პურის ფასების დაცემა მთელ ქალაქში გავრცელდა, თბილისის ზღვაზე, ლისისა და კუს ტბებზეც თევზაობა საგადასახადო კოდექსის სრული შესაბამისობით დაიბეგრება.

* * *

– რა ღირს თევზაობა?

– ერთი საათით – ლარი და 15 თეთრი, 3 საათით – 5 ლარი.

– დღეც უნდა გადავიხადო? – გააჩნია, რას დაიჭერ. ლორჯო, მაგალითად, დღგსგან გათავისუფლებულია.

– რომ ვერაფერი დავიჭირო?

– მაშინ ზარალს საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მასთან კონტრაქტი გვაქვს დადებული) აგინაზღაურებს.

**სარედაქციო საბჭო:**

თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მაღლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი).



# ძროხამ თუ გაიწია...

*როგორც ამბობენ, მამლების ჩხუბი არასდროს არ მთავრდება სიკვდილით, მაგრამ მტრისას, როდესაც ქათმები, საერთოდ მდედრები ჩხუბობენ. იშვიათი სანახავია ძროხების ტრადიციული ორთაბრძოლები, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა შვეიცარიის ალპებში. ამ „არმაგედონთან“ შედარებით, ესპანური ხარის კორიდა ტორეადორის გაუთავებელი დევნით, ბავშური თამაშია. ამჯერად, 10000 მაყურებლის თვალწინ ძროხა სურიმ რქაზე წამოიცვა ყველა მეტოქე.*

## დარდს სპილოს გულიც კი ვერ უძლებს

ამერიკის გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ მწუხარებით იუწყება, რომ შვეიცარიის ქალაქ ბაზელის ზოოპარკში გარდაიცვალა ტყვეობაში მცხოვრები უხუცესი ბინადარი 49 წლის აფრიკული დედალი სპილო, სახელად ბეირა. იგი უდიდესმა დეპრესიამ მოიცვა მას შემდეგ, რაც დაეღუპა ახალგაზრდა მეგობარი, მამრი სპილო კენი, რომელიც 39 წლისა აღესრულა. დამწუხრებული დედალი სპილო უბედურებას ვერ მოერია და ცოტა ხნის შემდეგ თან გაჰყვა გულისსწორს. ექიმებმა დაადგინეს, რომ უბედური დედალი სპილო დაიღუპა გულის შეტევის შედეგად, რამაც სუნთქვის მეტისმეტი შეკავება გამოიწვია.

## სოლიდარობა გაფიცვაშიც აუცილებელია

ფრანგული „ლიბერასიონი“ სარედაქციო სტატიას უძღვნის „ერ-ფრანსის“ პილოტების გაფიცვას. როგორც გაზეთი წერს, პროფესიული სიამაყე, ტრადიციები, კორპორაციული სოლიდარობა, რისკი და ადამიანთა სიცოცხლისათვის პასუხისმგებლობა – ყოველივე ეს განუყოფელი ნაწილია „მფრინავის“ მცნებისა. და გაფიცულთა მოთხოვნების ხელაღებით დაგმობა მხოლოდ ზერელობას მოწმობს. რაოდენ დიდიც უნდა იყოს მყიდველობითი უნარი, მისი შემცირება არავისთვის არ არის სასიხარულო. ასე რომ, ნუ დავაბრალებთ ყველაფერს პილოტებს. მაგრამ, საზოგადოებრიობას ძალზე აღიზიანებს სტილი და მეთოდები, აგრეთვე საკუთარი მიზნების მისაღწევად შერჩეული დრო. ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი უტიფრად მოქმედებს ძალის პოზიციიდან და მას სულაც არ აფიქრებს ავიაკომპანიის სხვა მოსამსახურეთა მდგომარეობა, რომლებიც გაცილებით ნაკლებს იღებენ, მაგრამ თანაბარი პროპორციით იზიარებენ კონკურენტუნარიანობისათვის ბრძოლის ხარჯებს. ისინი არც იმას უფიქრდებიან, რომ მათს ხელფასს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება კონკურენტი კომპანიების შრომის ანაზღაურების დონეს, სახელმწიფო სახსრებით აფინანსებენ. ერთი სიტყვით, აქ ზედმეტია ლაპარაკი რაიმე კოლექტიურ მორალზე. პროტესტი გასაგებია, გაცილებით ნაკლებად არის გასაგები არჩეული საშუალებანი. წელიწადი, რომელიც უხვმოსავლიანი უნდა გამხდარიყო საფრანგეთში ფეხბურთის მსოფლიო თასის გათამაშების გამო, საბოლოოდ ზარალით დამთავრდება და მთელი სექტორი საჰაერო ორმოში ამოჰყოფს თავს. და მაინც, გულისწყრომა კონფრონტაციას წარმოშობს, ხოლო საღი აზრი მოგვიწოდებს, ვეძებოთ თანხმობა, დაასკვნის „ლიბერასიონი“.

## მეფეები ერთმანეთს სოლიდარობენ

ევროპაში მთავრდება იაპონიის იმპერატორის აკიჰიტოსა და მისი მეუღლის მიტიკოს ტურნე, წერს ფრანს პრესის მიმომხილველი. ორშაბათს სამეფო წყვილი პორტუგალიაში ჩავიდა. სხვათა შორის, სწორედ სამი პორტუგალიელი მეზღვაური გახდა ევროპელთაგან პირველი, ვინც 1543 წელს შედგა ფეხი იაპონიის მიწა-წყალზე. ასე გაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი ქვეყანაში, რომელსაც ფეოდალური შინაომები ღრღნიდა. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ კი აქ მოვიდნენ პორტუგალიელი მისიონერები. ვიზიტის მომდევნო ეტაპი იქნება ერთკვირიანი ყოფნა ლონდონში. დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე იმპერატორს გადასცემს ქვეყნის უმაღლეს ჯილდოს – წვივსაკრავის ორდენს. ამ მოვლენამ შეიძლება გუნება წაუხდინოს მეორე მსოფლიო ომის ბრიტანელ ვეტერანებს, რომელთაგან ბევრმა ხელისუფალნი გააფრთხილა, რომ პროტესტის ნიშნად უარს იტყვიან საკუთარ ჯილდოებზე. ვეტერანები თანამემამულეებს მოუწოდებენ, ზურგი შეაქციონ იმპერატორის კორტეჟს, როდესაც იგი ლონდონის ქუჩებში ჩაივლის. ვეტერანთა გულისწყრომას იწვევს ის ფაქტი, რომ იაპონიას დღემდე არ მოუხდია ოფიციალური ბოდიში ომის წლებში ტყვეებთან არაადამიანური მოპყრობისათვის, როგორც ეს გერმანიამ გააკეთა.

# ბედი მოსდით და...




*როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკაში გათამაშდა ლატარიების ისტორიაში ყველაზე დიდი პრიზი. „პაუერბოლის“ ლატარიის ბილეთებზე კილომეტრიანი რიგები იდგა. ხელმოკლე იტალიელმა ემიგრანტებმა შირლი და ფრენკ კაპაჩებმა გადაწყვიტეს, არ გაერისკათ და სულ ერთი ბილეთი იყიდეს. და მოიგეს! ლატარიის პირობებისამებრ, გამარჯვებულს შეეძლო აეღო მთელი პრიზი, მაგრამ – განვადებით, ანდა, აეღო გაცილებით უფრო ნაკლები თანხა, სამაგიეროდ – ერთბაშად. კაპაჩებმა ერთბაშად აიღეს 104 მილიონ 300 ათასი დოლარი! რა თქმა უნდა, მეტი უნდოდათ, მაგრამ კაპაჩებმა გადაწყვიტეს, არ გაერისკათ.*

## საბედისწერო შეჯვარება

საკმაოდ უჩვეულო მკვლელობის შესახებ იუწყება ამერიკული „იუ-ეს ეი“. მექსიკის ჩრდილოეთში ფუტკრების მთელი გუნდი დაესხა თავს 39 წლის ხუან გომესს. მწერების მსხვერპლი გულწასული მიიყვანეს ერთ-ერთ ადგილობრივ ჰოსპიტალში, სადაც იგი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა გულის შეტევით. ჯერჯერობით გამოცანად რჩება, რა გახდა მწერების ესოდენ აგრესიული ქცევის მიზეზი. სპეციალისტთა აზრით, მკვლელი ფუტკრები არიან იმ ველური აფრიკული ფუტკრების ნათესავები, რომლებიც ბრაზილიაში ჩამოიყვანეს ჯერ კიდევ 1957 წელს ადგილობრივ ჯიშებთან შესაჯვარებლად. ახლა კი, აფრიკელი „კაციჭამიების“ შთამომავალნი უკვე მექსიკელებსაც დაესივნენ.

## კომუნისტებს 4-ჯერ მეტი ხალხი გაუწყვეტიათ, ვიდრე ფაშისტებს

ფრანგ ისტორიკოსთა კოლექტივმა გამოუშვა ეგრეთ წოდებული „კომუნიზმის შავი წიგნი“, რომელშიც ასახულია კომუნისტური რეჟიმის დანაშაულობანი“, წერს გერმანული „ვოხე“. ავტორთა შეფასებით, სხვადასხვა ქვეყნებში კომუნისტური მმართველობის მსხვერპლთა საერთო რაოდენობამ 100 მილიონს გადააჭარბა. მაშინ, როდესაც ნაციონალ-სოციალიზმის მსხვერპლთა რიცხვი 25 მილიონს შეადგენს. წიგნი გახდა საგანი გააფთრებული კამათისა იმის გამო, შეიძლება თუ არა გაივლოს პარალელი ნაციონალ-სოციალიზმსა და საბჭოური ყაიდის სხვადასხვა ფორმის სოციალიზმს შორის. საქმე ის არის, რომ გამომცემელმა სტეფან კულტუამ თავის წინათქმაში არა მარტო შეადარა კომუნისტური რეჟიმებისა და ნაცისტების დანაშაულობანი, არამედ დაინახა კიდეც მათ შორის გარკვეული ურთიერთკავშირი. ამ წინასიტყვაობის თანახმად, მეთოდები, რომლებსაც ლენინი, სტალინი და მათი მიმდევრები იყენებდნენ, არათუ ჰგავდა ნაცისტურს, არამედ ხშირად გაცილებით უსწრებდა მათ დროის მიხედვით. თვით გაზეთის აზრით, ასეთი შესწავლის წყალობით, წიგნი წარმოადგენს მორიგ ცდას, კომუნიზმის დანაშაულობათა მომიზეზებით დააკნინოს ნაცისტთა დანაშაულობანი.

# მსოფლიოში პირველი კომპაქტ-დისკი



*ავსტრალიელმა მეცნიერმა ენდრიუ პარკერმა დაიჭირა პეპელა, რომელიც სწავლულებს 500 მილიონი წლის წინათ გადაშენებული ეგონათ. ფარვანას პარკერმა ფრთებზე აღმოუჩინა ჰოლოგრამა, რომელიც იმდენად ჰგავს კომპაქტ-დისკების ლაზერულ ნახჭს, რომ მკვლევარმა გადაწყვიტა, შექმნას სპეციალური ფირსაკრავი, რათა ამოიკითხოს უნიკალური ინფორმაცია და დაადგინოს, მაინც, რამ გამოიწვია საბედისწერო კემბრიული აფეთქება, რომლის შედეგადაც უამრავი სახეობის ცხოველები ამოწყდნენ.*

## სმა და ქალები – მზვერავის მტრები

კანადის გაზეთი „სოლეი“ იუწყება კანადის დაზვერვის ყოფილი თანამშრომლის „მონანიების“ შესახებ. მისი თქმით, კანადის სამეფო ჟანდარმერიის აწ განსვენებული ოფიცერი ჟილ ბრიუნე საბჭოთა სუკ-ში მუშაობდა და თავისი სამსახურისათვის 700 ათასი დოლარი მიიღო. იგი უშკომის „თხუნელა“ გახდა ჯერ კიდევ 1968 წელს და საბჭოთა კავშირს მიჰყიდა მრავალი ცნობა, რომელიც ეხებოდა კანადას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს, ხოლო მოღვაწეობა დაიწყო საბჭოთა კავშირის ოტავის საელჩოში დაყენებული მიყურადების სისტემის შესახებ ინფორმაციის გადაცემით. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ბატონი ბრიუნე დაღუპა სმისა და ქალების სიყვარულმა.

## მაისის მომაკვდინებელი სიცხე

ინდოეთის „ტაიმსი“ იუწყება ქვეყანაში უკანასკნელი პაპანაქების შედეგად დაღუპულთა რეალურ რაოდენობას. ბოლო მონაცემებით, დაიღუპა ხუთასამდე ინდოელი. რამდენიმე ათასი კაცია ჰოსპიტალიზებული მზისა და სიცხის დაკვრის დიაგნოზით. ამის მიზეზი გახდა ტემპერატურის მკვეთრი მომატება. ძირითადად დაიღუპნენ მოხუცები და ბავშვები, რომელთა ორგანიზმი მეტისმეტი გაუწყლოვანების გამო ვერ ებრძოდა სიცხეს. სულ ბოლოს ასეთი პაპანაქება ინდოეთში 54-წლისწინანდელ მაისში აღინიშნა. მართალია, მაშინ მსხვერპლთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, წერს გაზეთი.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
**არჩილ მანჯგალაძე.**

რეალობა

# ნადირობა ხის თოფით

(მეოთხე გვერდიდან)

აღნიშნული სტატიის დასაწყისშივე ირკვევა, რომ ექსპერტიზა ჩატარებულია „დამოუკიდებელი გამოძიების მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე“. სამწუხაროდ, სტატიის ავტორი არ მიგვითითებს იმაზე, თუ ვის მიერ იქნა ჩატარებული „დამოუკიდებელი გამოძიება“ და რამდენად სრულყოფილი და ობიექტური იყო ის. გამოძიების პროცესში, როგორც ცნობილია, უნდა „დაიკითხონ“ (ზრდილობის გულისთვის მაინც) „ეჭვმიტანილები“, ანუ სტატიაში მოხსენიებული „კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამდებობის პირები“. სტატიის ავტორს მათი „ახსნა-განმარტებები“ ხელთ რომ ჰქონოდა, შესაძლებელია, „სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნა“ სხვანაირი ყოფილიყო. „გამომძიებლ(ებ)ის“ მიერ მოპოვებული მასალები, ალბათ, შედგენილია სამეწარმეო რეესტრისა და „ყურმოკრულ-გაგონილის“ საფუძველზე.

რაც შეეხება საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის ფრიდონ ინჯიასადმი წაყენებულ ბრალდებებს, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კობა დავითაშვილი ამ შემთხვევაში არის ექსპერტი და არა პროკურორი, ჩვენ მაინც შევეცდებით ვუპასუხოთ მას შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით.

თურმე ბატონი ფრიდონ ინჯია არღვევს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და, კერძოდ, ამ კანონის მე-3 თავით (მუხლი 13) გათვალისწინებულ პირობებს. თუმცა არსებობს ერთი გარემოება, რომელიც ბატონმა ექსპერტმა ვერ გაითვალისწინა და ამის გამო აღნიშნული კანონის მე-3 თავის საფუძველზე განვითარებული მოსაზრებები ინტერესმოკლებული აღმოჩნდა.

საქმე ის არის, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „ამ კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ თანამდებობის პირზე (მისი ოჯახის წევრზე), რომლის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხსაც აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია, ან ორგანული კანონი“. როგორც ცნობილია, მინისტრის, როგორც მთავრობის წევრის, შეუთავსებლობის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლი. ხოლო ის, რომ მინისტრი არის მთავრობის წევრი, დადგენილია „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლით და ამდენად „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული შეზღუდვები (კობა დავითაშვილის მთავარი არგუმენტი) როგორც კავშირგაბმულობისა და ფოსტის, ასევე სხვა მინისტრებზე არ ვრცელდება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლის მიხედვით „მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს, ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას სხვა რაიმე საქმიანობიდან“. როგორც ექსპერტი აღნიშნავს, ბატონი ფრიდონ ინჯია ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, რადგან ფლობს ს.ს. „ეგრისის“ აქციებს“. უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა, თუ რის მიხედვით დაასკვნა ბატონმა კობამ ის, რომ ფრიდონ ინჯია ფლობს სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციებს. მას ასეთი ინფორმაცია, ყოველ შემთხვევაში, კანონიერი გზით, „ეგრისის“ საზოგადოების წიგნიდან არ მოუპოვებია, მით უმეტეს, რომ „ეგრისის“ აქციები გაცემულია სააქციო ბარათების სახით და მათი გასხვისება შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს ინდოსამენტის მეშვეობით, ხოლო პარტნიორის შეცვლა სააქციო საზოგადოებებში არ მოითხოვს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.6 მუხლი). ბატონი ფრიდონ ინჯია რომც ფლობდეს „ეგრისის“ აქციათა პაკეტს, ეს მაინც არ იქნებოდა კონსტიტუციის დარღვევა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1.1 მუხლის მიხედვით „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“. როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში აქციების ფლობა არაფრით არ ჯდება. აქციებთან დაკავშირებული ფიზიკური პირის საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ფიზიკური პირი საფონდო ბირჟის მეშვეობით, ან მის გარეშე ახორციელებს არაერთჯერად, დამოუკიდებელ და ორგანიზებულ საქმიანობას მოგების მიღების მიზნით, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, დაკავებულია აქციების ყიდვა-გაყიდვით. ხოლო, როგორც ცნობილია, ფრიდონ ინჯია ასეთ საქმიანობაში შემჩნეული არ ყოფილა. პირის მიერ რაიმე უფლების, ან ქონების ფლობა თავისთავად არ შეიძლება იყოს სამეწარმეო საქმიანობა.

ექსპერტის მონაცემებით, რომლებიც, ალბათ, ეყრდნობა სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებს, ფრიდონ ინჯიას „უკავია თანამდებობა საწარმო „ეგრისში“, არის ამ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე“. ბატონ კობას ისევ მოუვიდა „პატარა შეცდომა“ სათანადო ინფორმაციის არქონის გამო და იმ ვარაუდით, რომ სამეწარმეო რეესტრის მონაცემები ყოველთვის სწორია. მართლაც, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.6 მუხლის მიხედვით 5.4 მუხლითა და 5.2 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება, ასევე, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ“. აქედან გამომდინარე, არსებობს რეგისტრაციის სისწორის ვარაუდი, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ასე „მწვავედ“ დასმულ საკითხს მარტივად ხსნის, კერძოდ, ბატონ ფრიდონ ინჯიას არ უკავია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, რაზეც მეტყველებს „ეგრისის“ 1995 წლის 12 ნოემბრის აქციონერთა კრების ოქმი №6, რომელიც შედგენილია ქ. თბილისის მე-5 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის ციური ბერიძის მიერ და რომლის მიხედვითაც ფრიდონ ინჯია გათავისუფლებულია „ეგრისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო ის ფაქტი, რომ აქციონერთა კრების გადაწყვეტილება არ აისახა სამეწარმეო რეესტრში, აიხსნება იმით, რომ კანონის მიხედვით ამის აუცილებლობა არ არსებობდა. მხოლოდ 1996 წლის 13 დეკემბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ გახდა აუცილებელი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შესახებ მონაცემების ცვლილებების რეგისტრაცია, რადგან მხოლოდ კანონში შეტანილი აღნიშნული ცვლილების შემდეგ გახდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მონაცემები „რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტები“. ეს მონაცემები „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5. 4. 3 მუხლის „გ“ პუნქტს დაემატა 1996 წლის 13 დეკემბრის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე. კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილება საჭიროებს შესაბამისი მონაცემების ცვლილებას სამეწარმეო რეესტრში, ვრცელდება მხოლოდ 1996 წლის დეკემბრის შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხოლო ფრიდონ ინჯია „ეგრისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანამდებობიდან გათავისუფლდა 1995 წლის ნოემბერში. ამიტომ აქციონერთა კრების გადაწყვეტილებას ფრიდონ ინჯიას თანამდებობიდან (მინისტრის არა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის) გათავისუფლების შესახებ სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის გარეშეც აქვს იურიდიული ძალა.

ბატონი დავითაშვილი ბრალად დებს ბატონ ფრიდონს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, როდესაც მიუთითებს, რომ შპს „ჯეოკომის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულების მიხედვით ფრიდონ ინჯია როგორც კავშირგაბმულობის მინისტრი აძლევს კომერციულ სტრუქტურას ექსკლუზიურ უფლებას. ჯერ საერთოდ გაუგებარია, რა დარღვევაზეა საუბარი. არც ერთი იმ დროისათვის არსებული ნორმატიული დოკუმენტი არ მიუთითებს ექსკლუზიური უფლების მიცემის შეზღუდვაზე, ბატონ კობას მიერ მოყვანილი „კავშირგაბმულობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი კი, მითუმეტეს, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული კანონი მიღებული იქნა 1994 წლის 12 ოქტომბერს, მაშინ, როცა ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1994 წლის 24 მარტს.

უფრო მეტიც, „კავშირგაბმულობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი აღნიშნულ თემას საერთოდ არ ეხება. ექსკლუზიური უფლების მიცემა რომელიმე იურიდიული პირისთვის რომც იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტის – „თანამდებობის პირის მიერ ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენა, რომელიც აშკარად სცილდება მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს“ – არსებობა არ არის საკმარისი საფუძველი სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის არსებობისა, რადგან 187-ე მუხლი შეიცავს იმ აუცილებელ პირობას, რომლის დადგომის გარეშეც პირის ქმედება არ ითვლება დანაშაულად. კერძოდ, „თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“, ანუ თუ არ არსებობს სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი, პირის ქმედება ვერ კვალიფიცირდება სისხლის სამართლის დანაშაულად. ბატონმა ექსპერტმა უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული დანაშაული განეკუთვნება ისეთ დანაშაულთა რიცხვს, რომელთათვის აუცილებელი პირობაა შედეგის დადგენა. მან თავის სტატიაში მინიშნებაც კი არ გააკეთა იმაზე, თუ ვისი „უფლებები და კანონიერი ინტერესები“ დაირღვა „მინისტრის უფლებამოსილების გადამეტების“ შედეგად.

ბატონი კობა ფრიდონ ინჯიას ბრალებს 186-ე მუხლით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას და აღნიშნულს ასაბუთებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით“. ის, დაარღვია თუ არა ფრიდონ ინჯიამ კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, ზემოთ უკვე ითქვა და ცხადია, რომ აღნიშნული ბრალდება, რომელიც აგებულია არასწორ ფაქტებსა და კანონმდებლობის არასწორ ინტერპრეტაციაზე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

სტატიის ავტორი ერთი თემიდან მოულოდნელად გადადის მეორე თემაზე და აღნიშნავს, რომ, თურმე კავშირგაბმულობის მინისტრის ძმა – დავით ინჯია – არის „ეგრისის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ამავე დროს საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და თურმე ამ ორ თანამდებობაზე ერთად ყოფნა არ შეიძლება. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით საკითხის შინაარსსა და არ შევუდგებით ამ მონაცემების სისწორის გარკვევას. ჩვენ უბრალოდ გვაინტერესებს რა შუაშია „კავშირგაბმულობის სფეროში არსებულ კანონდარღვევებთან“ პარლამენტის დეპუტატი. თუ ბატონ კობას მიაჩნია, რომ დავით ინჯიას მიერ ჩადენილია კანონდარღვევები და ექსპერტმა იცის, რომ იგი არის პარლამენტის წევრი, მაშინ უმჯობესი იქნებოდა თავისი „სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნისათვის“ დაერქმია „კავშირგაბმულობის და პარლამენტის სფეროში არსებულ კანონდარღვევათა დამოუკიდებელი სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნა“.

ახლა რაც შეეხება კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ სამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნებას. არსებული „სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნის“ საფუძველზე წარმოგიდგენთ ამ საკითხზე ექსპერტის ლოგიკური აზროვნების ჯაჭვს და შევეცდებით მის გაწყვეტას: ბატონი კობას აზრით, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო არის სამეწარმეო იურიდიული პირების დამფუძნებელი; „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით ასეთი იურიდიული პირის დაფუძნება შეუძლია ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს: სამოქალაქო კოდექსის მიხედვით იურიდიული პირი არის სახელმწიფო და არა მისი რომელიმე ორგანო; ხოლო სახელმწიფოს სახელით გამოდის მისი ის ორგანო, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ესა თუ ის საქმიანობა; კომერციული იურიდიული პირების დაფუძნება კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს ფუნქციას არ წარმოადგენს; ყოველივე აქედან გამომდინარე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს არა აქვს უფლება დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი, მთელ ამ ლოგიკურ ჯაჭვში სამოქალაქო კოდექსის, „კავშირგაბმულობის შესახებ“ კანონის და 1998 წლის 6 თებერვლის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებულების მოხსენიება ჰგავს „მცდელობას უვარგისი საშუალებით“.

ამ ტერმინის მნიშვნელობა რომ ავხსნათ, მოვიყვანთ მაგალითს: ერთ პირს სურს მეორე პირის მკვლელობა, წამოავლო ხის თოფს ხელი, რომელიც მას ნამდვილი ეგონა და „გაისროლა“. თოფი არ გავარდა... დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ განსახილველ თემას. საქმე ის არის, რომ 1998 წლის 6 თებერვლის შემდეგ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს არანაირი სამეწარმეო იურიდიული პირი არ დაუფუძნებია და შესაბამისად, არ დაურღვევია არც „კავშირგაბმულობის შესახებ“ კანონი და არც პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებულება. რაც შეეხება სამინისტროს ახალი დებულების დამტკიცებამდე სამინისტროს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, ეს სხვა საუბრის თემაა და ექსპერტს დაჭირდება სხვა ლოგიკური და სამართლებრივი არგუმენტების მოშველიება, რათა დაამტკიცოს მათი დაფუძნების უკანონობა და უმჯობესი იქნება, მან ეს გააკეთოს სასამართლო პროცესზე. ჩვენის მხრივ, გამოვიჩენთ კეთილნებას და ბატონ ექსპერტს მივაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 22 ივლისის № 476 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებულების 2.9 პუნქტის მიხედვით კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა „კავშირგაბმულობის და ფოსტის სისტემის ორგანიზაციათა ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციათა შექმნა დადგენილი წესით“.

ექსპერტი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ნორმატიული აქტებით დადგენილია იურიდიულ პირთა თანასწორობის პრინციპი და ამ პრინციპს ეწინააღმდეგება სამინისტროს მიერ ისეთი იურიდიული პირების ლიცენზირება, რომელთა დამფუძნებელია იგივე სამინისტრო. ამას, რა თქმა უნდა, შეიძლება დაეთანხმო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხს ობიექტურად მივუდგებით. ბატონ კობას რატომღაც ავიწყდება, რომ იურიდიული პირი არის სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი მონაწილე და მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მისი დამფუძნებელი, იურიდიულმა პირმა, რომელსაც საქმიანობისათვის სჭირდება ლიცენზია, ეს ლიცენზია უნდა აიღოს. ეს არის აქსიომა და ამას მტკიცება არ სჭირდება. დასამტკიცებელი არის ის, დაარღვია თუ არა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები და ამით ჩააყენა თუ არა მან რომელიმე ორგანიზაცია არათანაბარ მდგომარეობაში. აი, ამას კი ბატონი ექსპერტი რატომღაც არ აკეთებს. ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი სახის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხებათ სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც მოხსენიებულნი არიან სტატიაში, გაცნობებთ, რომ არც ერთი მათგანი არ ფლობს სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციებს და არ არიან მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამდენად მათი მხრიდან არანაირი ფაქტი კანონდარღვევისა არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ უსაფუძლოდ მიგვაჩნია ექსპერტ ბატონ კობა დავითაშვილის დასკვნა და მზად ვართ დავიცვათ ჩვენი მარწმუნებლის ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში.

**P. S. აღნიშნული დასკვნა შემოკლებულია, მომზადებულია საგაზეთო პუბლიკაციისათვის და, ამდენად, მისი მოცულობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია საგაზეთო პუბლიკაციისათვის წაყენებული მოთხოვნები.**

*კავშირგაბმულობის სამინისტროს ინტერესების დამცველი იურიდიული კომპანია „ბიზნესსერვისი“.*

**დავით ლანჩავა,**
გენერალური დირექტორი.

იუბილე

ცნობილ პოეტს, ვაჟა-ფშაველასა და შალვა დადიანის პრემიების ლაურეატს გიორგი გიგაურს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.
პოეტმა ჭაბუკობიდანვე ისაგზლა ლექსი და დღესაც მუხლჩაუხრელად მისდევს შემოქმედებით ბილიკებს. მისი ყოველი სტრიქონი გამთბარია მამულისა და მშობელი ხალხის სიყვარულით.
ვულოცავთ ბატონ გიორგის მნიშვნელოვან თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ცხოვრებასა და შემოქმედებაში.



# კვლავაც — იმედის უღელტეხილით

## ღია ბარათი 70 წლის გიორგი გიგაურს

რამდენადაც მეგობარ პოეტზე მიხდება ამ ბარათის დაწერა, იმდენადვე შეიძლება ტენდენციური ვიყო: მაგრამ მაინც, ზოგიერთ მომენტს გამოვარჩევ მისი შემოქმედებიდან, მას თავისებურ თავისთავადობას რომ ანიჭებს და ამძაფრებს მისადმი მკითხველის დამოკიდებულებას, პოეზია ხომ პოეტის ბიოგრაფიის თანამდევია, და ამიტომაც, ჩვენი იუბილარი ის შემოქმედია, რომლის ბიოგრაფიაც სავსეა ადამიანური ვნებათა ღელვითა და გარდასახვათა პოეტურობით, სიძნელეებთან პირისპირ დგომით, თავგადასავლებითა და ხილვათა მრავალფეროვნებით. იგი მოვიდა იმ გარემოდან, სადაც უცნობია მრავალი ბოროტება და, სადაც ადამიანურ ღირსებათა დაფასების თავისი ტრადიციები აქვს. სწორედ ამგვარ ცხოვრებისეულ მძაფრ ურთიერთობათა გარემოში გამოიკვეთა მისი მეობა. პოეტი თავისი სულის ფერადებს ძერწავს, თავის გარემოს ხატავს, მას სჯერა, უღალატო გულისა და სჯერა ადამიანებისა, ვისთანაც ერთად მოუწია ეზიდა ტვირთი ცხოვრებისა.

დაცარიელდა ჩვენი მთები და ეს საქვეყნო უბედურება მძიმე ლოდივით აწევს პოეტს გულზე. და განა მარტო მას?... მასთან ერთად ჩვენ ყველას. ყველას გვაწუხებს ამ ორმოციოდე წლის წინათ ჩვენი უნიჭო, წინგაუხედავი ხელმძღვანელების მიერ დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომა, – მთების მოსახლეობის იძულებითი მიგრაცია. სწორედ მთების კოლორიტი, ბუნება და მისი ადამიანები, ჭარბად არის წარმოდგენილი ჩვენი ძმისა და მეგობრის ლექსებში. მას არ უძებნია ახალი პოეტური მოდერნისტული მოდელები, იგი თავიდანვე გაჰყვა ტრადიციულ, ნაცად გზას.

მისმა პოეზიამ ბოლო ხანს შეიძინა ახალი თვისება, – მასშტაბურობა და კონკრეტულობა, თემასთან მეტი სიახლოვე. მჯერა, რომ იმედის უღელტეხილით, როგორც თვითონ აქვს ჩაფიქრებული, თამამად გაუყვება იმ ალმართებს, სადაც მისი წინაპრების სათვალთვალოა, სადაც მისი გული და გონება მიისწრაფვის.

გიორგი გიგაური სწორედ იმ მაღალი მთების შვილია, საიდანაც წყაროებად დაბადებული არაგვი და იორი იწყებენ დენას. ხევსურეთის ფრიალოების გარემოცვაში გაიარა მისმა ახალგაზრდობამ, ივრის ნაკურების დაუოკებელ ქროლვაში, მიუვალ ციცაბოების სიმკვდროვესა და სიანკარეში, ცხრაკარისა და იხინჭას საოცარ იდუმალებასა და მათ წარსულში ყალიბდებოდა მისი მეობა. ეს ბუნების საოცრებანი, თითქოს უნდა თრგუნავდნენ ადამიანთა შესაძლებლობებს, მაგრამ ამასთანავე თავისი მედიდურობით სამარადისოდ იმკვიდრებენ პოეტის სულში სამკვიდრებელს და სათქმელს ამკვეთრებენ... შემთხვევითი არც ის არის, რომ მთებმა თავისი დიადი წიაღიდან ქართულ პოეტურ სამყაროში ისეთი ძვირფასი სახელები ააელვარა, როგორიცაა ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, მირზა გელოვანი, გაბრიელ ჯაბუშანური, ადამ ბოლქვაძე, სხვები და სხვები.

პოეტმა ჭკვად იგუმა ჩვენი თანამედროვეობის სიმძიმე და სიავენი, მიიწურა სიჭაბუკის წლები და გამოჩნდა ბევრი მაღალი უღელტეხილისა, – 70, ჩვენ ერთ დროს მოგვიწია ცხოვრება, რაც შეგვეძლო ვქიმაღლით ჭაპანს, მარტო კი არ მოვდიოდით, თან მოგვქონდა წარსულიც, – ტკივილიც, იმ წარსულს რომ უტარებია. ეს ტკივილი ამანათივით უნდა გადავცეთ მომავალ თაობებსაც. თან მიგვქონდა განცდილიცა და გარდახდილიც, – ბრძოლის ბევრი ლამაზი დღე. მაგონდება, 20 წლის ბიჭი ხევსურული ტალავარით რომ გამოგვეცხადა უნივერსიტეტში, კარგი დრო იყო, ახლა იმ ტალავარით ხევსურეთშიც იშვიათად ნახავთ ადამიანს. მეც მასავით ჭაბუკი ვიყავი. ის დიდი მთებიც ხომ საზიარო მთები იყო. მისი ლექსები იმ თავიდანვე იმ ჯადოქარი წარსულისა და უფრო ჯადოქარი ციცაბოების ტყვეობაშია. ეს არის ღირსებაცა და ნაკლიც მისი პოეზიისა, მიხარია, რომ არ გადაგვარდა, მედროვე არ გახდა. ერთხანს თვალსაც მიეფარა და ჩვენს საძმოს მძიმე საფიქრალიც გაგვიჩინა.

ახლა ის ისევ, ჩუმი მეოცნებე, ჩვენთანაა! წიგნის თაროებს ამშვენებს მისი ლექსთა კრებულები. ჩვენთან არის ისიც, რაც ჩვენ გვეკუთვნის საზიაროდ, – ერთად განცდილი დღეების ხილვანი. იმ ქვეყნად გასტუმრებული მეგობრების ხსოვნაც ჩვენთან არის. ჩვენ ხომ ერთად დავიტირეთ მთების ბოჰემა, სამყაროზე აჯანყებული გაბრიელ ჯაბუშანური, საოცარი გულთამხილავი პოეტი. მისი ტრაგედია, მისი ნახევრად შეუცნობელი პოეტური მეობა დღემდე ტკივილად რომ ამჩნევია ჩვენს სულს. მისი ღილღოური ღამეები, შატილიონის მედიდურობა და უბადლოება, რომ ჩაიწერა მისი „ლურჯაის დაკრული ტორით“. ყოველივე ეს გვაძლევს მიზეზს, კეთილი სიტყვა ითქვას მის შემოქმედებაზე, იმაზე, რაზეც მას უფიქრია და დაუწერია. მიხარია, რომ ნაღდ გზას მიჰყვება და კალამიც ისევ უჭირს.

გიორგი გიგაური მირზა გელოვანის ნაფეხურზე მდგარი პოეტია. კარგად ახსოვს მისი სიჭაბუკე. ისიც კარგად იცის, თუ რა პოეტურ სიახლეებსა და სინაზეს სძენდა მისი პოეზია ახალ საქართველოს, მირზას ფიროსმანისეული ღრმა ჭვრეტა ადამიანის სულის უხილავ სიღრმეებში, მის დიდ პოეტურ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს. გიორგის ცდებიც, მთების თემატიკა ადაზღის, კეკლაპური ჩანიშნის და პოეტურად გარდასახის, ტრადიციის აღიარების დიდი სურვილი, მისაბაძია და სანიშნო.

– ძმაო გიორგი, – შენ შენი შესაძლებლობების მაქსიმუმს აღწევ. მეც როგორც შენს მკითხველს, თანამოსაყდრეს, არ შემიძლია მოვუთხოვო ის, რაც შენს ძალღონეს აღემატება. ამაშია შენი, როგორც შემოქმედის პატიოსნება, შეუძლებლობისაკენ სწრაფვა, რის სურვილიც დღეს ბევრს გასჩენია, ატომური აფეთქების ტოლფასია? შენ იქა ხარ, იორი რომ აზვირთდება აპრილში, იდუმალებით მოცულ საბადურის ტყესთან ხარ, ისიც კარგად იცი, ამის გარეშე პოეზია არ იქმნება. სწორედ ასეთი გულისხმიერი და დარდიანი მომწონხარ იმ თავიდანვე. ეს გრძნობა შორიდან მოდის და შორს მიდის. შენთან ერთად მინდა გავიხსენო ჩვენი ძველთაძველი მეგობრებიც – დიდი ხევსურები, და კიდევ ბევრი სხვაც, ჩვენი საამაყო მთებიდან ჩამოშვავებული ახალ-უხლები, ძალა და სიმდიდრე რომ გამოგყვათ ამ მთებისა.

ამ გამაოგნებელ ეპოქაში, როცა სიყვარულის ადგილი ანგარებამ დაიჭირა, ჩვენ უნდა ვეცადოთ ტრადიციის ერთგულებით ვიცხოვროთ ისევ, რათა არ გავაფერმკრთალოთ ჩვენი აწმყო და წარსული. ისევ ჩვენს გამოცდილ ბედაურს და ჩვენს უიღბლო სიყვარულს მივაშუროთ და იმ მცირედით ვიამოთ, ზოგიერთი დღე, სამაღლოდ რომ გვწყალობს ხოლმე ის მცირე ნობათი გვერჩივნოს უამურ აღლაღებას.

„ცხოვრების ღალმართს უნდა დავუყვე, პირისპირ დაერჩე წლების ნალეელთანო“, წერ შენ და, იქვე ამბობ: „ჭრელი ალმართი როგორ გაელიე, ბედთან, სიტყვასთან როგორ ვიომე, პკითხეთ ბიჭებო ჩემს დასალიერსო“. „დააგვიანდა გამოდარებასო“, ესეც შენი საწუხარია. „ნასახლარების ჭრილობას ვლოკავო“, ესეც შენი დარდისაა. „ჩემს მაღალ ჭეთხოს შენი ხმა ფარავს, და გადმოდიხარ ჩემთან ალავერდს, ძახილს საჯიხვე როგორ დამალავს, ხმას უხასრულო ველნი მალავენ“. „ვიძმე იმედის უღელტეხილიო“. ასეთ მარგალიტებს ბევრს იპოვის შენს წიგნში მკითხველი. შენ ხომ „ტკივილს სიკეთე დაადე წამლად, შენი ჩვეული უღალატობით“...

ამ ქვეყნად ყველანი თითქმის ერთნაირად ვართ ბედნიერნი და უბედურნი, ერთნაირი ინტერესებითა და სამყაროსაგან მოძლენილი ავბედობით ვატარებთ სიცოცხლეს და გვიყვარს სიცოცხლე. შენ ხომ ღირსეულად დაგაქვს ტვირთი მამულიშვილობისა და ჯილდოც სიყვარულისა დამსახურებულად მოიპოვე. იცოცხლე და ეს გჯეროდეს!..

ამ ძალისხმევით, კიდევ დიდხანს გევლოს იმედის უღელტეხილით. ცხოვრებაც ხომ თავისი უღელტეხილით მიდის და არსად ჩერდება...

სილოვან ნარიმანიძე.
9 აპრილი, 1998 წელი.

გიორგი გიგაური

### აჰა, მიიღე, რაც შემრჩენია

დღეს, საქართველოვ, მალიან გიჭირს,
მტრის და ორგულის უგვანო ქცევით,
გაყიდულ ტყით და
გაყიდულ მიწით,
ხვალეზე ფიქრში ღამეთა თევით.

შეფარებიხარ ღვთისმშობლის კალთას
ასჯერ ნაგები,
ასჯერ ნალეწი,
შენს საჭეს თვითონ უფალი მართავს,
ვით მოგერევა ხელი გარეწრის.

თავის განწირვა ტკბილია შენთვის,
ხმალის ხეტარზე მილულვა თვალის,
შენ არ მოგაკლებს წყალობას ღმერთი,
რომ მწუხარებას დაუხშო კარი.

მაღლდები წმინდა ტაძართან ერთად,
და შენი მრევლი რწმენით ივსება,
ის დაგიამებს ჭრილობას წელთა
და დაგიბრუნებს იმ ძველ ღირსებას...

შენ, საქართველოვ, შებმული დემონს,
ვიცი, მოსისხლეს დასცემ ბეჭებით,
ტაძარი ტაძრობს
და თემი თემობს,
გაუტეხლობის აზის ბეჭედი.

აჰა, მიიღე, რაც შემრჩენია,
შენზე მლოცველმა ასე ინება, —
გულიც შენია,
სულიც შენია,
მარდვებში ცხელი სისხლის დინებაც.

1998.

მეათე მუზა

# ორმაგი სახე

„ფილმს ვუძღვნი იმ სასწაულმოქმედ ტაძარს, რომელსაც ღმერთმა მამაშვილობა დაარქვა“.
ლევან ანჯაფარიძე.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენს ეკრანებზე გამოვიდა ქართული მხატვრული ფილმი, – „ორმაგი სახე“, – რომელმაც მის დამდგმელ ახალგაზრდა, ნიჭიერ რეჟისორს, ლევან ანჯაფარიძეს საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოუტანა.

ფილმის პრემიერაზე დასწრების ბედნიერება მეც მხვდა წილად. კინოს სახლის დიდი დარბაზი ვერ იტევდა მაყურებელს. და, თუ, ბატონ რეზო ჩხეიძეს სიტყვებს დავესესხებით, – „ქართული კინოს რამდენიმე დიდოსტატი ფეხზეც კი დარჩა“.

ფილმის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მაყურებელთა უმრავლესობამ იგი ისე მიიღო, როგორც ეს რეჟისორს ჰქონდა ფეხზე დაყენებას.

ბავშვის როლს ასრულებს პატარა მსახიობი გიორგი ანჯაფარიძე (ვაჟი ლევან ანჯაფარიძისა), რომელმაც ამ ემოციურად და ფსიქოლოგიურად ძალზე დატვირთული როლის უბადლო შესრულებით მაყურებელთა დიდი სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა.

ლევან ანჯაფარიძემ ურთულესი ეპიზოდების შექმნას ბრწყინვალედ გაართვა თავი და საოცრად დამაჯერებელი კადრებით გამოავლინა ის ინდივიდუალური ხელწერა, რაც შემოქმედისათვის, ვფიქრობ, ძალიან ბევრს უნდა ნიშნავდეს. ფილმის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი იმ ფაქტმაც, რომ მასში



ჩაფიქრებული და მას დიდი წარმატებაც ხვდა წილად. ამაზე ის მხურვალე აპლოდისმენტები მეტყველებდა, რომელიც, არა თუ ფილმის დამთავრების შემდეგ, არამედ მისი მსვლელობის პროცესშიც გაისმოდა. წარმატებას წარმატება მოჰყვა. ბათუმში გამართული შავი ზღვის აუზის საერთაშორისო კინოფესტივალიდან, – „ოქროს არწივი“, – ფილმი „ორმაგი სახე“ – ოთხი პრიზით ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ.

რამ განაპირობა ფილმის ასეთი წარმატება?

ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, პრობლემის აქტუალობამ და მისი გადაწყვეტის იმ ადამიანურმა რწმენამ და ოპტიმიზმმა, ღვთისგან ბოძებული სიყვარულის იმ ყოვლისშემძლე ძალამ, რომელმაც ყოფილი კრიმინალი (მსახიობი გ. გურგულია) სულიერად განწმენდილ და ამაღლებულ პიროვნებად წარმოაჩინა. გრძელი და რთული გზის გავლა სჭირდება მას ამისათვის, მაგრამ მიზანს მაინც აღწევს; თუმცა, საკუთარი სიცოცხლის ფასად. იგი ათასნაირი ხერხებითა და საშუალებებით ცდილობს თავისი ცოდვებით დამძიმებული წარსულის შეცვლას და მთელ იმედს ეკლესიის სასწაულმოქმედ ძალაზე ამყარებს.

ფილმი მთლიანად ამ სასწაულმოქმედ ტაძარსა და მამაშვილის სიყვარულს ეძღვნება. სწორედ ეს მამაშვილური სიყვარულის განუმეორებელი გრძნობა ანიჭებს ფილმის გმირს ზებუნებრივ ძალას. ეს ძალა შეაძლებინებს მას ნანატრი, ყოვლისშემძლე ტაძრისაკენ მიმავალი გზის პოვნას და, ღვთის შეწევნით, ინვალიდი შვილის მონაწილე ყველა პერსონაჟი დიდი ოსტატობითა და დამაჯერებლობით ძერწავს დღევანდელი ჩვენი თაობის მანკიერი ნაწილის შემზარავ სახეებს, რომელთაგან ზოგი ნარკომაფიის აქტიურ წევრად ყალიბდება, ზოგი კი მკვლელად: ზ. ბეგალიშვილი, თ. გვალია, გ. პიპინაშვილი, თ. კალანდაძე და სხვები, რომელთაც არაფერი ადამიანური (არც ღვთის შიში, არც რწმენა, არც სიყვარული) არ გააჩნიათ, ეს პერსონაჟები სასიკვდილოდ განწირულნი არიან და იღუპებიან კიდეც. ღვთის უარმყოფელი ადამიანი იმთავითვე განწირულია. აი, მთავარი ძარღვი ამ ფილმისა.

P. S. აქვე მინდა დავძინო, ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ფილმის სცენარი თავდაპირველად (სანამ მას უფრო კომპეტენტური კინომცოდნეები გაეცნობოდნენ) ლევანმა ჩემთან, წმიდა სამების ტაძარში მოიტანა, როგორც რელიგიური ფილმის ფუძე. სწორედ წმიდა სამების ტაძარში წავიკითხეთ იგი პირველად, მოვიწონეთ კიდეც.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ფილმი – „ორმაგი სახე“ მიწვეულია მართლმადიდებელი ქვეყნების საერთაშორისო რელიგიური ფილმების კინოფესტივალზე. ჩვენ მეტი რაღა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ ვუსურვოთ ამ შესანიშნავ პიროვნებას, ნიჭიერ რეჟისორს ლევან ანჯაფარიძეს, ახალ-ახალი ფილმებით მრავალგზის გაეხარებინოს ქართული კინოს გულშემატკივარნი.

ამინ!
წმიდა სამების ტაძრის გამგებელი
მაგდა (მონიკა) ბერიძე.

ფოტოწამი

**გულწრფელად უნდა მოგახსენოთ – არ გვეგონა, თუ ჩვენი გაზეთის მკითხველები ასეთ გულისხმიერებას გამოიჩენდნენ ახალი რუბრიკის მიმართ.**

**უკვე რამდენიმე საინტერესო მასალა შემოგვივიდა რედაქციაში. მადლობის მეტი რა გვეთქმის!**

**დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ორ მათგანს.**

# რაინდის სიკვდილი

მამაჩემი, ბავშვთა ექიმი დავით კვიტაიშვილი 1942 წლიდან რეპრესირებული იყო. შვიდი წელი თბილისში იმყოფებოდა, შვიდი წელიც – იმიერპოლარეთში (ქ. ვორკუტა) გაატარა. თბილისში, ორთაჭალის კოლონიაში ყოფნისას, მამაჩემთან ერთად მოხვედრილა მეტად პატივსაცემი და ცნობილი პიროვნება, ზუგდიდის მკვიდრი, კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო რომანის „მთვარის მოტაცების“ ერთ-ერთი მთავარი გმირის გვანჯ აფაქიძის პროტოტიპი – გვანჯი ჩიქოვანი. მამაჩემს, თბილისის მეორე კოლონიის სანიტარიული ნაწილის გამგეს, ძალზე მოსწონებია ამ ღირსეული, წარმოსადეგი კაცის უჩვეულო თავგადასავალი და 1948 წელს ორ რვეულში ჩაუწერია. მალე, რადგან გადასახლებას ელოდა, ეს რვეულები ერთი სანდო პიროვნების ხელით ავჭალის კოლონიაში მყოფი (იქ შედარებით შერბილებული რეჟიმი ყოფილა) თავისი მეგობრის, შესანიშნავი დრამატურგისა და პუბლიცისტის, კიტა ბუაჩიძისთვის გაუგზავნია. ბატონ კიტას დისათვის გაუტანებია და მერე, როცა გათავისუფლდა, საიმედოდ შეუნახავს მამაჩემის მიერ ჩაწერილი მოგონებები; უამრავი ჭირ-ვარამის გადამტანს, დროთა განმავლობაში, ეტყობა, კიდევაც გადაავიწყდა ამ რვეულების არსებობა. შარშან ზაფხულში, როცა იგი თავის არქივს აწესრიგებდა, ქაღალდში გახვეული უპოვია და მაშინვე მე გადმომცა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ. უზომოდ გამახარა ამ ძვირფასი მასალის წაკითხვამ. გადავწყვიტე, სანამ გამოვაქვეყნებდი, მოგონებებზე კომენტარების შემცველი წინასიტყვაობა დამერთო. გვანჯი ჩიქოვანი მრავალ საინტერესო ადამიანს შეხვედრია თავისი დიდი ცხოვრების გზაზე და მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია რუსეთის ბოლო იმპერატორის ნათესავი, დედით ქართველი, განსაცვიფრებლად მამაცი ოფიცერი ალექსანდრე ვიტგენშტეინი (მემუარებში მისი სახელი ნახსენები არაა და იგი ჩვენმა დიდებულმა ქალბატონმა, საუკუნეს მიტანებულმა ბაბო დადიანმა მითხრა).



ამას წინათ ალექსანდრე ვიტგენშტეინის იშვიათი ფოტოსურათი, გადაღებული მის ბიძაშვილთან, ნინო დადიანთან ერთად, გადმომცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის დედამ, დიდად გულისხმიერმა ადამიანმა, ქალბატონმა სამურა შენგელაიამ. მათი მშვენიერი, მამაპაპეული ხის სახლი ბარბაროსულად გაძარცვეს და დასწვეს აფსუა კაციჭამიებმა და მათმა ამფსონმა, რუსეთიდან შემოსეულმა ველურმა ბანდებმა. ქალბატონმა სამურამ ცეცხლმოდებული გაგრიდან მხოლოდ საოჯახო ალბომის წამოღება მოასწრო.

წინამდებარე სურათი, რომელიც ალექსანდრე ვიტგენშტეინის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე უნდა იყოს გადაღებული, ვფიქრობ, შეეფერება „საქართველოს რესპუბლიკის“ ახლახან შემოღებულ მშვენიერ და მეტად საჭირო რუბრიკას – „რეტრო“. ამავე დროს, აქვე მინდა წარმოვადგინო მცირე ნაწყვეტი ჩემს მიერ დაწერილი ნარკვევისა, რომელიც გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებს ექნება დართული. იგი ერთგვარად წინამდებარე ფოტოსაც გააცოცხლებს, თავისებურ ელფერს შესძენს.

* * *

